ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 იანვარი სამშაბათი 2012

№006 (13612) ფასი 80 თეთრი

# დინამო ქართველად ახმაურდა

მოსალოდნელი მერებაშვილი და მოულოდნელი ძარია




2

# რა თქმა უნდა, ის, ვინც არა მხოლოდ მწვრთნელების, ფეხბურთელების და ჟურნალისტების, არამედ ღმერთის რჩეულიცაა

ლიონელ მესის დიდი ჰეთ თრიკი



8

# აგორდა!

## დილა ერთია და ამბავი არაერთი

როგორია: მამუკა ჯუღელიცო და...



3

# ბორისა ისევ ელადა



12

# ჯანოს ესპანური პერსპექტივა

როგორც ესპანური vevel.com იუწყება, **ჯანო ანანიძით** სანტანდერის "რასინგი" დაინტერესდა. ვებგვერდის ცნობით, 19 წლის ქართველი ნახევარმცველი ესპანურ კლუბს მოსკოვის "სპარტაკმა" შესთავაზა. ანანიძის გაყიდვა გამორიცხული არ არის, მაგრამ უფრო სავარაუდო იჯარის ვარიანტია. vevel.com-ზე ვკითხულობთ, რომ მხარეები შეთანხმების მიღწევასთან ახლოს არიან და ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა. გუშინვე ეს ინფორმაცია თითქმის ყველა რუსულმა სპორტულმა ინტერნეტ-საიტმა გამოაქვეყნა.

"სპარტაკი" და "რასინგი" კი ერთმანეთს მოსკოველთა სპორტულმა დირექტორმა **დმიტრი პოპოვმა** დააკავშირა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში "რასინგში" თამაშობდა. "სპარტაკის" ხელმძღვანელობისა და სამწვრთნელო შტაბის სურვილია, ახალ კლუბში ქართველს უფრო მეტი სათამაშო დრო მიეცეს.

ზემოთ ნახსენები ვებგვერდი ჯანოს დადებითად ახასიათებს და ტექნიკას უქებს, მის სუსტ მხარედ კი ფიზიკურ მომზადებას ასახელებს. გამოცემა იმასაც წერს, თავის დროზე ანანიძის მიმართ ინტერესს "არსენალი" და "ლივერპული" იჩენდნენ, მაგრამ "სპარტაკმა" ქართველი ტალანტი არ გაყიდაო.

ცნობისთვის, "რასინგი" 20-გუნდიან პრიმერადივიზიონში მე-17 ადგილზეა და უძლიერესთა შორის დასარჩენად გააფთრებით იბრძვის. სულ ცოტა ხნის წინ სანტანდერელებს **ექტორ კუპერი** წვრთნიდა, დღეს კი "რასინგის" თავკაცი **ხუანხო გონსალესია**. კლუბის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი ესპანეთის ნაკრებსა და მადრიდის "რეალში" ნათამაშები 36 წლის ფორვარდი **პედრო მუნიტისია**.

რა გვეთქმის – იმედი დავიტოვოთ, რომ ამ გარიგებას წინ ვერაფერი დაუდგება და ჯანოს სულ მალე ლა ლიგაში ვიხილავთ, თუნდაც განათხოვრებით. უკვე კარგა ხანია, "სპარტაკში" საქმეები არასახარბიელოდ მისდის და კლუბის შეცვლა აშკარად სჭირდება. ეგებ, საკუთარი პოტენციალი ესპანეთში გამოავლინოს.

ლევან ჯანეზაშვილი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

დინამო

# დინამო ხმაურით იწყებს

## მერებაშვილი, ძარია... გაგრძელება იქნება




მარცხნიდან: ზურაბ პოლოლიკაშვილი, გიორგი მერებაშვილი, ირაკლი ძარია, გიორგი ნემსაძე

ფოტო:www.fcdinamo.ge

გასული წელინადი მართლაც ხმაურიანი ქართული ტრანსფერით გავაცილეთ: ერთწლიანი პაუზის შემდეგ ჩვენ ჩემპიონატს **დავით მუჯირი** დაუბრუნდა! შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამოს", მოლდოვის „შერიფის", რუსული „კრილია სოვეტოვის" და „ლოკომოტივის", იაპონური „ჰიროშიმას" ყოფილი შემტევი ამიერიდან ქვეყნის ჩემპიონ „ზესტაფონის" ღირსებას დაიცავს. არანაკლებ ხმაურიანი ტრანსფერებით დაიწყო 2012 წელი ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა გუნდმაც: თბილისის „დინამომ" გუშინ ორი ახალწვეული, **გიორგი მერებაშვილი** და **ირაკლი ძარია** წარადგინა! თანაც, თუ მერებაშვილის ყოფილ კლუბში დაბრუნების შესახებ ინფორმაციამ გუშინდლამდე „გამოჟონა", აი, ირაკლი ძარიას „დინამოში" ჩარიცხვა ბევრისთვის მართლაც მოულოდნელი იყო. თუმცა, „დინამოს" ერთგულ გულშემატკივრებს გუშინდელზე არანაკლებ სასიამოვნო სატრანსფერო სიურპრიზები კვლავაც ელოდებათ. აქვე, არცთუ ძველ ამბავსაც შეგახსენებთ: წინა წლის მიწურულს, „დინამოს" სპორტულმა დირექტორმა **გიორგი ნემსაძემ** ქართულ მედიასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ გუნდში ცვლილებები აუცილებლად მოხდებოდა; ეგ კი არა, ისიც დაამატა, რომ ახალწვეულთა უმრავლესობა ცნობადი სახე იქნებოდა და ასეც მოხდა: 25 წლის მერებაშვილიც და 23 წლის ძარიაც ცნობადთა კატეგორიას ნამდვილად უნდა მივაკუთვნოთ!

გუშინ ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მერებაშვილთან და ძარიასთან ერთად მასმედიას კლუბის დირექტორი **ზურაბ პოლოლიკაშვილი** და სპორტული დირექტორი გიორგი ნემსაძე შეხვდნენ.

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:** *„გუნდის გაძლიერებაზე ყოველთვის ორიენტირებულნი ვიყავით და აი, ეს წელიწადიც ასეთი სიახლეებით დავიწყეთ. გიორგი მერებაშვილს ჩემგან წარდგენა არ სჭირდება - ძველი დინამოელია, მერე წარმატებული კარიერა ჰქონდა სერბეთში, სადაც საუკეთესო ლეგიონერად დაასახელეს. ირაკლი ძარია კი „ზესტაფონის" ერთ-ერთი ლიდერი და საერთოდაც, ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახლდათ; მოხარული ვარ, ასეთი დონის ფეხბურთელებმა კარიერის გაგრძელება „დინამოში" რომ გადაწყვიტეს - ჩვენ სერიოზული მიზნები გვაქვს და მერებაშვილისა და ძარიას დამატებაც გუნდის გაძლიერების პირველ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ".*

**გიორგი ნემსაძე:** *„როგორც ხედავთ, დაპირება შევასრულეთ და გუნდში ცნობადი სახეები მოვიწვიეთ. ჟურნალისტებთან ბოლო შეხვედრაზე განვაცხადე, რომ რამდენიმე ფეხბურთელთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, ოღონდ, იმ ეტაპზე გვარებს არ ვაკონკრეტებდით. ახლა კი მინდა, გიორგისაც და ირაკლისაც „დინამოში" წარმატება ვუსურვო; მათ სხვა წინადადებებიც ჰქონდათ, მაგრამ ჩვენთან არჩიეს თამაში".*

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:** *„მერებაშვილისა და ძარიას გადაწყვეტილება ბევრი ჩვენი ლეგიონერისათვის სამაგალითოც უნდა იყოს: ორივე ფეხბურთელს არაერთი კონკრეტული წინადადება ჰქონდა უცხოური კლუბებიდან, მაგრამ საქართველოში, კერძოდ, „დინამოში" არჩიეს კარიერის გაგრძელება. ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ ყოველთვის დიდი სურვილი გვქონდა უცხოეთში მოასპარეზე ქართველი ფეხბურთელები ჩვენს გუნდში გადმოსვლაზე დაგვეთანხმებინა; კონკრეტული მაგალითების მოყვანაც შემიძლია: ძალიან გვინდოდა, რომ დავით თარგამაძესა და სანდრო გურულს კარიერა „დინამოში" გაეგრძელებინათ, მაგრამ..."*

**გიორგი მერებაშვილი:** *„უპირველეს ყოვლისა, მინდა „დინამოს" ხელმძღვანელობას დიდი მადლობა გადავუხადო ჩემ მიმართ გამოჩენილი ასეთი ინტერესის გამო. არ ვმალავ, რომ ბედნიერი ვარ გუნდში დაბრუნებით. იმისიც მჯერა, რომ გულშემატკივართა იმედებს გავამართლებ და „დინამოს" წარმატებაში საკუთარ წვლილს შევიტან".*

**ირაკლი ძარია:** *„მიხარია და ბედნიერი ვარ, დღეს „დინამოსთან" რომ გავაფორმე ხელშეკრულება. ამ გუნდში თამაში ჩემი ბავშვობის ოცნება იყო და ყველაფერს გავაკეთებ, გულშემატკივართა ნდობა რომ გავამართლო".*

■ ■ ■

ამის შემდეგ „დინამოს" ხელმძღვანელებმა რამდენიმე კითხვასაც უპასუხეს.

**- ნებისმიერ მატჩში და ნებისმიერ მეტოქესთან „დინამო" ერთი და იმავე ტაქტიკური განლაგებით - 4-3-3 ასპარეზობს და გიორგი მერებაშვილს რა ამპლუა ექნება?**

- ეს მწვრთნელის პრეროგატივაა და ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხსაც ალექს გარსიასგან მიიღებთ.

**- ვიხილავთ თუ არა „დინამოში" გოგიტა გოგუას?**

- არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, თუმცა არ დავმალავ, რომ ამ ფეხბურთელთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ.

**- გუნდის ერთ-ერთი პრობლემური რგოლის, დაცვის გაძლიერებას არ აპირებთ?**

- შევეცდებით, არა მხოლოდ დაცვაში, არამედ ყველა რგოლში კვალიფიციური ფეხბურთელები დავიმატოთ.

**- იმ ფეხბურთელებზეც გვითხარით, „დინამოდან" რომ წავიდნენ.**

- ფეხბურთელთა გარკვეული ნაწილი იჯარით სხვადასხვა ქართულ გუნდში გადავა. ასე, მაგალითად: გორის „დილაში" ითამაშებენ შოთა კაშია და ირაკლი ლექვთაძე, აგრეთვე გიორგი გველესიანი, რომელიც ჩვენი გუნდის დუბლშემადგენლობაში ასპარეზობდა, ცხინვალის „სპარტაკში" ითამაშებს დუბლშემადგენლობის კიდევ სამი ფეხბურთელი - ნადირაძე, გაბაშვილი, ჩაფიძე.

**- ახალწვეულებთან რა ვადის კონტრაქტები გაფორმდა?**

- ორივესთან ერთნაირი ხელშეკრულება დავდეთ: 1+2.

**- ზაფხულში „დინამოში" ესპანელი ფეხბურთელები გამოჩნდნენ, ახლა ქართველებზე ხომ არ აპირებთ აქცენტის გაკეთებას?**

- წარმატებული ქართველი ფეხბურთელების „დინამოში" ჩარიცხვის სურვილი ყოველთვის გვქონდა, უბრალოდ, ზაფხულში ევროტურნირების დაწყებამდე დრო ძალიან ცოტა გვრჩებოდა და მოთამაშეებიც სასწრაფოდ უნდა დაგვემატებინა. საერთოდაც, გუნდის შენებას 2-3 თვე არ ჰყოფნის; არც ის იყო ადვილი, გუნდი ახალ ტაქტიკურ განლაგებაზე უმტკივნეულოდ გადასულიყო. გპირდებით, „დინამოში" კიდევ არაერთ ახალწვეულს იხილავთ - ბოლოს და ბოლოს, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ხომ, ფაქტობრივად, ორი თვეა დარჩენილი.

■ ■ ■

„დინამოს" ახალწვეულებს გუშინვე მუდმივნომრიანი მაისურები გადასცეს - გიორგი მერებაშვილი თავის ძველ-ახალ კლუბში კვლავაც მეათე ნომრით ისპარეზებს, ირაკლი ძარია კი - 88-ნომრიანი მაისურით. და ბოლოს, როგორც „დინამოს" პრესატაშემ **გიგა გვენცაძემ** გვითხრა, დიდი ალბათობით, ქართველი ჟურნალისტების წინაშე დღეს გუნდის მთავარი მწვრთნელი ალექს გარსია წარდგება.

**გია ტუხაშვილი**

### დოსიე

### გიორგი მერებაშვილი: 15.08.1986

**2005-2010 წლები: თბილისის „დინამო", 108 მატჩი (36 გოლი).**
**2010-2011 წლები: სერბული „ვოივოდინა" 53 მატჩი (9 გოლი).**
**საქართველოს ჩემპიონი (2008), საქართველოს თასის (2009) და სუპერთასის (2005, 2008) მფლობელი; საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი: სამჯერ - „მსოფლიო სპორტის" გამოკითხვით, ორჯერ - საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამოკითხვით, ერთხელ - საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვით.**
**2006-08 წლები: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები - 8 (1).**
**2008-წლიდან: საქართველოს ეროვნული ნაკრები - 16.**

### ირაკლი ძარია: 01.12.1988

**2004-05 წლები: ფოთის „კოლხეთი"**
**2005-06 წლები: „ზესტაფონი" - 5**
**2006-08 წლები: ცხინვალის „სპარტაკი".**
**2008-11 წლები: „ზესტაფონი" - 101 (8)**

# კეთილგანწყობილი ირაკლი ძარია და უკმაყოფილო გულშემატკივრები

## დავაშავე, ბავშვობის ნატვრა თუ ავისრულე?

**გუშინ „დინამოს" ხელმძღვანელობამ 88-ნომრიანი მაისურით სპორტულ მედიასა და საზოგადოებას ირაკლი ძარია წარუდგინა. „დინამოში" გადასვლამდე ცნობილი იყო, რომ ფეროელთა ყოფილი 10 ნომერი უკრაინაში გააგრძელებდა კარიერას, ამიტომ თბილისურ გუნდში მისი გამოჩენა ყველასთვის მოულოდნელი იყო, ეს განსაკუთრებით ზესტაფონელმა ქომაგებმა გაიკვირვეს და იწყინეს. რატომ ჩაიშალა უკრაინული ვარიანტები და უნდა იყოს თუ არა „ზესტაფონის" ქომაგი ნაწყენი — ირაკლი ძარიას პასუხები „ლელოს" კითხვებზე...**

**- ყველამ ისე იცოდა, რომ კარიერას უკრაინაში გააგრძელებდი, მაგრამ თბილისის „დინამოში" აღმოჩნდი. რატომ არ გამოვიდა უკრაინული ვარიანტები?**

- გადაწყვეტილი რომ მეგონა ყველაფერი, სწორედ მაშინ ჩაიშალა, ერთგან დირექტორი შეიცვალა, მეორეგან რაღაცა სხვა მოხდა, ამიტომ ველარ მოგვარდა ეს ტრანსფერები. „კარპატი" რომ გამოირიცხა, „ტავრიაში" უნდა წავსულიყავი, მაგრამ არც ეს გამოვიდა, „ოლექსანდრიაზე" კი მე თვითონ ვთქვი უარი.

**- ზესტაფონელი ქომაგი ნაწყენია, მიიჩნევენ, რომ ეს არ იყო კაცური საქციელი. როგორ გგონია, მართლები არიან?**

- კლუბისთვის, ზესტაფონელი ქომაგისთვის ბევრი მაქვს გაკეთებული. ექვსი წელი ვითამაშე „ზესტაფონში", თანაც, გუნდში ყველამ იცოდა, წასვლას რომ ვაპირებდი. „დინამოს" ვარიანტი გაუთვალისწინებელი შემთხვევა იყო, დგება ხოლმე მომენტი, როცა ადამიანმა ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს — რატომ უნდა გამამტყუნონ, თუ ჩემთვის უკეთესი ვარიანტი ვარჩიე.

**- როგორც ვიცი, უკრაინული ვარიანტების ჩაშლის შემდეგ "ზესტაფონს" ექვსი თვით დაბრუნება შესთავაზე, მაგრამ უარი მიიღე, ყოფილმა კლუბმა ახალი კონტრაქტი შემოგთავაზა. რატომ არ დათანხმდი?**

- ყველაფერს საზღვარი აქვს, მით უმეტეს მაშინ, როცა უცებ ჩემთვის ბევრი რამ შეიცვალა. „ზესტაფონი" ახალ კონტრაქტს კი მთავაზობდა, მაგრამ კლუბის შეცვლის გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა, თანაც, „დინამომ" კარგი პირობები შემომთავაზა. რაც შეეხება გულშემატკივარს, ვიმეორებ, არ მესმის, რატომ უნდა იყვნენ უკმაყოფილონი ზესტაფონელები ჩემით, რაც კი მითამაშია, გუნდისა და მათთვის თავი არ დამიზოგავს. მათ მე არასოდეს დავივიწყებ და ყოველთვის კეთილგანწყობილი ვიქნები, თავად კი ისე მოიქცნენ, როგორც სურთ. ჩემი საქციელი საწყენი არავისთვის უნდა იყოს, სამუდამოდ ხომ არ დავრჩებოდი იქ?

**- ამბობენ, რომ შენ შესახებ „ზესტაფონისა" და „დინამოს" პრეზიდენტებმა პრივატულად ისაუბრეს. თუ გსმენია ამის თაობაზე?**

- არა, მე არაფერი ვიცი.

**- სხვა ქართული კლუბებისგან არ გქონდა შემოთავაზება, რატომ მაინცდამაინც „დინამო"?**

- ვიდრე ზესტაფონში წავიდოდი სათამაშოდ, მანამდე ვოცნებობდი, რომ „დინამოში" მეთამაშა და ახლა ავიხდინე ეს ნატვრა.

**მაგდა კლდიაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დილას სიახლეები

# ბევრი გაშვებული, დატოვებული, ახალწვეული



გუშინ გორის "დილამ" მზადება დაიწყო: თბილისში, "ამერის" სტადიონზე მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** 40-მდე ძველ-ახალი ფეხბურთელი შეკრიბა.

უკვე გაცნობეთ, რომ ახალი გუნდის ჩამოყალიბების მიზნით, იანვრიდან ყველა ფეხბურთელი გათავისუფლდა - ვის დავტოვებთ და ვის შევიმატებთ, მალე შეიტყობთო, გვითხრეს მაშინ.

„დილას" პრესატაშე **ზურაბ კარტოზიას** თქმით, გუნდიდან გაუშვეს **დავით ბაქრაძე, ოლეგ გველესიანი, დავით ჭითანავა, ომარ ცარიელაშვილი, თემურ შათირიშვილი, ვაჟა ნემსაძე, ლევან ჩაგელიშვილი, ნოდარ ნოზაძე, ირაკლი ბერაია, გია თოდუა. დავით რაჟამაშვილი** კარიერას "ზესტაფონში" გააგრძელებს, **ნოდარ მაჭავარიანი** კი "დინამოს" ეკუთვნოდა და თავის ამბავს თბილისელებთან გაარკვევს.

ძველი შემადგენლობიდან ჯერჯერობით რჩებიან მეკარეები, **მირზა მერლანი, ბექა შეყრილაძე, ბესიკ კეჩხუაშვილი**; მცველები, **გივი ქარქუზაშვილი, ილია ლომიძე**; ნახევარმცველები, **რომან ახალკაცი, რომან გოგინაშვილი, ნიკა სადალაშვილი, გიორგი ახვლედიანი, ლადო ჯოჯუა, ვალტერ და პავლე ხორგუაშვილები;** თავდამსხმელი **დავით ჩაგელიშვილი.**

ახალწვეული კი იმდენია, შეიძლება ითქვას, რომ მახარაძემ ლამის ახალი გუნდი მიიწვია: **ლექსო ინწკირველი, დავით მეგრელიშვილი, ლევან მდივნიშვილი** (სამივე - ფოთის "კოლხეთი"), **ბესიკ დეკანოიძე, ზვიად მეტრეველი, რეზო ჯიქია** (სამივე - ცხინვალის "სპარტაკი"), **დავით მაისაშვილი** ("ვიტ ჯორჯია"), **თომა ტაბატაძე** ("დაუგავა"), **გიორგი ჭაავა** (უგუნდო), **ირაკლი ეხვაია** (ზუგდიდის "ბაია"), **თორნიკე შალიკაშვილი** (მარტვილის „მერანი") და **გიგა ბეჭვაია.**

ერთწლიანი შესვენების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **ლადო ბურდული,** რომელიც ბოლოს ბაქოს "ნეფთჩიში" თამაშობდა.

ვარჯიშზე ჯერ არ ჩანდნენ დინამოელები **შოთა კაშია** და **ირაკლი ლექვთაძე,** რომლებთანაც "დილას" ხელმძღვანელობა ხელშეკრულების გაფორმებას იმედოვნებს. შესაძლოა, გასინჯონ რიგის "სკონტოს" მცველი **ივანე კანდელაკი.**



მადა ჭამაში მოდისო და, მახარაძე ლეგიონერების დამატებასაც არ გამორიცხავს – მალე გორელები სამ სერბ ფეხბურთელს ელიან.

ჯერ უცნობია, ამ მოთამაშეებიდან „დილას" მთავარი მწვრთნელი საგაზაფხულო ეტაპისთვის ვის დაიტოვებს. გადაწყვეტილი მხოლოდ ისაა, რომ გორში გააგრძელებს კარიერას „ვიტ ჯორჯიას" ყოფილი კაპიტანი, ფეხბურთის ფედერაციის მიერ ამნისტირებული **გიგა ბეჭვაია.**

გაურკვეველია ცხინვალის „სპარტაკიდან" გაშვებული თავდამსხმელების, **რევაზ ჯიქიასა და ზვიად მეტრეველის,** აგრეთვე ზუგდიდის „ბაიას" თავდამსხმელ **ირაკლი ეხვაიას** საკითხიც. ამ უკანასკნელს ფოთის "კოლხეთსა" და მარტვილის "მერანში" გადასვლას კონკრეტული პირობებით სთავაზობენ, გორში კი ჯერაც გასინჯვაზეა.

გორელები თბილისში „ამერსა" და „შატილზე" ივარჯიშებენ, 25 იანვრიდან კი ორი კვირით ანთალიაში გაემგზავრებიან.

## საიდან სადაო, ანუ ოცნება თუ რეალობა: მამუკა ჯულელი დილაში?

**მამუკა ჯულელი, რომელსაც რუსულ მედიაში რუსული ფეხბურთის „რუხ კარდინალს" უწოდებენ, საქართველოს სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე მსხვილი მოთამაშეა. მისი ხელშეწყობით რუსეთისა და უკრაინის პრემიერლიგებში ბევრი ქართველი ფეხბურთელი მოხვდა და ცხოვრება და კარიერა აიწყო.**

**მისი საქმიანობა, თანაც ძალიან წარმატებული და მასშტაბური, რუსეთში ბევრს აღიზიანებდა. რუსულ ფეხბურთში ფეხმოკიდებულ მაქინაციებზე, გარიგებულ მატჩებსა თუ „ჩაწყობებზე" ლეგენდები დადის და იქაურებმა გამოსავალი იპოვეს – ვინ არის დამნაშავე? რა თქმა უნდა, ქართველი ჯულელი.**



მამუკა ჯულელი

კარგად გვახსოვს ახლახან რუსულ ინტერნეტგაზეთ one-division.ru-ში გამოქვეყნებული წერილი, კერძოდ ის, თუ რას წერდა ავტორი მახაჩყალის „ანჟისა" და ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ყოფილ სპორტულ დირექტორზე.

მას უწოდეს "რუსული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლოებით მოცული ფიგურა"; ვერ გაუგიათ, "ვინ არის ის სინამდვილეში: სპორტული დირექტორი, აგენტი, ნიჭიერი მწვრთნელი თუ რუსული ფეხბურთის რუხი კარდინალი?"; რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტთან არსებულ გარიგებული მატჩების გამოსავლენ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე **ანზორ კავაზაშვილს** მასზე მხოლოდ რსკ-ის პრეზიდენტ **სერგეი ფურსენკოსგან** სმენია, რუსეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელმა **სერგეი პრიადკინმა** კი საერთოდ ვერ გაიხსენა...

არადა, სინამდვილეში ყველამ ყველაფერი იცის. ფრთიან ანგელოზობას ვერავისზე ვიტყვით, ამის მტკიცებას ვერც ჯულელზე დავიწყებთ, მაგრამ რუსებს იგი აშკარად ყელში გაეჩხირათ, რადგან გავლენითა და საქმიანი უნარებით ბევრი ადგილობრივი „ჩააჩოჩა" და, ცხადია, დაიბოღმნენ. თუმცა, არც ეს უნდა გაგვიკვირდეს, წარმატებულ უცხოელ მენეჯერზე საქართველოშიც ასეთივე რეაქცია ექნებოდათ.

ბოლოხანს ლაპარაკია, რომ შესაძლოა ჯულელი ბრიანსკის "დინამოში" გადავიდეს. თუმცა მას აქვს სხვა შეთავაზებაც, რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა – "დილაში" და თავად ჯულელის უახლოეს გარემოცვაშიც დაგვიდასტურეს, რომ გორის კლუბში მისვლა შესთავაზეს.

საიდან სადაო, იკითხავთ, სად უზარმაზარი და მდიდარი რუსული ფეხბურთი და სად ჯერაც ფეხზე დასაყენებელი "დილა", რომელიც ფულით რუსეთის პირველი ლიგის კლუბებსაც ვერ შეეტოლება.

გვითხრეს, ეს ჯერ მხოლოდ ლაპარაკის დონეზეა, მამუკა რუსეთიდან საბოლოოდ წამოსვლას არც აპირებს, მაგრამ, თუ "დილას", ანუ ქართულ ფეხბურთს დასჭირდება, აუცილებლად ჩამოვა და გუნდს გვერდში დაუდგებაო.

თუ რას ნიშნავს მისი გვერდში დგომა, თავადაც მიხვდებით – ფეხბურთელების უპრობლემოდ ჩამოყვანას, თანაც, არა შრილანკიდან, არამედ რუსეთის პრემიერლიგიდან. ჰოდა, რაც უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, ლაპარაკია ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ფეხბურთელების, **ლაშა სალუქვაძისა** და **გოჩა ხოჯავას** "დილაში" ჩამოყვანაზე. ეს ამბავი ჩვენთვის ძნელად დასაჯერებელი იყო, მაგრამ კლუბში ესეც დაგვიდასტურეს, საკითხი არ გადაწყვეტილა, ორივეს რუსეთში კარგი წინადადებები აქვს, მაგრამ შესაძლოა, ჯულელის მეშვეობით დროებით მაინც დავიხმაროთო.

ვერ გეტყვით, ოცნებაა ეს თუ რეალობა, მაგრამ "დილაში" ამაზე უკვე ღიად ლაპარაკობენ და გუნდის ამბიცია აშკარა ხდება – თასის ფინალში გასვლა და საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა ასეთი შემადგენლობითა და მწვრთნელით არარეალურიც აღარ ჩანს.

თუმცა, აღდგომა და ხვალეო. მალე გამოჩნდება, დუღილის პროცესში მყოფი "დილადან" რა ღვინო დადგება.

**მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია და მცხეთის მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახური სამძიმარს უცხადებენ თენგიზ სულაქველიძეს დედის გარდაცვალების გამო.**

● სიტუაცია

## ლადო ბურდული ნეფთჩის უჩივის

*ლადო ბურდული ბოლოს გულშემატკივარმა იხილა არა მოედანზე, არამედ ტელეკომპანია "იმედის" რეალითიშოუ "ფორმაში". ერთი წელია, 31 წლის ფეხბურთელს არ უთამაშია და ბევრმა იფიქრა, რომ კარიერა დაასრულა.*

*მაგრამ ერთწლიანი შესვენების შემდეგ ლადო მოედანს დაუბრუნდა. საქართველოს ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა სეზონისთვის მზადება "დილაში" დაიწყო. მართალია, ჯერ მისი ჩარიცხვა არ გადაწყვეტილა, მაგრამ იმედი აქვს, რომ მოთამაშის კარიერას გააგრძელებს.*

*ბურდული 2009 წლის ზაფხულში სიმფეროპოლის "ტავრიადან" ბაქოს "ნეფთჩიში" გადავიდა. 2010 წელს იჯარით ცხინვალის "სპარტაკში" გაუშვეს, შარშან, იანვარში კი ბაქოს „ნეფთჩიმ" ტრანსფერზე დააყენა. მაგრამ ლადოს კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა და ამბობდა, გაშვების უფლება არ ჰქონდათო.*

*"ზუსტად ერთი წელია, არ მითამაშია. 2010 წლის დეკემბერში სეზონი რომ დასრულდა, მას შემდეგ მოედანზე არ გავსულვარ. "ნეფთჩის" რომ გადაეყრება კაცი... გუნდის უფროსობასთან, კონკრეტულად კი „ნეფთჩის" პრეზიდენტთან, უსიამოვნება მომივიდა, კარგად არ მომექცა. წამოსვლამდე მწვრთნელმა მითხრა, შესაძლოა, რომელიმე კლუბში გაგანათხოვროთო. არ მათამაშებდნენ და ეს მეც მსურდა. ლაპარაკი იყო ექვსთვიან იჯარაზე და სამი ვარიანტი დამისახელეს, აზალ-ი, „განჯა" და „მუღანი". ამათგან აზალ-ი უკეთესი ვარიანტი იყო, ზაფხულში კი ისევ „ნეფთჩიში" დავბრუნდებოდი.*

*მერე პრეზიდენტთან მოვილაპარაკე, რომ 7 იანვარს ბაქოში ჩავიდოდი და ჩემი საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა, მაგრამ პრეზიდენტიც და მწვრთნელიც დაიმალნენ. მერე სეზონიც დაიწყო, თებერვალში კი ფურცლები მომაჩეჩეს, ეს ბუღალტერიის საბუთებია, ხელი მოაწერეო. აღმოჩნდა, რომ მოტყუებით სურდათ ხელი მომეწერა, ვითომ თანახმა ვიყავი კომპენსაციის გარეშე წავსულიყავი გუნდიდან.*

*ვერ ვხვდები, ასე რატომ მომექცნენ. ჩემი აზრით, აზერბაიჯანში ვინც ჩამიყვანა, გუნდთან ურთიერთობა აერია და ჯოხი ჩემზე გადატეხეს" – ამბობს ბურდული.*

*რეალითიშოუშიც ჩანდა, ლადო, რომ იტყვიან, „წონაშია", მაგრამ ეს არ აშინებს: "მოსაკლები მაქვს მაქსიმუმ ექვსი კილოგრამი, მაგრამ რეალითიშოუში მონაწილეობის შემდეგ ეს არ გამიჭირდება. მახსოვს, ბაქოში ცხრა კილო მამძიმებდა, მაგრამ სათამაშო წონა პირველივე შეკრების შემდეგ ავიღე".*

*ბურდულის თქმით, ბაქოს "ნეფთჩის" წინააღმდეგ ფიფაში სარჩელი შეიტანა: "ამ გუნდის გადამკიდეს ერთი წელი გამიცდა, რადგან სხვაგან თამაშის უფლებას არ მაძლევდნენ. ახლა კონტრაქტი დამისრულდა და გუნდის წინააღმდეგ სარჩელი შევიტანე, იმ ფულს ვედავები, კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში რომ უნდა ამეღო. საკითხი თებერვალში გადაწყდება, ტრანსფერს კი ველარ შემიჩერებენ".*

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



ლადო ბურდული

## ქართული ფეხბურთი

### ფესვები

რა ხდება ბავშვთა ფეხბურთში? ამ კითხვას ხშირად სვამენ და ასევე ხშირად გვესმის ხოლმე, რომ ბავშვთა ფეხბურთი მისახედია, რომ საქმის გამოსწორება აქედან, ფესვებიდან უნდა დავიწყოთ.

ბავშვთა ფეხბურთში ბევრი პრობლემაა, კვალიფიცირებული მწვრთნელებით დაწყებული, ყოფითი საკითხებით დამთავრებული...

მაინც რაშია საქმე? რატომ ვერ ხერხდება იმ პრობლემების მოგვარება, რაც ამ სფეროშია? ვფიქრობთ, ეს კითხვა ყველა იმ ადამიანს აწუხებს, ვისაც ზოგადად ქართულ ფეხბურთზე შესტკივა გული.

"ფესვები" – ეს რუბრიკა რამდენიმე წლის წინათ უკვე გვქონდა "ლელოში" და, რადგან ისევ აქტუალურია ბავშვთა ფეხბურთის თემა, მისი განახლება გადავწყვიტეთ – ანუ შემოგთავაზებთ წერილებს საფეხბურთო სკოლებსა თუ აკადემიებზე.



# ან ტორპედო, ან ევროპა



საფეხბურთო სკოლა "ავაზას" მართლაც მდიდარი ტრადიციები აქვს. თუნდაც ის რად ღირს, რომ კარგა ხნის განმავლობაში ამ სკოლის დირექტორი **მიხეილ მესხი** იყო. "ავაზაში" გადადგეს პირველი საფეხბურთო ნაბიჯები უმცროსმა **მიხეილ მესხმა, ლევან კობიაშვილმა, ლევან ცქიტიშვილმა,** ძმებმა **არველაძეებმა...**

მერე ისეთი დრო დადგა, რომ "ავაზას" ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ფინანსური ბაზით სხვა სკოლებმა მნიშვნელოვნად გაუსწრეს. გამოსავალიც მოიძებნა – "ავაზა" კომპანია "ვისოლს" გადაეცა. შემდეგ "ვისოლი" უფრო მასშტაბურად დაინტერესდა ფეხბურთით და ქუთაისის "ტორპედო" ჩაიბარა.

დილმის მასივში მდებარე ამ საფეხბურთო სკოლას ახლა "ტორპედო - ავაზა" ჰქვია. სკოლაში დაახლოებით 300 მოზარდი დადის. "ტორპედო - ავაზას" თერთმეტი ასაკობრივი ჯგუფი ჰყავს. სკოლის განკარგულებაშია სამი ხელოვნურსაფრიანი მოედანი, აქედან ერთი სტანდარტულია, დანარჩენები — შედარებით ნაკლები ზომის; ადმინისტრაციული შენობა და საშხაპე-გასახდელები. სტანდარტულ მოედანზე, რომელსაც პატარა ტრიბუნაც აქვს, უმაღლესი ლიგის დუბლშემადგენლობის მატჩებიც იმართება, ხშირად ამ მოედანს უმაღლესი ლიგის გუნდებიც იყენებენ სავარჯიშოდ.

მთავარი საკითხი კი, ცხადია, მწვრთნელია. თუ ბავშვს თავიდანვე კარგი სპეციალისტი არ შეხვდა, ვინ იცის, როგორი იქნება მისი საფეხბურთო სვე-ბედი.

*"ჩვენთან მწვრთნელები აღსაზრდელთა ასაკის მიხედვით მუშაობენ, ანუ ყოველ ასაკობრივ ჯგუფს ერთი მწვრთნელი ჰყავს. მალე მოედანზე წვრთნისას ორი მწვრთნელი იმუშავებს – დამხმარე მწვრთნელის პრაქტიკა გვინდა დავნერგოთ"* – გვითხრა "ტორპედო - ავაზას" დირექტორმა **ავთანდილ მუმლაძემ**, ვინც სკოლაში უფრო წმინდა სპორტულ საკითხებს განაგებს, ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმეებს კი გენერალური დირექტორი **ვლადიმერ ჩიტალაძე** უძღვება.

მუმლაძემ სკოლის ერთ ნოვაციაზეც გვითხრა:ი

"ტორპედო-ვისოლის" ერთ-ერთი მწვრთნელია **სულიკო დავითაშვილი,** რომელსაც უმაღლესი ლიგის არაერთ წამყვან გუნდში უთამაშია და გოლებიც ბლომად გაუტანია. ამ სკოლაშია დასაქმებული **ბონდო კაკუბავაც** – კაცი, რომელსაც თვით ლეგენდარული **ვიტალი დარასელია** აღუზრდია.

რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია სწავლის საფასურის თემა. მოზარდის საფეხბურთო სკოლაში მეცადინეობა მხოლოდ ამ თანხასთან არ არის დაკავშირებული. მგზავრობა, რაციონალური კვება, ეკიპირება, სწორი დასვენება –ყველაფერი ეს დამატებით სახსრებს მოითხოვს.

*"ჩვენთან სწავლის საფასური თვეში 50 დოლარს შეადგენდა, ახლა ეს თანხა 60 ლარამდე შემცირდა. წლეულს გვინდა, რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში საერთოდ გავაუქმოთ გადასახადი. ბურთი, სხვა სავარჯიშო ინვენტარი, სავარჯიშო თუ სათამაშო ფორმა – ამას სკოლა უზრუნველყოფს"* – განგვიმარტა მუმლაძემ.

საფეხბურთო სკოლების თუ აკადემიების გუნდები ტურნირებშიც გამოდიან და ასეთ დროს თითოეულ მოზარდზე ოფიციალური თანხაა გადასახდელი – ამ ხარჯსაც "ტორპედო - ავაზა" იხდის. ელიტლიგა და 17-წლამდელთა გათამაშება – ერთს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ატარებს, მეორეს - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია – ამ სკოლის გუნდები ორივე ტურნირში მონაწილეობენ.

"ვისოლს" სოფელ დიღომშიც აქვს სპორტული კომპლექსი – დარბაზი და ღია მოედანი. "ტორპედო - ავაზას" საჭიროების შემთხვევაში ამ კომპლექსის ფუტსალის მოედნის გამოყენებაც შეუძლია. თუ სკოლა გაფართოვდება, "ვისოლს" კიდევ ორი მოედანი აქვს დიდ დიღომში, თუმცა ამ ეტაპზე იქ ჯერ მხოლოდ რაგბის თამაშობენ.

*"ცხადია, სკოლის მიზანი კვალიფიციური ფეხბურთელების მომზადებაა. ლაღ, სანახაობრივ სტილს ვანიჭებთ უპირატესობას და, რა თქმა უნდა, მოზარდებს სწორი ფეხბურთის თამაშიც უნდა ვასწავლოთ. ჩვენი მთავარი ამოცანა არ არის პატარათა ტურნირების მოგება, ჩვენ სხვა შედეგისთვის ვშრომობთ – ფეხბურთელის გაზრდა. კონტრაქტს ვაფორმებთ მოზარდების მშობლებთან, იქითკენ მივდივართ, რომ ჩვენი სკოლის აღზრდილი ან ქუთაისის "ტორპედოში" მოხვდეს, ან – ევროპაში. საქართველოს ჩემპიონატის სხვა გუნდებში ჩვენს ფეხბურთელს მხოლოდ იმ შემთხვევაში გავუშვებთ, თუ "ტორპედოში" ვერ მოხვდება. ჩვენი ფეხბურთელით დაინტერესდა "დინამო", მაგრამ ვერ შევთანხმდით"* – გვამცნო მუმლაძემ.

ფეხბურთელის ჩამოყალიბებაში გენეტიკაც დიდ როლს თამაშობს. ბევრი ნიუანსია, მაგალითად, ქართველს ნაკლებად აქვს განვითარებული ფლანგური ჩანოდებების, წინა ძელთან თამაშის და ორთაბრძოლაში კარგად შესვლის უნარები. მუმლაძემ გვითხრა, რომ "ტორპედო - ავაზა" ასეთ დეტალებს ყურადღებით ეკიდება. მეკარეების მწვრთნელიც ჰყავთ – ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის სხვადასხვა გუნდის ყოფილი კიპერი **თეიმურაზ ვოლკოვი.**

*"მას შემდეგ, რაც "ტორპედოს" მთავარ მწრთნელად გია გეგუჩაძე დაინიშნა, კლუბის ყველა სპორტულ მიმართულებას ის კურირებს და ძალიან დიდ როლს ასრულებს სკოლის წინსვლაშიც. ჩვენთან ყველა ის მეთოდიკა ინერგება, რაც აპრობირებულია ევროპაში. რაც ფეხბურთელმა 12 წლისამ უნდა ისწავლოს, იმას 18 წლისა უკვე ველარ ისწავლის"* – გვეუბნება მუმლაძე.

ერთიც, "ტორპედო - ავაზაში" არ არის მიღებული ზამთარ-ზაფხულ მოზარდების შეკრებებზე წაყვანა და, შესაბამისად, მშობლებისგან არცთუ ცოტა თანხის შეგროვება.

მოკლედ, ასეთია "ტორპედო - ავაზა" და საინტერესოა, უმაღლესი ლიგის რამდენიმე კლუბი ერთმანეთს უკვე საფეხბურთო სკოლებითა და აკადემიებითაც რომ ეპაექრება, ვფიქრობთ, ეს კარგის მანიშნებელი უნდა იყოს.

ბოლო პერიოდში ქუთაისის "ტორპედოში" ორი ავაზელი მიიწვიეს – ფორვარდი **ნიკა საბანაძე** და ასევე საინტერესო შემტევი **ლაშა კემუხტაშვილი.** "ავაზას" აღზრდილია **მერაბ გიგაურიც,** რომელიც "ტორპედოდან" პოლონურ "იაგელონიაში" მოხვდა...

**დავით თავართქილაძე**

### სატრანსფერო ამბები

# ზაზას ძმა ზამირი

## უმცროსი ჯანაშია ტორპედოში გამოჩნდა

ქუთაისის „ტორპედომ" სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადება თბილისში დაიწყო, გუშინ კი ქუთაისში ჩავიდა და საღორიის ბაზაზე ივარჯიშა. „ტორპედო" იქ 20 იანვრამდე დარჩება, მერე კი მზადებას თურქეთში გააგრძელებს.

„ტორპედოში" ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა – 23 წლის **ზამირ ჯანაშია,** რომელიც საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ დროს წამყვანი ფორვარდის, **ზაზა ჯანაშიას** ძმაა. ზამირი ბოლოს ფოთის „კოლხეთის" ფეხბურთელი იყო, მანამდე თბილისის „დინამოშიც" ირიცხებოდა. უმცროს ჯანაშიასთან „ტორპედოს" კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმცა ყველაფერი აქეთკენ მიდის.



„ტორპედოსთან" ხელშეკრულება დაუმთავრდა 30 წლის თავდამსხმელ **რევაზ გოცირიძეს.** სავარაუდოდ, კლუბი და ფეხბურთელი ახალ კონტრაქტზე შეთანხმდებიან.

**დავით თავართქილაძე**

# ბოიომო ფრიდოლინი: პო თუ არა ფოთში?

სეზონის განახლებისთვის ემზადება ფოთის „კოლხეთიც". გუნდი 8 იანვარს შეიკრიბა და ჯერ უბურთოდ ვარჯიშობს.

კლუბში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მივიდა, თუმცა დამრჩენების საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა – ახალგაზრდების გარდა, გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც ისინჯება, მათ შორის ლეგიონერიც – 30 წლის კამერუნელი მცველი **ბოიომო ფრიდოლინი,** რომელიც ბოლოს ცხინვალის „სპარტაკში" თამაშობდა. აფრიკელის „კოლხეთში" დარჩენის ამბავი ჯერ გასარკვევია.

ასევე არ გარკვეულა, დარჩება თუ არა „კოლხეთში" ზუგდიდის „ბაიადან" წასული 28 წლის ნახევარმცველი **ლევან წურწუმია.**

„კოლხეთში" გვითხრეს, რომ, ალბათ, უარს იტყვიან ქუთაისის „ტორპედოდან" წასულ **დავით ბოლქვაძის** დამატებაზე, რაც შეეხება კიდევ ერთ ექსტორპედოელს, 35 წლის **სევასტი თოდუას,** შესაძლოა, მან „კოლხეთში" ითამაშოს.

უკვე გაცნობეთ, რომ „კოლხეთი" დატოვეს **ლექსო ინწკირველმა, ლევან მდივნიშვილმა, ლევან თედიაშვილმა, ლევან შავგულიძემ,** სავარაუდოდ, გუნდს მეკარე **მინდია ბობლიაშვილიც** გამოაკლდება.

**დავით თავართქილაძე**



### რეგიონი

# ჩიხურას პოლიტიკური ვნებები არ შეხებია

არავისთვისაა საიდუმლო, რომ პირველი ლიგის საჩხერის "ჩიხურას" **ბიძინა ივანიშვილი** აფინანსებს. ბიზნესმენის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენის შემდეგ გავრცელდა ხმები, თითქოს გუნდს ფინანსური პრობლემები შეექმნა.

ამ ხმებს გუნდში კატეგორიულად უარყოფენ.

*"ჩვენ ისევე შეუფერხებლად გვაფინანსებენ, როგორც ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდე და არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია - "ჩიხურა" ჩვეულებრივი რეჟიმით ცხოვრობს"* – ამბობს საჩხერელთა მთავარი მწვრთნელი **სოსო ფრუიძე.**

"ჩიხურა" 46 ქულით პირველი ლიგის "ბ" ზონის ერთპიროვნული ლიდერია, უახლოეს მდევარ ლანჩხუთის "გურიას" 13 ქულით უსწრებს და უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლის რეალური კანდიდატია – გუნდში ხომ არაერთი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს.

საჩხერულ კლუბს ფინანსურად რომ არ უჭირს, ამაზე მისი სატურნირო მდგომარეობაც მეტყველებს, შემადგენლობაც და ისიც, რომ, კონკურენტებისგან განსხვავებით, მხოლოდ საქართველოში მომზადებით არ შემოიფარგლება - იგეგმება "ჩიხურას" ანთალიაში მომზადებაც. ფრუიძემ გვითხრა, რომ ეს საკითხი მალე გადაწყდება.

ერთი შეხედვით, "ჩიხურა" შეკრებას გვიან, 18 იანვარს იწყებს, მაგრამ მიზეზი ისაა, რომ პირველ ლიგაში სეზონი 2 მარტს განახლდება. ასე რომ, საჩქარო არაფერია.

ჯერ უცნობია, რა ცვლილებები იქნება გუნდში, ფრუიძის თქმით, დღემდე არც არავინ გაუშვიათ და არც ახლები დაუმატებიათ, თუმცა ცვილებები აუცილებლად იქნება — თქვა მთავარმა მწვრთნელმა.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ეტაპის შეჯამება. მერანი

# სეზონ-სეზონ წინ და წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა


მერანის მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჟვანია


ვალერი იობაშვილი (№4), მეკარე ჯონი შეროზია და გივი დიდავა ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ხვდებოდნენ


გიორგი მანწკავამ (მარცხნივ) 17 თამაშში 6 გოლი გაიტანა

*"მშვიდ გარემოში მუშაობა მწვრთნელს საკუთარი იდეების განხორციელებას უადვილებს. უკვე მეოთხე სეზონია, "მერანის" მთავარი მწვრთნელი ვარ და თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ ჩემი ხელმძღვანელობით კლუბი ყოველწლიურად წინ მიდის", - ეს სიტყვები მარტვილის "მერანის" მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ ჟვანიამ "ლელოსთან" ინტერვიუში თქვა. "მერანის" წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზადაც სწორედ მწვრთნელისთვის გამოცხადებული უდიდესი ნდობა და კომპეტენტური სამწვრთნელო შტაბის გეგმაზომიერი მუშაობა უნდა მივიჩნიოთ.*

სპეციალისტმა კლუბში ზედიზედ ოთხი სეზონი რომ გაატაროს, ევროპაშიც კი იშვიათი ამბავია. საქართველოსთვის კი, სადაც მწვრთნელს მცირე ჩავარდნასაც კი არ აპატიებენ, სამაგალითო შემთხვევაა. ჟვანიამ და მისმა თანაშემწეებმა კლუბის ხელმძღვანელობის ნდობა ასი პროცენტით გაამართლეს და "მერანი" სეზონიდან სეზონამდე აუმჯობესებს შედეგებს.

თავად განსაჯეთ – არცთუ სოლიდური ბიუჯეტისა და არავარსკვლავური შემადგენლობის მქონე კლუბმა შარშანწინ საქართველოს თასის ნახევარფინალამდე მიაღწია, შარშან უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, მიმდინარე სეზონში კი უკვე უმაღლეს ლიგაში წარმოადგენს ნებისმიერი მეტოქისთვის საფრთხეს, თავი არაერთი ხმაურიანი გამარჯვებით დაგვამახსოვრა და ზამთრის შესვენებას მეხუთე ადგილზე მყოფი შეხვდა, "ვირტუალურ" სატურნირო ცხრილში კი გაცილებით უკეთეს პოზიციაზეა!

"მერანში" სპონტანურად არაფერი ხდება, კლუბი თანამედროვე მიდგომით ვითარდება, რითაც მასზე მდიდარ არაერთ კონკურენტს სჯობნის და მომავალშიც უთუოდ აჯობებს.

## ფინიშზე შეწყვეტილი სერია

22 დეკემბრამდე, სანამ "ზესტაფონთან" გადადებულ მატჩში დამარცხებოდნენ, მარტვილელებს შინ მარცხი არ ჰქონდათ განცდილი. მეტიც, საკუთარ მოედანზე მხოლოდ გორის "დილასთან" დასჯერდნენ ფრეს, სხვა ყველა შეხვედრა კი მოგებული ჰქონდათ!

სტუმრად წარმატების მიღწევა "მერანს" უჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო და გასვლაზე ორი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა – "კოლხეთისა" და "სპარტაკის" ძლევით მარაგი მნიშვნელოვანი ქულებით შეივსო.

## მეთორმეტე მოთამაშე

თუ ვინმეზე შეგვიძლია ვთქვათ, საშინაო გუნდიაო-თქო, უპირველეს ყოვლისა, "მერანზე". მარტვილში მოედნის ხარისხი არასახარბიელოა, თუმცა მხოლოდ ამის ბრალი არ უნდა იყოს, "მერანის" მეტოქეებისთვის იქ თამაში ურთულესი რომ არის. სამეგრელოს ამ პატარა ქალაქში ფეხბურთი ძალიან უყვართ და საყვარელ გუნდსაც ყოველთვის ამხნევებს ქართული მასშტაბით მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი. ასე რომ, "მერანს" ნამდვილი მეთორმეტე მოთამაშე ჰყავს, რომელიც გამარჯვებაში ხშირად თამაშობს დიდ როლს.


მარტვილელი გულშემატკივარი მე-12 მოთამაშეა

## ზეიმი მრავლად იყო

ბრწყინვალე საშინაო სერიის შეწყვეტამდე ოთხი დღით ადრე კი მარტვილში დიდი ზეიმი იყო – "მერანმა" "დინამო" 2:1 დაამარცხა. ჟვანიას გუნდმა ხასიათის გასაოცარი სიმტკიცე აჩვენა, გამოუყენებელი თერთმეტმეტრიანის მიუხედავად, ერთბურთიანი ჩამორჩენაც ალმოფხვრა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებს დრამატულ ბრძოლაში სძლია.

"დინამოსთან" გამარჯვების გარდა, უნდა გამოვარჩიოთ "ტორპედოს" დამარცხება და "ვიტ ჯორჯიას" განადგურება. ყველაზე უსიამოვნო ამბავი კი საქართველოს თასის მეოთხედფინალში განცდილი მწარე მარცხი იყო.

## განახლება ყოველთვის საჭიროა

"მერანის" ბირთვი უცვლელია, თუმცა გუნდის შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მაინც მოხდება. მარტვილის "მერანი" ხუთ ფეხბურთელს დაემშვიდობა – მცველებს, **თორნიკე შალიკაშვილსა და ლევან ჭაფოძეს**, ნახევარმცველებს, **გიორგი მემარნიშვილსა** და **ჟოელ იატროს**, და თავდამსხმელ **გურამ სამადაშვილს**.

ახალწვეულთა ვინაობას კი სულ რამდენიმე დღეში შევიტყობთ. "მერანმა" უკვე მოიპოვა იმხელა ავტორიტეტი, რომ იქ ფეხბურთელი მხოლოდ ხელფასისთვის არ გადავიდეს. მოთამაშეებს გული მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდისკენ მიუწევთ. ამასთან, "მერანს" იმის საშუალებაც აქვს, რომ სასურველი ფეხბურთელი ნორმალური კონტრაქტითაც დააინტერესოს.

### მეკარეები

"მერანის" ძირითადი მეკარე 21 წლის **ჯონი შეროზიაა**, რომელმაც თავი საიმედო თამაშით დაგვამახსოვრა და უმაღლეს ლიგაში, დებიუტიდან მცირე ხნის შემდეგ, კარიერაში კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა – საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა. მარტვილელებს მეკარის პრობლემა ნამდვილად არ აქვთ. ჟვანია შეროზიას დუბლიორის, 28 წლის **გიზო შენგელიას** კონდიციებითაც კმაყოფილია.

### მცველები

"მერანის" დაცვის ოთხეული მკაფიოდაა განსაზღვრული და თუ ამ ოთხიდან რომელიმეს ტრავმა ან დისკვალიფიკაცია არ აქვს, მარტვილელთა უკანა ხაზი ასე გამოიყურება: მარჯვნივ 21 წლის **თორნიკე კაკუშაძე**, ცენტრში 23 წლის **ვალერი იობაშვილი** და 29 წლის **გიგა ჟვანია**, მარცხნივ – 23 წლის **ანზორ სუხიაშვილი**. საკუთარ ფუნქციებს ოთხივე მათგანი მაღალ დონეზე ასრულებდა, მაგრამ მაინც სუხიაშვილი უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენაა.

### ნახევარმცველები

"მერანი" ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ იქ ვეტერანების ფასიც კარგად იციან. ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერი ხომ 36 წლის **გივი დიდავაა**, რომელიც გუნდს სეზონის მსვლელობისას შეუერთდა და უმალ იქცა მარტვილელთა შუახაზის გამორჩეულ ფიგურად; 30 წლის **გიორგი მანწკავა** კი სულაც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა შორისაა გარეული; ფართო საზოგადოებამ ამ სეზონში გაიცნო შემტევი ტიპის 22 წლის ნახევარმცველი **ელგუჯა გრიგალაშვილი**, რომელიც საფეხბურთო აზროვნებითა და მოედნის ხედვით "ზესტაფონში" მოთამაშე უფროს ძმას, შოთას ძალიან წააგავს და უდავოდ კარგი მომავალი აქვს; უნივერსალური თვისებებითა და საიმედო თამაშით დაგვამახსოვრა თავი 24 წლის **ლაშა ჩალაძემაც**.

"მერანის" ძირითადი ბირთვი გამოკვეთილია, მაგრამ გუნდს საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს. განსაკუთრებით მძაფრ კონკურენციას ნახევარდაცვის ხაზში უნდა ველოდოთ.

### თავდამსხმელები

"მერანის" თავდასხმის ლიდერი **მუნინი ტაპეა**. 21 წლის კოტ'დივუარელს, რომელიც ქართულ ატმოსფეროს კარგად გაუშინაურდა და უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონს დამაჯერებლად ატარებს, საიმედო პარტნიორობას თანატოლი **გიგა ამბროლაძე** უწევს. მარტვილელთა თავდასხმის ხაზი სწორედ ამ ორი ფეხბურთელისგან შედგება და სეზონის პირველ ნახევარში მათ კონკურენციას ვერავინ უწევდა. წესით, "მერანმა" მინიმუმ ერთი ძლიერი ფორვარდი უნდა დაიმატოს, რაც კონკურენციას შეტევაშიც გაზრდის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### მერანის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| I ტური | გაგრა-მერანი | 3:0 |
| II ტური | მერანი-სპარტაკი | 2:0 |
| III ტური | ვიტ ჯორჯია-მერანი | 0:0 |
| IV ტური | მერანი-ტორპედო | 1:0 |
| V ტური | ზესტაფონი-მერანი | 3:1 |
| VI ტური | მერანი-დილა | 2:2 |
| VII ტური | დინამო-მერანი | 2:1 |
| VIII ტური | კოლხეთი-მერანი | 0:1 |
| IX ტური | მერანი-სიონი | 3:0 |
| X ტური | მეტალურგი-მერანი | 2:1 |
| XI ტური | მერანი-გაია | 1:0 |
| XII ტური | მერანი-გაგრა | 1:0 |
| XIII ტური | სპარტაკი-მერანი | 1:2 |
| XIV ტური | მერანი-ვიტ ჯორჯია | 3:0 |
| XVII ტური | დილა-მერანი | 3:0 |
| XV ტური | ტორპედო-მერანი | 2:1 |
| XVIII ტური | მერანი-დინამო | 2:1 |
| XVI ტური | მერანი-ზესტაფონი | 0:2 |

მეკარეები: ჯონი შეროზია – 17, გიზო შენგელია – 1;

მცველები: თორნიკე კაკუშაძე – 18, გიგა ჟვანია – 17 (1), ანზორ სუხიაშვილი – 17 (1), ვალერი იობაშვილი – 14 (1), ლევან ჭაფოძე – 5, თორნიკე შალიკაშვილი – 2, კიჭი მელიავა – 1;

ნახევარმცველები: ლაშა ჩალაძე – 18 (2), გიორგი მანწკავა – 17 (6), ელგუჯა გრიგალაშვილი – 17 (4), გივი დიდავა – 16, გიორგი მემარნიშვილი – 14, გიმზერ წოწორია – 8, ოთარ ტორაძე – 7, ჟოელ იატრო – 2, დავით ქამუშაძე – 2;

თავდამსხმელები: გიგა ამბროლაძე – 18 (1), მუნინი ტაპე – 17 (5), გურამ სამადაშვილი – 13, ლაშა კუჭუხიძე – 4.

**მწვრთნელი**

მალხაზ ჟვანია (I-XVIII ტური)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ. ფრანკ რიბერი

# ასე კარგად არასდროს ვყოფილვარ!

## ფრანკს გული კარგს უგრძნობს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავალთო...

**ფრანკ რიბერიმ ბუნდესლიგის პირველი წრე შესანიშნავად ჩაატარა. რაც მთავარია, გერმანიის ჩემპიონატის 17-ივე შეხვედრაში ითამაშა და სეზონის პირველი ნახევარი ტრავმის გარეშე დაასრულა. ამასთან, მან 8 გოლის გატანა შეძლო, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესლიგის ყველაზე გოლუხვი ნახევარმცველია. ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს 9 საგოლე პასიც – რიბერი გერმანიაში საუკეთესო მეპასეა. „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბუნდესლიგის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელი ამ ყველაფრის მიზეზებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს.**

- ასეა და ამის მიზეზი ხშირი ტრავმიანობაც იყო. ამას მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების ფიასკო და სამარცხვინო სკანდალიც დაემატა და თავს მართლა ცუდად ვგრძნობდი. თუმცა ცუდს ყოველთვის კარგი პერიოდი მოსდევს ხოლმე და ახლა ბედნიერი ვარ.

**- რა იყო გარდამტეხი?**

- ბევრი რამ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ული ჰიონესს და კარლ-ჰაინც რუმენიგეს, რომლებიც ჩემზე ყოველთვის ზრუნავენ. ული და კალე მძიმე დროს მხარში ამომიდგნენ და პირდაპირ ვიტყვი, ხელმძღვანელებისგან ასეთი სითბო სხვა არც ერთ კლუბში არ მიგრძნია. ვატყობ, რომ ასე მხოლოდ „ბაიერნში"



ბუნდესლიგის პირველ წრეში ფრანკ რიბერის ანგარიშზე 8 გოლი და 9 საგოლე პასია

**- ჰერ რიბერი, თქვენი ვაჟი 4 თვის გახდა. უკვე „ბაიერნშიც" ხომ არ ჩაწერეთ?**

- არა, ჯერ არა. ვნახოთ, რამდენს შემოგვთავაზებს ული ჰიონესი (იცინის)...

**- პირველი ვაჟი გეყოლათ და ალბათ ბედნიერი ხართ...**

- რა თქმა უნდა. გოგონები ძალიან საყვარლები არიან, მაგრამ ყოველთვის მინდოდა, რომ ვაჟიც მყოლოდა. ცხადია, ფეხბურთელი უნდა გამოვიდეს...

**- რაკი მიუნხენში დაიბადა, ეს „ბაიერნის" სამუდამო ერთგულებასაც ხომ არ ნიშნავს?**

- მე და ჩემმა მეუღლემ ერთად გადავწყვიტეთ, რომ მიუნხენში უნდა ემშობიარა, რადგან ვაჰიბა აქ თავს ძალიან კარგად გრძნობს. თავიდან ასე არ იყო, მაგრამ მერე მიეჩვია და ახლა მიუნხენი შეუყვარდა კიდეც. სახლი ვიყიდეთ, უკვე ყველა ქუჩა ზეპირად იცის, ჩვენი გოგონები, ჰიზია და შაჰინესი სკოლასა თუ საბავშვო ბაღში თავს ძალიან კარგად გრძნობენ, გვყავს შესანიშნავი მეგობრები და ა.შ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის მიუნხენი უკვე მშობლიური ქალაქია და შესაბამისად, დიდია იმის შანსი, რომ აქ სამუდამოდ დავრჩე. რა იცით, იქნებ სულაც „ბაიერნის" პრეზიდენტი გავხდე (იცინის). ხუმრობა იქით იყოს და მოკლედ, აქ თავს მართლა შესანიშნავად ვგრძნობ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს სიცოცხლეში ასე კარგად სხვა დროს და სხვაგან არ ვყოფილვარ.

**- არადა, თავიდან მიუნხენში არც ისე ბედნიერი იყავით...**

ხდება ხოლმე. მინდა, მადლობა ჩვენს ფიზიოთერაპევტ ჯანი ბიანკისა და ფიტნესმწვრთნელ თომას ვილჰელმისაც გადავუხადო – ისინიც ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან.

**- მას მერე, რაც „ბაიერნში" თამაშობთ, პირველად მოხდა ისე, რომ ბუნდესლიგის პირველი წრის 17-ივე მატჩი ითამაშეთ...**

- ჰო, და სწორედ ეს არის ბიანკისა და ვილჰელმის დამსახურება. განსაკუთრებით ახლოს ჯანისთან ვარ – ჩვენ ოჯახებით ვსტუმრობთ ხოლმე ერთმანეთს და ერთმანეთს ყველაფერს ვეუბნებით. ერთი სიტყვით, სწორედ ამ ყველაფრის დამსახურებაა ის, რომ სეზონის პირველი ნახევარი კარგად ჩავატარე. როცა მოედანს მილმა არაფერი მაწუხებს, მინდორზე ყოველთვის ძალიან კარგად ვთამაშობ. იუპ ჰაინკესი დამავიწყდა – „ბაიერნში" ჩემი ბედნიერების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი „დონ იუპიცაა". ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია, მიუნხენში რომ დაბრუნდა.

**- იყო დაპირისპირებებიც. მაგალითად, თქვენმა ყოფილმა მრჩეველმა სასამართლოში გიჩივლათ. არადა, იყო დრო, როცა მასაც ახლო მეგობრად მოიხსენიებდით...**

- როგორც აღმოჩნდა, მწარედ ვცდებოდი. მას უბრალოდ რაღაც-რაღაცების შეშურდა...

**- არ გეშინიათ, რომ შესაძლოა, სხვა პიროვნებებშიც ცდებოდეთ?**

- არა, რადგან ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებთან ერთად უკვე ბევრი რამ გადავიტანე – ისინი გამოვცადე როგორც ცუდ, ისე კარგ დროსაც და ახლა მათში უკვე 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ. რომ არა ჩემი მეგობრები, არასდროს დამავიწყდებოდა, საიდანაც მოვდივარ...

**- რას გულისხმობთ?**

- მხოლოდ და მხოლოდ ათი წელია გასული მას მერე, რაც მამაჩემი გზების მშენებლობაზე უბრალო მუშად მუშაობდა. მისთვის, ისევე, როგორც მთელი ჩემი ოჯახისთვის, რა თქმა უნდა, საოცნებო იყო ის, რასაც მივაღწიე და ეს ყოველთვის მახსოვს. ვინც კარგად მიცნობს, იცის, რომ გულახდილი და თბილი ადამიანი ვარ. მიუხედავად ამდენი წარმატებისა და ასეთი პოპულარობისა, დღეს მაინც ის, ძველი ფრანკი ვარ. ბულონჟში დღესაც მუდმივი ურთიერთობა მაქვს იმ მეგობრებთან, რომლებთანაც ბავშვობაში ახლოს ვიყავი.

**- ამას წინათ ბულონჟში ბარიც გახსენით...**

- ადრე იქ ასეთი ბარები არ იყო. მინიკაფე-ბარები საღამოს 10 საათზე იკეტება, ჩემი ბარი კი დიდხანს მუშაობს. იქ შესაძლებელია ჩილიმის მოწევაც. სხვათა შორის, მეგობრებთან ერთად ჩილიმს ხანდახან მეც ვეწევი ხოლმე. ალკოჰოლს კი არ ვეკარები – ჩვენ ხომ მუსლიმანები ვართ.

**- „ბაიერნზე" და ბუნდესლიგაზე ვისაუბროთ. სამწუხაროდ, მეორე წრის პირველ მატჩში (გლადბახთან) დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებთ... აღიარებთ, რომ „კიოლნთან" ცუდად მოიქეცით?**

- მოედანზე ყოველთვის ძალიან მონდომებული და ხშირად აგრესიულიც ვარ. ასეთია ჩემი მენტალიტეტი, რომელსაც უკვე ველარავინ შეცვლის. სხვათა შორის, ადრე უფრო აგრესიული ვიყავი. როცა ფეხებში ბევრს მირტყამენ და ჩემს პროვოცირებას ცდილობენ, მოთმინებას იოლად ვკარგავ ხოლმე. ვაღიარებ, რომ ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, რადგან ჩემი თავშეუკავებლობის გამო გუნდი კაცნაკლული დარჩა, მაგრამ საკუთარ თავს დიდად არ ვამტყუნებ. თუმცა ის კი ვიცი, რომ მაქსიმალურად თავშეკავებული უნდა ვიყო.

**- რა მიზნები გაქვთ ამ სეზონში?**

- მინდა, მინიმუმ ისე კარგად ვითამაშო, როგორც ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ვთამაშობდი. თუ ასე გავაგრძელებ, ნამდვილად მექნება იმის შანსი, რომ წლის საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე. თუმცა „ბაიერნთან" ერთად ტიტულების მოგება უფრო მნიშვნელოვანია.

**- და ორი აზრი არ არსებობს, პირველ რიგში ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობთ...**

- რა თქმა უნდა! ძალიან მინდა, რომ ფინალში გავიდეთ. 2010 წლის ფინალში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ვიასპარეზე და მაშინ ამის გამო კინაღამ დეპრესია დამეწყო. ვოცნებობ იმაზე, რომ 19 მაისს ული ჰიონესს ჩემპიონთა ლიგის თასი ვაჩუქო! სხვათა შორის, გული კარგს მიგრძნობს. დღეს „ბაიერნი" ისეა მონდომებული, როგორც არასდროს და რაკი კარგი გუნდი გვყავს, ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ცხადია, გერმანიის ჩემპიონებიც უნდა გავხდეთ, ვფიქრობ, რომ პირველი კონკურენტი დორტმუნდის „ბორუსიაა". საკმაოდ ძლიერია „შალკეც".

**- როგორ ფიქრობთ, რა უფრო სავარაუდოა: „ბაიერნმა" რომ ჩემპიონთა ლიგა მოიგოს, თუ გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი რომ გახდეს?**

- პირველი! იმიტომ, რომ მე გერმანიის ნაკრები არ მაინტერესებს (იცინის)

**- გინდათ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს გერმანია და საფრანგეთი დაუპირისპირდნენ?**

- არა, რადგან ჩემი მეგობრების წინააღმდეგ ბრძოლა არ მინდა. ევრო 2012-ის მთავარ ფავორიტებად გერმანია და ესპანეთი მიმაჩნია. ფაქტია, რომ საფრანგეთის ნაკრები ისევ მძიმე წნეხის ქვეშ იქნება მოქცეული. ჩვენთვის მთავარი ჯგუფიდან გასვლაა.

დორტმუნდის ბორუსია



მარიო გიოტცე დორტმუნდში ბედნიერია

# გიოტცე: დორტმუნდიდან წასვლას არ ვაპირებ!

## მარიოს სჯერა, რომ BVB-ს დიდი მომავალი აქვს

დორტმუნდის „ბორუსიას" შემტევმა ნახევარმცველმა **მარიო გიოტცემ** დაადასტურა, რომ მზადაა, გერმანიის ჩემპიონთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს. მიუხედავად იმისა, რომ მის ამჟამინდელ ხელშეკრულებას ვადა 2014 წლამდე აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ 19 წლის ვუნდერკინდს არსად ეჩქარება, მან „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „დორტმუნდთან" ერთად შორეული გეგმები აქვს, რის გამოც წინააღმდეგი არ არის, რომ ახლავე ახალი, უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი გაფორმდეს.

*„ყოველთვის ვამბობდი და ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ, რომ „ბორუსიაში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. აქ მყავს ოჯახი და უახლოესი მეგობრები. ესეც რომ არ იყოს, „დორტმუნდის" კონცეფცია ძალიან მომწონს და კლუბის გამოცვლაზე ნამდვილად არ ვფიქრობ"*, - უთხრა გიოტცემ „ბილდს".

მარიო **მარკო როისის** ხმაურიან ტრანსფერსაც გამოეხმაურა: *„როისის სახით ჩვენთან გერმანული ფეხბურთის კიდევ ერთი ამომავალი ვარსკვლავი გადმოვა, რაც იმის გარანტიაა, რომ ამ კლუბს დიდი მომავალი აქვს. მინდა, რომ მეც ამ კონცეფციის ნაწილი ვიყო. სხვათა შორის, ძალიან მომწონს ნური შაჰინის ჩვენთან დაბრუნების იდეაც. დარწმუნებული ვარ, რომ თავს „რეალშიც" დაიმკვიდრებს, მაგრამ თუ ჩვენთან დაბრუნდება, უფრო გამიხარდება."*

სამაგიეროდ, გიოტცე თითქმის დარწმუნებულია იმაში, რომ „ბორუსია" გერმანიის ჩემპიონობას ვერ შეინარჩუნებს. მისი აზრით, წელს „ვერცხლის სინს" ისევ „ბაიერნი" დაისაკუთრებს, თუმცა იქვე დასძენს, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ასე არ მოხდესო.

ჰანოვერი

# სლომკა: მიყიდეთ თავდამსხმელი!

## პეტერსენმა მირკოს უარი შეუთვალა

„ჰანოვერის" მთავარმა გოლეადორმა **მოჰამედ აბდელაუმ** საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც „წითლების" მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** კლუბის ხელმძღვანელებს თავდასხმის გაძლიერებას სთხოვს.

*„თუ გვინდა, რომ ამ სეზონში ისევ ევროტურნირებისთვის ვიბრძოლოთ, სატრანსფერო ბაზარზე უნდა გავაქტიურდეთ და მინიმუმ ახალი თავდამსხმელი უნდა ვიყიდოთ"*, - განაცხადა სლომკამ პორტუგალიაში, სადაც „ჰანოვერი" ბუნდესლიგის მეორე წრისთვის მოსამზადებელ შეკრებას გადის.

აბდელაუს ტრავმას ისიც ემატება, რომ „ჰანოვერის" კიდევ ერთი ფორვარდი **დიდიე ია კონანი** აფრიკის თასზე იასპარეზებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „წითლებს" მეორე წრის საწყის ტურებში ვერ დაეხმარება. სხვათა შორის, ტრავმა აწუხებს **იან შლაუდრაფსაც**. მოკლედ, სლომკას თავდასხმაში უჭირს და აქვე გეტყვით, რომ „ჰანოვერის" შეფებმა მიუნხენის „ბაიერნის" ბოსებს **ნილს პეტერსენის** იჯარაზე ჩამოუგდეს სიტყვა, მაგრამ რეკორდმაისტერის სათადარიგო ცენტრფორვარდისგან უარი მიიღეს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



მოჰამედ აბდელაუ (წინა პლანზე) დაშავდა, მირკო სლომკა ახალ თავდამსხმელს ითხოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერული დერბის გამოხმაურება



კრის ფოიმ უამრავი შეცდომა დაუშვა

# შეუსრულებელი მისია

"სიტი"-"იუნაიტედის" შეხვედრაში მსაჯის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა თამაშის მეორე დღეს მთელ ინგლისს სალაპარაკო მისცა. გარდა იმისა, რომ **კრის ფოიმ ვენსან კომპანი** მე-12 წუთზე ფრიად საეჭვო სიტუაციაში გააძევა, თამაშის ბოლო წუთებზე აშკარა პენალტი არ დანიშნა **ფილ ჯონსის** მიერ ხელით თამაშისთვის. მატჩის შედეგს რომ არაფერი ეშველება, ყველამ იცის, აი, ბელგიელი მცველის რეაბილიტაცია კი შესაძლებელია – "დეილი მეილის" ცნობით, კლუბი ფედერაციისგან წითელი ბარათის გაუქმებას მოითხოვს.

მთავარმა "დამნაშავე" კომპანიმ გუშინ თავის ტვიტერში კომენტარი გააკეთა მის თავს გადახდენილ ამბავთან დაკავშირებით. აი, რას წერს ის: "ვფიქრობ, "სიტის" ფანები და ფეხბურთელები კმაყოფილნი უნდა ვიყოთ მატჩით. მართალია, ანგარიში ჩვენს სასარგებლოდ არ დაფიქსირდა, მაგრამ ამის მიუხედავად თავს მორალურად გამარჯვებულებად ვგრძნობთ. ფერგიუსონის მატჩის შემდგომმა კომენტარებმა უბრალოდ შოკში ჩამაგდო. ეტყობა, ეს ნიშანია".

ტვიტერზევე გამოთქვა თავისი აზრი **სერხიო აგუერომაც**: "მსაჯებს იშვიათად ვაკრიტიკებ, მაგრამ ახლა უნდა ვთქვა, რომ კომპანის გაძევებამ ჩვენი თამაში "მოკლა". მინდა მადლობა ვუთხრა "სიტის" ქომაგებს, რომლებიც მხარს გვიჭერდნენ. თუკი ამის მერეც ერთად დავდგებით, დიდ სიმაღლეებს შევწვდებით. დიახ, წავაგეთ, მაგრამ ამ მარცხმა ჩვენ კიდევ უფრო ძლიერები გაგვხადა. ასეთ განწყობილებას თუ შევინარჩუნებთ, ჩვენ თვის შეუძლებელი არაფერი იქნება".

მსაჯის მოქმედებით უკმაყოფილო დარჩა **რობერტო მანჩინიც**. მან ჟურნალისტებთან გასაუბრება პირადად ისურვა და განუცხადა, რომ კრის ფოიმ კომპანის გაძევების გადაწყვეტილება **რუნის** ზეწოლის გამო მიიღო. "რა თქმა უნდა უკმაყოფილო ვარ, რომ თასიდან გამოვვარდით, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც კარგი მატჩი ჩავატარეთ. მე ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ, რადგან მათ უდრეკი ხასიათი გამოავლინეს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შეგვიძლია პრემიერლიგის მოგება. ამასთან, ვფიქრობ, რომ თამაშის გაუმჯობესება კიდევ გვჭირდება. რაც შეეხება მსაჯობას, ვფიქრობ, მოცემულ მომენტში წითელი ბარათის ჩვენება აუცილებელი არ იყო. ამ თემაზე მეტს არაფერს ვიტყვი," – ვკითხულობთ იტალიელის სიტყვებს "აირიშ ტაიმსში".

მსაჯთან პრეტენზია არ აქვთ "იუნაიტედის" ვარსკვლავებს. რუნი მანჩინის ბრალდებასაც გამოეხმაურა და თქვა: "სასაცილოა, როცა ფიქრობენ, რომ კომპანის გაძევება ჩემი ბრალი იყო. მე არ ვარ მსაჯი და ბარათი მე არ მიჩვენებია. თანაც ვენსანი აშკარად გასაგდები იყო". მის აზრს იზიარებს **რიო ფერდინანდიც**: "რაზე შეიძლება ვიკამათოთ გუშინდელ წითელ ბარათთან დაკავშირებით? ფეხბურთელი ტყუპი ფეხით გადახტა წინ. ეს კი წითლით ისჯება".

ფერდინანდის შეკითხვა, რაზე შეიძლება ვიკამათოთო, ნამდვილად არ არის რიტორიკული. ფოის გადაწყვეტილებას შეცდომა უწოდა სახელგანთქმულმა არბიტრმა **გრემ პოლმა**. "კომპანისთვის წითელი ბარათის ჩვენება ზედმეტი იყო, რადგან ის თავის მოქმედებებს აკონტროლებდა, განსხვავებით ფრენკ ლემპარდისგან "ვულვერჰემპტონთან" შეხვედრაში, როცა მან მხოლოდ ყვითელი ბარათი დაიმსახურა. ეს დარღვევა ბევრად სერიოზული იყო. აშკარაა, რომ ფოიმ თავი ვერ გაართვა მასზე დაკისრებულ მისიას, რადგან იმის თქმაც კი შეიძლება, რომ კომპანის თამაშის წესი საერთოდ არ დაურღვევია. ხომ ნახეთ, ნანის პრეტენზია არც კი გამოუთქვამს. თუკი არბიტრს სურდა შეხვედრაში საკუთარი მონაწილეობა დებიუტშივე აღენიშნა, მაქსიმუმ ყვითელი უნდა ეჩვენებინა. არ მომეწონა რუნისა და კერიკის რეაქციაც, რადგან მათ მსაჯზე ზემოქმედება სცადეს. ეს ისეთი კატეგორიის შეხვედრა იყო, რომელზეც დამატებითი მსაჯების დანიშვნაც არ იქნებოდა ურიგო. პენალტები იყო დასანიშნი კოლაროვისა და ჯონსის მიერ თამაშის წესების დარღვევის გამოც," – დაწერა გრემ პოლმა "დეილი მეილის" ფურცლებზე.

● სანქცია

# მორიგი ჯარიმა ტევესს



კარლოს ტევესი

"მანჩესტერ სიტის" 27 წლის არგენტინელ თავდამსხმელ კარლოს ტევესს კლუბმა რამდენჯერმე უკვე ჩამოაჭრა სოლიდური თანხა სხვადასხვა სახის დარღვევისთვის. მათ შორის იყო 800-ათასფუნტიანი ჯარიმა იმისთვის, რომ ფეხბურთელმა "ბაიერნის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში (27 სექტემბერი, 0:2) უარი თქვა შეცვლაზე ეთამაშა. მაშინ საქმეში პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია ჩაერია და აღნიშნული თანხის განახევრება მოითხოვა, რაზეც "სიტი" იოლად დათანხმდა. თუმცა ბუნტისთავი ტევესის ოინები ამით არ დამთავრებულა. კლუბის ხელმძღვანელთა თანხმობის გარეშე ის სამშობლოში გაემგზავრა და 4-5 დღის განმავლობაში მათთან კონტაქტზე არც კი გადიოდა. ტევესი მანჩესტერში მალევე დაბრუნდა, თუმცა ამ საქციელისთვის პასუხი ჯერაც არ უგია. "ქალაქელები" ამ საქმის დაწყებას არ აპირებენ და აცხადებენ, რომ კარლოსს კლუბის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის უპრეცედენტო ჯარიმის – 1 მილიონი ფუნტის გადახდა მოუწევს.

● ამბები

## შვარცერი ისევ პირველია

"ფულჰემის" მთავარი მწვრთნელის **მარტინ იოლის** თქმით, მიუხედავად 25 წლის **დევიდ სტოკდეილის** დამაჯერებელი თამაშისა, ის ავსტრალიელ **მარკ შვარცერს** ისევ პირველ მეკარედ განიხილავს და როგორც კი 39 წლის ფეხბურთელი თამაშს განაახლებს, ადგილს ძირითად შემადგენლობაში აუცილებლად დაიბრუნებს: "არასოდეს შემპარვია ეჭვი შვარცერის შესაძლებლობებში. ის არა მხოლოდ პრემიერლიგის, არამედ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეცაა. იმ გუნდებში, სადაც მიმუშავია, უამრავ კარგ გოლკიპერს უთამაშია. მარკს მათ შორისაც კი გამოვარჩევ. ყოველთვის კარგია იმის გააზრება, რომ გუნდში კარგი სარეზერვო მეკარე გყავს, რაც სტოკდეილმა ნამდვილად დაგვიმტკიცა. თუმცა ამით არაფერი იცვლება, შვარცერი შვარცერია".

## რობი კინი ასტონ ვილაში

"ლოს ანჯელეს გალაქსის" 31 წლის ირლანდიელი თავდამსხმელი **რობი კინი 2**-თვიანი იჯარით "ასტონ ვილაში" ითამაშებს, - იუწყება ბირმინგემული კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. ამერიკის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ირლანდიელი ფორმას "ტოტენჰემთან" ერთად ვარჯიშით ინარჩუნებდა, თუმცა სათამაშო პრაქტიკის მიღებისა და ევრო 2012-ისთვის უკეთ მომზადების მიზნით "ვილაში" თამაში არჩია. კინმა გუშინ უკვე ჩაატარა პირველი სრულფასოვანი ვარჯიში ახალ გუნდთან ერთად. მას პრემიერლიგის 21-ე ტურში "ევერტონთან" შეხვედრაში უკვე ექნება თამაშის უფლება.



## კინგის მორიგი ტრავმა

"ტოტენჰემის" 31 წლის კაპიტანმა **ლედლი კინგმა** მუხლის კიდევ ერთი სერიოზული ტრავმა მიიღო და მინდორს გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა. წინასწარი დასკვნით, მას მუხლის ჯვარედინი მყესები აქვს დაზიანებული. "ის უბრალოდ დარბოდა და მყესები ამ დროს დაიჭიმა. სამწუხაროა, რომ არჩევანი მცველებს შორის პრაქტიკულად არ მაქვს. ჩემს განკარგულებაში მხოლოდ დოუსონი, ბასონგი და კაბული არიან, რაც ძალიან ცოტაა", – განაცხადა "დეზების" მთავარმა მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა**.

## კიდევ ერთი გასკოინი

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** უკმაყოფილება გამოხატა **უეინ რუნის** მიმართ პრესის დამოკიდებულებით. "რუნის არანაირი პრობლემა არ აქვს. ამ დროს კი მასმედია ამას დაულალავად გაჰკივის. უეინს მინდა ვუთხრა, რომ ჟურნალისტები მასში ახალ პოლ გასკოინს ხედავენ. არ აქვს მნიშვნელობა, რა სახის სათაურით ჩნდება მასალები პრესაში, ის მუდმივად ზეწოლის ქვეშაა", – ამბობს შოტლანდიელი.

● ვარსკვლავი



პოლ სქოულზი დიდ ფეხბურთში დაბრუნდა

# მადლობა ნდობისთვის

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი **პოლ სქოულზი** ფეხბურთელების იმ სიაში შედის, რომელსაც პრესასთან ურთიერთობა მაინცდამაინც არ უყვართ, მაგრამ ამჯერად მან ტრადიცია დაარღვია და ფეხბურთში დაბრუნებასთან დაკავშირებით ჟურნალისტებს მცირე კომენტარი მისცა: "თამაშს თავი დავანებე თუ არა, მალევე მივხვდი, რომ ფეხბურთი ძალიან მაკლდა. მოხარული ვარ, რადგან მწვრთნელს ძველებურად სჯერა, რომ გუნდისთვის სარგებლის მოტანა შემიძლია. მოუთმენლად ველოდები მომდევნო თამაშებს. ვეცდები, ამ დიად კლუბს წარმატებების მიღწევაში ხელი შევუწყო".

"შესანიშნავია, რომ პოლმა ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტა. ყოველთვის გულის დასაწყვეტია, როცა დიდი ფეხბურთელები კარიერას ასრულებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამას დროზე ადრე აკეთებენ. თუმცა სქოულზს არ შეუწყვეტია ვარჯიში, ამიტომ ის ახლაც მშვენიერ ფიზიკურ ფორმაშია. ბოლო დღეებში ის ბევრად უფრო ინტენსიურად იტვირთებოდა დუბლშემადგენლობასთან ერთად და ბევრს ვარჯიშობდა სპორტულ დარბაზშიც. აქამდეც ვიცოდი, რომ მას ჯერ კიდევ შეეძლო ერთი კარგი სეზონის ჩატარება "იუნაიტედის" შემადგენლობაში, რადგან ჩემთვის არაერთხელ უთქვამს, რომ ნანობდა კარიერის დასრულებას. რა თქმა უნდა ჩვენთან ყველა ბედნიერია, რომ პოლი დაბრუნდა. ის მშვენიერი შევსებაა, მით უფრო ასეთ რთულ პერიოდში," – განაცხადა სერ **ალექს ფერგიუსონმა**.

თანაგუნდელის დაბრუნებით აღფრთოვანებულია "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი **უეინ რუნიც**. აი, რა თქვა მან: "სქოულზი? სიმართლე გითხრათ, გაკვირვებული დავრჩი. ჩვენ არაფერი ვიცოდით მისი გადაწყვეტილების შესახებ იქამდე, ვიდრე "სიტისთან" მატჩამდე გასახდელში ჩვენთან ერთად არ შემოვიდა. მშვენიერია, რომ ის კარიერას აგრძელებს".

"სიტისთან" მატჩის შემდეგ სტატისტიკოსებმა გულშემატკივარს საინტერესო ინფორმაცია მიაწოდეს: 37 წლის ფეხბურთელმა 30 წუთის განმავლობაში 71 პასი გააკეთა, უფრო მეტი, ვიდრე "სიტის" ნებისმიერმა ფეხბურთელმა 90 წუთში და ამასთან პასების 97% ზუსტი იყო. აქვე გეტყვით, რომ სქოულზმა პროფესიული კარიერის განმავლობაში, დაწყებული 1993 წლიდან, "იუნაიტედის" შემადგენლობაში 466 შეხვედრა ჩაატარა და 102 გოლი შეაგდო. ინგლისის ეროვნულ გუნდში კი 66 მატჩში თავი 14-ჯერ გამოიჩინა.

● ქუინზ პარკი

# მოლაპარაკება დაიწყო

გუშინდელ ნომერში უკვე გაცნობეთ, რომ "ქუინზ პარკმა" არადამაკმაყოფილებელი შედეგებისთვის კარისკენ მიუთითა მთავარ მწვრთნელ **ნილ უორნოკს**. კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **ფილიპ ბერდი** აცხადებს, რომ შემცვლელს ისინი უახლოესი 48 საათის განმავლობაში დაასახელებენ: "ჩვენ ამ საკითხზე უკვე ვმუშაობთ. იმედი გვაქვს, რომ ახალი მთავარი მწვრთნელი გუნდს უკვე "ნიუკასლთან" საკვირაო შეხვედრისთვის მოამზადებს. მის ვინაობას მალე გაცნობებთ. ერთადერთი, რაც ახლა კლუბს სჭირდება, სტაბილურობაა".

უორნოკის დათხოვნის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე პრესამ ყველაზე სავარაუდო კანდიდატის ვინაობა დაასახელა. ლაპარაკია "ბლექბერნის", "მანჩესტერ სიტისა" და "ფულჰემის" ყოფილ თავკაც **მარკ ჰიუზზე**. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ მოლაპარაკებათა პირველი ეტაპი უელსელ სპეციალისტსა და "ქუინზ პარკის" პრეზიდენტ **ტონი ფერნანდესს** შორის უკვე დაგეგმილია.

კომენტარი გააკეთა კლუბიდან დათხოვნილმა უორნოკმაც: "ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ნამდვილად გულდაწყვეტილი ვარ. სხვანაირად ვერც იქნებოდა. ამის მიუხედავად, "ქუინზ პარკს" ამაყად თავაწეული ვტოვებ. აქ მუშაობა ისე მომწონდა, როგორც არსად სხვაგან. გუნდის ფანები ჩემდამი დადებითად იყვნენ განწყობილნი. ეს ხალხი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მათი საყვარელი გუნდი წარმატებული იყოს. კარგია, რომ კლუბის დირექტორატი ამბიციურია, მე მათ მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებ".

რაკი ლაპარაკი "ქუინზ პარკზე" ჩამოვარდა, აქვე ერთ სამწუხარო ინფორმაციას მოგაწვდით: გუნდის წამყვანმა ნახევარმცველმა, 25 წლის ურუგვაელმა **ალეხანდრო ფორლინმა** "დონსთან" ასოციაციის თასის მესამე ეტაპის შეხვედრის ჩამთავრება ტრავმის გამო ვერ შეძლო. ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ სამხრეთამერიკელს მუხლის ჯვარედინი იოგები აქვს გაწყვეტილი და ამიტომ სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევს. "სეზონის ბოლომდე ველარ ვითამაშებ. წარმოუდგენლად დათრგუნვილი ვარ. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ ტრავმის მოშუშების შემდეგ გუნდს კიდევ უფრო ძლიერი დავუბრუნდები", – დაწერა ტვიტერზე ფეხბურთელმა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



მარკ ჰიუზი

## უცხოური ფეხბურთი

### აღიარება

# ისევ ლეო!



**ესეც ასე: „ოქროს ბურთი" პატრონს ჩაბარდა! როგორც მოსალოდნელი იყო, 2011 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ლიონელ მესია, რომელმაც ეს ჯილდო ზედიზედ მესამედ (!) მოიპოვა. როგორც წინასწარვე ცნობილი იყო, საუკეთესო სამეული არგენტინელთან ერთად, ჩავი ერნანდესმა და კრიშტიანო რონალდომ შეავსეს.**

ამ მიღწევით „ბარსას" გენიალური ათიანი ყველა დროის ერთ-ერთი განსაკუთრებული ფეხბურთელი ახლა უკვე ოფიციალურადაც გახდა - ფიფას წლის საუკეთესო მოთამაშის წოდება ზედიზედ სამჯერ აქამდე არავის დაუმსახურებია და საერთოდ, სამგზის წლის ფეხბურთელი დღემდე მხოლოდ ორი იყო: **ზინედინ ზიდანი** (1998, 2000 და 2003) და **რონალდო** (1996, 1997, 2002). „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთი" კი ზედიზედ სამჯერ **მიშელ პლატინის** (1983, 1984 და 1985 წლებში) აქვს აღებული.

შეგახსენებთ, რომ 2010/2011 წლების სეზონში მესიმ „ბარსასთან" ერთად ესპანეთის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა და ევროპის სუპერთასი მოიგო. 2001-ში მესი „ბარსელონასთან" ერთად მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულიც გახდა. 53 გოლი ოფიციალურ მატჩებში, ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი 12 გოლით (ამ შედეგით **რუუდ ვან ნისტელროის** რეკორდი გაიმეორა) – ეს მესის მონაგარია 2011 წელს.

### საუკეთესო მწვრთნელი: მოურინიო გვარდიოლამ შეცვალა

ლეოს მწვრთნელი **პეპ გვარდიოლა** კი 2011 წლის საუკეთესო მწვრთნელია. შეგახსენებთ, რომ შარშან ეს წოდება **ჟოზე მოურინიომ** დაიმსახურა. საუკეთესო ქალ ფეხბურთელად 33 წლის იაპონელი **ჰომარე სავა** დაასახელეს, რომელმაც ბოლო წლების მუდმივ გამარჯვებულს, ბრაზილიელ **მარტას** აჯობა. შეგახსენებთ, რომ იაპონიის ქალთა ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონობა სწორედ სავას დამსახურებაა. საუკეთესო მწვრთნელად კი იაპონიის ნაკრების თავკაცი **ნორიო სასაკი** აღიარეს.

### ექვსი ესპანელი წლის სიმბოლურში

ამასთან, ფიფამ გასული წლის სიმბოლური ნაკრებიც გამოაქვეყნა, რომელშიც თერთმეტიდან ექვსი ესპანელია:

**იკერ კასილიასი** (რეალი) – **დანი ალვეში** (ბარსელონა), **პიკე** (ბარსელონა), **ნემანია ვიდიჩი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **სერხიო რამოსი** (რეალი) – **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა), **ჩაბი ალონსო** (რეალი), **ჩავი ერნანდესი** (ბარსელონა) – **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ლიონელ მესი** (ბარსელონა).

### წლის გოლის ავტორი ნეიმარია

**ფერენც პუშკაშის** სახელობის ჯილდო, რომელიც წლის ულამაზესი გოლის ავტორებს გადაეცემათ, „სანტოსის" ბრაზილიელმა ვარსკვლავმა **ნეიმარმა** დაიმსახურა. გამოკითხვა ინტერნეტში ჩატარდა, ნახევარსაათიანი იყო და მასში დაახლოებით მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ამ ნომინაციაში წარმოდგენილი იყო მესის გოლი (არსენალთან) და რუნის მაკრატელა (მანჩესტერ სიტისთან).

**გოტფრიდ ლენცი**

### ოქროს ბურთის ისტორია

ფიფა წლის საუკეთესო ფეხბურთელს ოფიციალურად 1991 წლიდან ასახელებს. „ფრანს ფუტბოლმა" კი წლის საუკეთესო ფეხბურთელებისთვის „ოქროს ბურთის" გადაცემა გაცილებით ადრე, 1956 წლიდან დაიწყო. შარშან ეს ორი გამოკითხვა გაერთიანდა და „ფიფა ოქროს ბურთი" ეწოდა. ჩვენ ორივე გამოკითხვის ყველა გამარჯვებულს გაგაცნობთ.

#### ფრანს ფუტბოლის ოქროს ბურთი

| წელი | ფეხბურთელი | კლუბი | ქვეყანა |
|---|---|---|---|
| 1956 | სტენლი მეტიუზი | ბლექპული | ინგლისი |
| 1957 | ალფრედო დი სტეფანო | რეალი | ესპანეთი |
| 1958 | რაიმონდ კოპა | რეალი | საფრანგეთი |
| 1959 | ალფრედო დი სტეფანო | რეალი | ესპანეთი |
| 1960 | ლუის სუარესი | ბარსელონა | ესპანეთი |
| 1961 | ომარ სივორი | იუვენტუსი | იტალია |
| 1962 | იოზეფ მასოპუსტი | დუკლა | ჩეხოსლოვაკია |
| 1963 | ლევ იაშინი | დინამო (მ) | სსრკ |
| 1964 | დენის ლოუ | მანჩესტერ იუნ. | შოტლანდია |
| 1965 | ეუსებიო | ბენფიკა | პორტუგალია |
| 1966 | ბობი ჩარლტონი | მანჩესტერ იუნ. | ინგლისი |
| 1967 | ფლორიან ალბერტი | ფერენცვაროში | უნგრეთი |
| 1968 | ჯორჯ ბესტი | მანჩესტერ იუნ. | ინგლისი |
| 1969 | ჯანი რივერა | მილანი | იტალია |
| 1970 | გერდ მიულერი | ბაიერნი | გერმანია |
| 1971 | იოჰან კრუიფი | აიაქსი | ჰოლანდია |
| 1972 | ფრანც ბეკენბაუერი | ბაიერნი | გერმანია |
| 1973 | იოჰან კრუიფი | აიაქსი/ბარსელონა | ჰოლანდია |
| 1974 | იოჰან კრუიფი | ბარსელონა | ჰოლანდია |
| 1975 | ოლეგ ბლოხინი | დინამო (კ) | უკრაინა |
| 1976 | ფრანც ბეკენბაუერი | ბაიერნი | გერმანია |
| 1977 | ალან სიმონსენი | ბორუსია (მ) | დანია |
| 1978 | კევინ კიგანი | ჰამბურგი | ინგლისი |
| 1979 | კევინ კიგანი | ჰამბურგი | ინგლისი |
| 1980 | კარლ-ჰაინც რუმენიგე | ბაიერნი | გერმანია |
| 1981 | კარლ-ჰაინც რუმენიგე | ბაიერნი | გერმანია |
| 1982 | პაოლო როსი | იუვენტუსი | იტალია |
| 1983 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1984 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1985 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1986 | იგორ ბელანოვი | დინამო (კ) | სსრკ |
| 1987 | რუუდ გულიტი | ეინდჰოვენი/მილანი | ჰოლანდია |
| 1988 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1989 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1990 | ლოთარ მათეუსი | ინტერი | გერმანია |
| 1991 | ჟან-პიერ პაპენი | მარსელი | საფრანგეთი |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1993 | რობერტო ბაჯო | იუვენტუსი | იტალია |
| 1994 | ხრისტო სტოიჩკოვი | ბარსელონა | ბულგარეთი |
| 1995 | ჯორჯ ვეა | პსჟ/მილანი | ლიბერია |
| 1996 | მათიას ზამერი | ბორუსია (დ) | გერმანია |
| 1997 | რონალდო | ბარსელონა/მილანი | ბრაზილია |
| 1998 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1999 | რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2000 | ლუიშ ფიგუ | ბარსელონა | პორტუგალია |
| 2001 | მაიკლ ოუენი | ლივერპული | ინგლისი |
| 2002 | რონალდო | ინტერი/რეალი | ბრაზილია |
| 2003 | პაველ ნედველი | იუვენტუსი | ჩეხეთი |
| 2004 | ანდრეი შევჩენკო | მილანი | უკრაინა |
| 2005 | რონალდინიო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2006 | ფაბიო კანავარო | იუვენტუსი/რეალი | იტალია |
| 2007 | კაკა | მილანი | ბრაზილია |
| 2008 | კრიშტიანო რონალდო | მანჩესტერ იუნ. | პორტუგალია |
| 2009 | ლიონელ მესი | ბარსელონა | არგენტინა |

#### ფიფას წლის ფეხბურთელი

| წელი | ფეხბურთელი | კლუბი | ქვეყანა |
|---|---|---|---|
| 1991 | ლოთარ მათეუსი | ინტერი | გერმანია |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1993 | რობერტო ბაჯო | იუვენტუსი | იტალია |
| 1994 | რომარიო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 1995 | ჯორჯ ვეა | პსჟ/მილანი | ლიბერია |
| 1996 | რონალდო | ეინდჰოვენი-ბარს. | ბრაზილია |
| 1997 | რონალდო | ბარსელონა/ინტერი | ბრაზილია |
| 1998 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1999 | რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2000 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 2001 | ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია |
| 2002 | რონალდო | ინტერი/რეალი | ბრაზილია |
| 2003 | ზინედინ ზიდანი | რეალი | საფრანგეთი |
| 2004 | რონალდინიო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2005 | რონალდინიო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2006 | ფაბიო კანავარო | იუვენტუსი/რეალი | იტალია |
| 2007 | კაკა | მილანი | ბრაზილია |
| 2008 | კრიშტიანო რონალდო | მანჩესტერ იუნ. | პორტუგალია |
| 2009 | ლიონელ მესი | ბარსელონა | არგენტინა |

#### ფიფა ოქროს ბურთი

| წელი | ფეხბურთელი | კლუბი | ქვეყანა |
|---|---|---|---|
| 2010 | ლიონელ მესი | ბარსელონა | არგენტინა |
| 2011 | ლიონელ მესი | ბარსელონა | არგენტინა |




### ამბები

### ახალი თავკაცი მოლდოვაში

მოლდოვის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე რუმინელი **გაბი ბალინტა იონ კარასმა** შეცვალა. კარასი ნაკრების ისტორიაში პირველი მწვრთნელი იყო და მას სულ 6 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ბალინტს ხელშეკრულება დეკემბერში ამოეწურა, ფედერაციამ კი მისი გახანგრძლივება არ ისურვა, რადგან რუმინელის ხელმძღვანელობით ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში გუნდმა 10-დან 7 თამაში წააგო.

### სპარტაკს ამელია მოუნდა

"მილანის" სათადარიგო მეკარე **მარკო ამელიამ** კარიერა შესაძლოა მოსკოვის "სპარტაკში" განაგრძოს. ფეხბურთელის აგენტის **კარლო პალავიჩინოს** თქმით: *"მოსკოვურ კლუბს ჩემი კლიენტის შეძენა მართლა სურს. ინტერესი ჯერ კიდევ მარკოს "ლივორნოში" თამაშის დროიდან მოდის. ისინი აფასებენ მის ღირსებებს და სათანადო წინადადებასაც გვთავაზობენ. ველოდებით უახლოეს დღეებს, როცა "სპარტაკი" "მილანს" ოფიციალური წინადადებით მიმართავს".*

### გულწრფელობის გეშინოდეთ!

თურქულ ფეხბურთში გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებით დაკავებული ყველაზე გავლენიანი პიროვნების, "ფენერბაჰჩეს" პრეზიდენტ **აზიზ ილდირიმის** სასამართლო პროცესი მალე დაიწყება და ვარაუდობენ, რომ მალევე უნდა დასრულდეს. 59 წლის ფუნქციონერმა სპეციალური წერილი გაუგზავნა TV8-ს, სადაც ვკითხულობთ: *"მოუთმენლად ველოდები პირველ მოსმენას. ყველაფერ იმის გათვალისწინებით, რაც ვიცი და რა დოკუმენტაციაც გამაჩნია, ჩემს ჩვენებას ყველამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. 14 თებერვალს მე თურქეთის შეზანზარებას ვაპირებ. ვიტყვი ყველაფერს, რაც აქამდე არავის უთქვამს ან უბრალოდ გამბედაობა არ ეყოთ, რომ ეს ეთქვათ.*

*ვილაცებს 5-6 თვეში ყველაფრის განადგურება სურთ, რაც 13 წლის განმავლობაში ვაშენე. მე უდიდესი სამსახური გავუწიე თურქულ ფეხბურთს. 23 მილიონი ევრო მარტო ჩემი ჯიბიდან დავხარჯე სტადიონისა და სხვა საფეხბურთო ობიექტების მშენებლობაში. ეს ჩვენი ფეხბურთის საკეთილდღეოდ რომ არ გამეკეთებინა და ფული მხოლოდ ტრანსფერებზე მიმემართა, ჩვენ ყოველ წელიწადს მოვიგებდით ჩემპიონატს და მხოლოდ სამ ტიტულს არ დავჯერდებოდით".*

### ცვლილება კოპენჰაგენში

გუშინ "კოპენჰაგენის" პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ კლუბმა შვედ სპეციალისტ **როლანდ ნილსონთან** თანამშრომლობა შეწყვიტა. მიზეზი გუნდის მიერ ევროპაში ნაჩვენები შედეგებით იმედგაცრუებაა. მართალია, "კოპენჰაგენი" დანიის ჩემპიონატს ლიდერობს, მაგრამ მან ვერ მოახერხა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა და ევროპის ლიგასაც პირველივე ჯგუფურ ეტაპზე გამოემშვიდობა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ლა ლიგა. XVII ტურის შეჯამება

# ხელი? იყო! მაგრამ მე ხომ მსაჯი არ ვარ

## ესპანიოლის მცველის აღიარება, პეპი მაინც იმედიანადაა

ლა ლიგის 2012 წლის პირველმა ტურმა გაარკვია, რომ... ყველაფერი ჟოზე მოურინიოსა და „რეალის" ხელშია - „სამეფო კლუბი" სანუკვარ ტიტულს მოიპოვებს, თუკი ყველა დარჩენილ შეხვედრას მოიგებს, „კამპ ნოუზე" რომც დამარცხდეს. ბუნებრივია, მოვლენათა განვითარების ეს ჰიპოთეტური ვერსია ნაკლებად მოსალოდნელია - „ბარსა" და „რეალი" ქულებს კიდევ დაკარგავენ და „კორნელია ელ პრატზე" გამართული კატალონიური დერბი სულაც არ იქნება გადამწყვეტი, თუმცა სკანდალური რომ არის, წყალი აღარ გაუვა...

### ბარსა-რეალობა

„რეალმა" დიდი ანგარიშით მოიგო, „ბარსამ" კი წაიფორხილა და შედეგად „ლოს მერენგესის" 5-ქულიანი ჰანდიკაპი მივიღეთ. ჰანდიკაპის გაზრდაში თავისი წვლილი ორმა მსაჯმა შეიტანა - **მუნის ფერნანდესმა** და **ტურიენსო ალვარესმა**. პირველად „რეალის" და „გრანადას" შეხვედრა განსაჯა და პირველ ტაიმში **სერხიო რამოსის** უგვანო საქციელი უყურადღებოდ დატოვა. რამოსი მოედანზე დარჩა, „რეალი" სწორედ მან გაიყვანა წინ ხელმეორედ. ალვარესმა კატალონიური დერბი განსაჯა, რეფერი თამაშს სრულად აკონტროლებდა, მაგრამ როგორც კი **ალვარო ვასკესმა** 87-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, მან აურია - ჯერ ენდო თანამსაჯს, რომელმაც არასწორად გააჩერა **ლეო მესის** პირისპირ გასვლა „ესპანიოლის" მეკარესთან, შემდეგ კი ათასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა, როცა **პედროს** დარტყმული მასპინძელთა მცველმა **რაულ როდრიგესმა** ხელით გამოიტანა.

„ბარსა" **სესკ ფაბრეგასმა** მატჩის დასაწყისშივე თავურით დააწინაურა და ეს „ბლაუგრანას" მე-100 გოლი იყო სეზონში! მაშინ, როცა „სარაგოსას" ჩემპიონატში და თასზე სულ 11 გოლი დაუგროვდა. „კორნელია ელ პრატზე" სესკის გოლი 51-ე იყო კლუბისთვის წლევანდელ ლა ლიგაში. ამას ემატება 20 გოლი ჩემპიონთა ლიგაზე, 14 სამეფო თასზე, 8 მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე, 5 ესპანეთის სუპერთასზე და 2 ევროპის სუპერთასზე. და ეს ყველაფერი 31 მატჩში (საშუალოდ 3,23 გოლი თამაშში), სეზონის ეკვატორზე!

სხვათა შორის, „ესპანიოლის" კოხტა სტადიონი ისევ იმ მცირე სტადიონთა ნუსხაში დარჩა, სადაც ლეო მესის გოლი არ გაუტანია. არგენტინელმა, მართალია, „ოქროს ბურთების" კოლექციონერობას მიჰყო ხელი, მაგრამ „ელ პრატი" მტკიცედ დგას, ერთხელ მან ბურთი ხარიხას გაარტყა.

„რეალს" დავუბრუნდეთ, მიუხედავად იმისა, რომ „სამეფო კლუბმა" მოიგო, ერთი უკმაყოფილო აქაც გვყავს - **კრიშტიანო რონალდო**, რომელმაც მატჩის მიწურულს სეზონში 21-ე გოლი გაიტანა, მაგრამ არ აღნიშნა. არ აღნიშნა და ნუ აღნიშნა, არ ავყვებით ესპანური მედიის სპეკულაციებს - ეს თემა ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს. კომენტარებში მისმა თანაგუნდელებმა და მწვრთნელმა (ამჯერად, პრესკონფერენციაზე **აიტორ კარანკა** მივიდა) უარყვეს, რომ პორტუგალიელს რამე პრობლემა აქვს თანაგუნდელებთან. სხვათა შორის, კარანკამ ერთი მნიშვნელოვანი რამ თქვა - **იგუაინმა** და **ბენზემამ** დაამტკიცეს, რომ ერთად თამაში შესანიშნავად გამოსდით და, შესაძლოა, ექსპერიმენტი გაგრძელდესო. 17 ტურში „რეალმა" 61 გოლი გაიტანა ეს კი „სამეფო კლუბის" რეკორდია. 61-დან 44 გოლი კი ვარსკვლავურ ტრიოზე (რონალდო, იგუაინი, ბენზემა) მოდის.

### მესი vs რონი

2012 წლამდე ჩვენს „ტურნირში" ლეო მესიმ და კრიშტიანო რონალდომ 10:9 ანგარიშით მოაღწიეს არგენტინელის სასარგებლოდ. ამ ტურში კრიშტიანო რონალდომ „გრანადასთან" 90 წუთი ითამაშა, კარისკენ 10-ჯერ დაარტყა და მხოლოდ ერთი წავიდა ჩარჩოში (გოლი)! შესაძლოა, სწორედ ეს აცილებები იყო რონის უკმაყოფილების მიზეზი. ლიონელ მესიმ 90 წუთი ითამაშა „ესპანიოლთან" კარისკენ ერთადერთხელ დაარტყა (ხარიხა), ერთხელ დაჯარიმდა (მასზე დაჯარიმდნენ) და ორჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში. დაგვეთანხმებით, არ იყო საუკეთესო ტური სუპერვარსკვლავებისთვის. გამოდის, რომ კაცმა, რომელმაც 90 წუთში 9-ჯერ „მოახერხა" აცილება, დუელი მოიგო და ანგარიში გაათანაბრა: 10:10.



ეს ის სკანდალური ეპიზოდი არაა, მაგრამ სამივემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დერბიში: კრისტიან ალვარესი (მარცხნივ) დაშავდა, სესკ ფაბრეგასმა (შუაში) ბარსას მე-100 გოლი გაიტანა, ხოლო რაულ როდრიგესის (მარჯვნივ) ხელმა „ესპანიოლს" ქულა გადაურჩინა



რეალის რეკორდული 61 გოლიდან 44 ამ სამეულმა გაიტანა!

### ტურის სიმბოლური ნაკრები

goal.com. 3-4-3

გუსტავო მუნუა (ლევანტე, 2) - **სერხიო რამოსი** (რეალი, 2), **ალვარო დომინგესი** (ატლეტიკო, 1), **სერხიო ბალესტეროსი** (ლევანტე, 3) - **კარლოს ველა** (რეალ სოსიედადი, 1), **მესუთ იოზილი** (რეალი, 2), **ბორხა ვალერო** (ვილიარეალი, 2), **ჯეფერსონ მონტერო** (ბეტისი, 1) - **ქარიმ ბენზემა** (რეალი, 2), **სესკ ფაბრეგასი** (ბარსელონა, 5), **ალვარო ვასკესი** (ესპანიოლი, 1)

### ტურის გმირი

**ალვარო ვასკესი** (ესპანიოლი)

ბარსელონელი ფორვარდი 14 წლის იყო, როცა „ესპანიოლში" (ახლა 20 წლისაა) მიიღეს. პირველ გუნდში დებიუტი წელიწად-ნახევრის წინ „სანტიაგო ბერნაბეუზე" შედგა. კვირას ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა თავის კარიერაში ჯერჯერობით მთავარი გოლი გაიტანა - „ბარსელონასთან" მატჩის 87-ე წუთზე რაულ როდრიგესმა (რომელიც რამდენიმე წუთში დიდი სკანდალის ინსპირატორი გახდა) მარჯვნიდან ჩააწოდა, **ტიევიმ** ოდნავ წაჰკრა თავი, **პუიოლის** შეცდომით კარგად ისარგებლა ალვარომ და თავითვე გაიტანა **ვიქტორ ვალდესის** კარში.

### ტურის ფრაზები

**ხოსეპ გვარდიოლა**: *„და მაინც, „რეალს" ბევრი რთული საგარეო მატჩი დარჩა", - „ბარსას" თავკაცი დერბიში 2 ქულის დაკარგვის შემდეგ.*

**მაურისიო პოჩეტინო**: *„ბარსელონასთან" ფრეს სხვა დატვირთვაც აქვს, ის ჩვენ სამომავლო მატჩებისთვის ოპტიმისტით ალგვავსებს. ანუ ჩვენ სწორად ვმუშაობთ", - „ესპანიოლის" არგენტინელი მესაჭე.*

**სანდრო როსელი**: *„თუკი მსაჯმა პენალტი ვერ შენიშნა, ესე იგი, ის არ ყოფილა", - „ბარსელონას" ბედს შეგუებული პრეზიდენტი.*

**რაულ როდრიგესი**: *„ხელი იყო, მაგრამ მე არ ვარ მსაჯი", - „ესპანიოლის" მცველის აღიარებითი და ირონიული ჩვენება.*

**ჟერარდ პიკე**: *„ესპანიოლთან" ფრე ძალიან ძნელი მოსანელებელია", - „ბარსას" უკმაყოფილო მცველი.*

**ხოსე მოლინა**: *„დერბიში გამარჯვებას ჩვენ ვიმსახურებდით, თუმცა ფრე რეალობაა, რომელიც უნდა მივილოთ", - „ვილიარეალის" დებიუტანტი მწვრთნელი „ვალენსიასთან" 2:2 თამაშის შემდეგ.*

### ტურის ინციდენტი

კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დავუბრუნდეთ ბარსელონური დერბის დამატებულ წუთებს - „ბარსელონა" გააფთრებულ იერიშებზე გადავიდა, „ესპანიოლის" დაცვა უკვე ძლივს უძლებდა ჩემპიონთა გამუდმებულ შეტევებს. მარცხნიდან მასპინძელთა საჯარიმოში **ჟერარდ პიკე** შეიჭრა კარგადაც დაარტყა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა და იქვე დადარაჯებულ **პედროს** მიუვიდა, პედრომ კარგად დაარტყა, გოლი კი მხოლოდ იმიტომ არ გავიდა, რომ გზად „ესპანიოლის" მცველის, რაულ როდრიგესის ხელი გადაელობა.

### ტურის მსხვერპლნი

საშინლად არ გაუმართლა „ესპანიოლის" კაპიტანს, **კრისტიან ალვარესს** - ჯერ იყო არგენტინელმა მეკარემ პასი... თავისივე თანამემამულე ლეო მესის მიაწოდა, რომელმაც ხელით გაისწორა ბურთი, თორემ გოლი აშკარა იყო (გავიდა კიდეც, მაგრამ, ბუნებრივია, არ ჩაუთვლიათ). მეორე ტაიმში კრისტიანმა ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა.

„ატლეტიკოს" კოლუმბიელმა ფორვარდმა **რადამელ ფალკაომ** ხელის თითი მოიტეხა. დაიმტვრა „რეალის" ფრანგი ფორვარდი ქარიმ ბენზემაც.

### სამი მწვრთნელის დებიუტი

ამ ტურში სამი მწვრთნელის დებიუტი შედგა. **ხოსე მოლინა** „ვილიარეალის" სარეზერვო გუნდიდან გადაიყვანეს მთავარში. სხვათა შორის, „ვილიარეალმა" ვალენსიურ დერბიში კარგად ითამაშა, თუმცა მხოლოდ ქულას დასჯერდა. „მალაგაში" ქულა მოიპოვა „ატლეტიკოში" მწვრთნელის რანგში დაბრუნებულმა **დიეგო სიმეონემ**. ნაკლებად გაუმართლა **მანოლო ხიმენესს**, რომლის „სარაგოსამ" სანტანდერში წააგო.



ბარსასთან დაშავებული ესპანიოლის კაპიტანი კრისტიან ალვარესი სათასო ბატალიებს გამოტოვებს

### ტურის სტატისტიკა

18 გოლი ტურში (1,8 მატჩში). 4 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 6 ფრედ დასრულდა. ტურში მსაჯებმა 54 ყვითელი და 2 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - **არავინ**

დუბლი - **ქარიმ ბენზემა** (რეალი)

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხუანმი** (მალაგა, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: **72 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **11 000 - „ელ სარდინიერო"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **35 - რეალი**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **12 - რეალი**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **24 - ატლეტიკო**

ყველაზე მეტი [illegible]: **12 - რეალ სოსიედადი**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **7 - ბეტისი**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **63% - ბარსელონა, ვალენსია**

**რასინგი-სარაგოსა 1:0**

საუკეთესო: ბერნარდო სუნიგა (რასინგი)

**რეალ სოსიედადი-ოსასუნა 0:0**

საუკეთესო: ანდრეს ფერნანდესი (ოსასუნა)

**ლევანტე-მალიორკა 0:0**

საუკეთესო: გუსტავო მუნუა (ლევანტე)

**რეალი-გრანადა 5:1**

საუკეთესო: ქარიმ ბენზემა (რეალი)

**მალაგა-ატლეტიკო 0:0**

საუკეთესო: ალვარო დომინგესი (ატლეტიკო)

**რაიო ვალეკანო-სევილია 2:1**

საუკეთესო: მიჩუ (რაიო ვალეკანო)

**ხეტაფე-ბილბაო 0:0**

საუკეთესო: მიგელ მოია (ხეტაფე)

**ვილიარეალი-ვალენსია 2:2**

საუკეთესო: ბორხა ვალერო (ვილიარეალი)

**ბეტისი-სპორტინგი 2:0**

საუკეთესო: ჯეფერსონ მონტერო (ბეტისი)

**ესპანიოლი-ბარსელონა 1:1**

საუკეთესო: სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 17 | 14 | 1 | 2 | 61-16 | 43 |
| 2. ბარსელონა | 17 | 11 | 5 | 1 | 51-9 | 38 |
| 3. ვალენსია | 17 | 10 | 4 | 3 | 28-18 | 34 |
| 4. ლევანტე | 17 | 9 | 3 | 5 | 25-19 | 30 |
| 5. ოსასუნა | 17 | 6 | 8 | 3 | 21-28 | 26 |
| 6. მალაგა | 17 | 7 | 4 | 6 | 20-22 | 25 |
| 7. სევილია | 17 | 6 | 6 | 5 | 19-19 | 24 |
| 8. ესპანიოლი | 17 | 7 | 3 | 7 | 18-21 | 24 |
| 9. ბილბაო | 17 | 5 | 8 | 4 | 23-19 | 23 |
| 10. ბეტისი | 17 | 7 | 1 | 9 | 19-22 | 22 |
| 11. ატლეტიკო | 17 | 5 | 5 | 7 | 23-27 | 20 |
| 12. ხეტაფე | 17 | 5 | 5 | 7 | 17-23 | 20 |
| 13. ვალეკანო | 17 | 5 | 4 | 8 | 19-26 | 19 |
| 14. მალიორკა | 17 | 4 | 7 | 6 | 15-22 | 19 |
| 15. გრანადა | 17 | 5 | 4 | 8 | 11-21 | 19 |
| 16. სოსიედადი | 17 | 4 | 6 | 7 | 16-23 | 18 |
| 17. რასინგი | 17 | 3 | 8 | 6 | 12-21 | 17 |
| 18. ვილიარეალი | 17 | 3 | 7 | 7 | 15-25 | 16 |
| 19. სპორტინგი | 17 | 4 | 3 | 10 | 16-29 | 15 |
| 20. სარაგოსა | 17 | 2 | 4 | 11 | 13-32 | 10 |

**ბომბარდირები**: 21 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 17 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 13 - გონსალო იგუაინი (რეალი); 11 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 10 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 7 - დავიდ ბარალი (სპორტინგი), მიჩუ (რაიო ვალეკანო); 6 - არუნა კონე (ლევანტე).

14 იანვარი: **სარაგოსა-ხეტაფე, გრანადა-რაიო ვალეკანო, სევილია-ესპანიოლი, მალიორკა-რეალი, ვალენსია-რეალ სოსიედადი.**

15 იანვარი: **ატლეტიკო-ვილიარეალი, ოსასუნა-რასინგი, ბილბაო-ლევანტე, სპორტინგი-მალაგა, ბარსელონა-ბეტისი.**

ამბები

## გრანადამ ჩილელი ტალანტი დაიმატა

„გრანადაში" მატებაა - ანდალუსიურმა კლუბმა ხელშეკრულება **მატიას კამპოს ტოროსთან** გააფორმა. ეს ფეხბურთელი შორეულ ჩილეში, ლა ფლორიდას კლუბ „აუდაქს იტალიანოში" თამაშობდა. სახელებმა არ დაგაბნიოთ, ქალაქი ნამდვილად ჩილეშია და არა შტატებში და კლუბიც იქაურია და არა აპენინური. სხვათა შორის, ამავე დღეს მატიასის თანაგუნდელი **ბრიან კარასკო** იტალიურ „უდინეზეში" გადავიდა. კამპოს ტორო 22 წლის მარცხენა ნახევარმცველია.

## ვალეკანო ყიდის

„რაიო ვალეკანოს" ნახევარმცველ **ხავი ფუეგოს** ერთი ნაბიჯილა აშორებს ტრანსფერთან - ის ბელგიურ „ბრიუგეში" გადადის. ბელგიაში ესპანელს ორშაბათს წარუდგენენ პუბლიკას. 28 წლის ფუეგოს სანაცვლოდ მადრიდული კლუბი 800 ათას ევროს მიიღებს. ფუეგოს გარეშე „ელვები" ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ კლუბი ფინანსური პრობლემების გამო იძულებულია, ის გაყიდოს.

### კოპა დელ რეი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

**დღეს**

| | |
|---|---|
| მალიორკა-სოსიედადი | 23:00 (0:2) |
| რასინგი-მირანდესი | 00:00 (0:2) |
| მალაგა-რეალი | 01:00 (2:3) |

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● სერია A XVII ტურის შეჯამება

# თქვენ გელით მილანი-ინტერი!

## ბევრი გოლი და დიდი ინტრიგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVII ტური იმდენად საინტერესო გამოვიდა, რომ 15 იანვარს დაგეგმილი მილანური დერბი ჯერ კიდევ განვლილი ბატალიების ჩრდილშია მოქცეული. „მილანმა", „იუვენტუსმა" და „უდინეზემ" სამ-სამი ქულა მოიპოვეს, აი „ლაციომ" კი ბევრისთვის მოულოდნელად ტოსკანაში წაიმტვრია ცხვირი და „სიენასთან" ოთხი ბურთის სხვაობით განადგურდა. შედეგად, ლიდერთა სამეული უახლოეს მდევარს მთელი ხუთი ქულით დაშორდა, რაც არც ბევრი, მაგრამ არც ისე ცოტაა. მართალია, მეოთხე ადგილზე ჯერ კიდევ „ლაციოა", მაგრამ საყოველთაო მოლოდინით, რომაულ გუნდს მალე ათამაშებული „ინტერი" გადაასწრებს. მილანურმა გრანდმა „პარმას" ბრდღვირი ადინა და მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ „უდინეზესაც" ალბათ უფრო „ინტერი" აშინებს, ვიდრე „ბიანკოჩელესტე" და ეს სრულიად ბუნებრივია.

ლიდერების მსგავსად, აუტსაიდერთა სამეულიც გამოიკვეთა და აქ კიდევ უფრო სერიოზულად არის საქმე - უკვე თამამად საუბრობენ იმის შესახებ, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ელიტარულ დივიზიონს „ნოვარა", „ჩეზენა" და „ლეჩე" დატოვებენ. მართალია, ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ უკვე ძალიან თამამი პროგნოზები კეთდება. თუ სატურნირო ცხრილის ფსკერს ჩახედავთ, დიდია შანსი, ამ მოსაზრებას თქვენც დაეთანხმოთ. მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ ლიდერები და აუტსაიდერები გამოიკვეთნენ, მაგრამ ვგონებთ, რომ არც მთლად ასე მარტივად უნდა იყოს საქმე...

### აქტუალური თემა: ტევესი ინტერს უახლოვდება

სანამ ტურის შეჯამებაზე და ათასგვარ სტატისტიკაზე გადავიდოდეთ, იმის შესახებ ვთქვათ, რამაც შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს ჩემპიონატის დარჩენილ ნაწილზე - ლაპარაკია **კარლოს ტევესის** ტრანსფერზე, რომელსაც არა და არ დაადგა საშველი. თუმცა, ყველაფერს აქვს ბოლო და, როგორც ჩანს, 27 წლის არგენტინელი ფორვარდის საკითხი დღე-დღეზე გადაწყდება. თანაც, დიდია შანსი, გადაწყდეს ისე, როგორც ამას აქამდე არავინ ელოდა. დიახ, უკანასკნელი ცნობების თანახმად, ტევესის აგენტსა და **ადრიანო გალიანის** შორის მიმდინარე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და ფეხბურთელის"„მილანში" გადაბარგების საკითხს სერიოზული კითხვის ნიშანი დაესვა - სამაგიეროდ, „ნერაძურის" მესვეურები გააქტიურდნენ და „მანჩესტერ სიტის" ახალი შეთავაზება გაუკეთეს, რომლის მიხედვითაც, კარლოსის სანაცვლოდ 27 მილიონი ევროს გადახდაზე არიან ყაბულს. რაც მთავარია, თავად ფეხბურთელმაც შეიცვალა პოზიცია და თუ ადრე „ინტერში" გადაბარგების პერსპექტივა არ ხიბლავდა, დღეს რადიკალურად განსხვავებულ განწყობაზეა. „გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, „მანჩესტერ სიტის" მესვეურებმა წინასწარი თანხმობა უკვე განაცხადეს არგენტინელი ფორვარდის გასხვისებაზე და ბოლო სიტყვა სწორედ კარლოსმა და მისმა პირადმა აგენტმა **კია ჯურაბჩიანმა** უნდა თქვან - წინასწარი პროგნოზებით, ტევესი დათანხმდება „ინტერის" წინადადებას და ძალიან მალე, ტრანსფერი ოფიციალურად გაფორმდება. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო...



კარლოს ტევესი „ინტერისკენ" გადაიხარა



ალბერტო ჯილარდინოს უილბლო დებიუტი



მატია დესტრო შეუჩერებელი იყო

#### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ბუფონი** (იუვენტუსი) - **მაიკონი** (ინტერი), **ჟუანი** (რომა), **ბარცალი** (იუვენტუსი), **კუადრადო** (ლეჩე) - **დე როსი** (რომა), **ნაინგოლანი** (კალიარი), **ალვარესი** (ინტერი) - **მილიტო** (ინტერი), **დესტრო** (სიენა), **იოვეტიჩი** (ფიორენტინა).

XVII ტური უხვგოლიანი გამოვიდა და რა გასაკვირია, რომ სიმბოლურ გუნდში მოხვედრილ სამ ფორვარდზე ჯამში ექვსი გოლი მოდის. **მატია დესტრომ** „ლაციოს" გაუტანა ორი გოლი, **დიეგო მილიტომ** „პარმას" კიპერი დაიბრიყვა, **სტევან იოვეტიჩმა** კი „ნოვარასთან" გასვლით პაექრობაში გამოიჩინა თავი.

ნახევარმცველებიდან ყველაზე შემტევი **რიკი ალვარესია,** რომელმაც შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა „პარმასთან" და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მისი ადგილი ძირითად შემადგენლობაშია. ტრადიციულად, კარგად გაისარჯა **დანიელე დე როსი,** რომელიც პირველად არ ხვდება რჩეულ ფეხბურთელთა შორის - იგივე შეიძლება ითქვას **რაჯა ნაინგოლანზე,** რომელიც „კალიარის" ლიდერად ყალიბდება.

რაც შეეხება დაცვის ხაზს, აქ **დუგლას მაიკონის, ჟუანის** და **ანდრეა ბარცალის** სახით ტრადიციულ სახეებს ვხედავთ. აი **კუადრადო** კი რჩეულთა შორის პირველად მოხვდა. ბევრი აღნიშნავს, რომ მისი სახით „ლეჩეს" მომავალი ვარსკვლავი ჰყავს და ვნახოთ, რამდენად გამართლდება გაცემული ავანსები. კარში შეუდარებელი **ჯანლუიჯი ბუფონი** დგას, რომელიც „ლეჩესთან" პაექრობაში საუკეთესო იყო.

#### ტურის გმირი

მატია დესტრო ჯერ მხოლოდ 20 წლისაა, თუმცა იტალიურ საფეხბურთო სამყაროში მასზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. მართალია, სერია A-ში ჯერ ხეირიანად არ გაუბრწყინია, მაგრამ სამაგიეროდ, ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში სტაბილურად ასპარეზობს და რაც მთავარია, ძალიან შედეგიანად.

„სიენას" მთავარმა მწვრთნელმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც დესტრო „ლაციოსთან" შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში დააყენა. ახალგაზრდა ფორვარდი უდავოდ საუკეთესო იყო და მის მიერ გატანილი ორი გოლი ამის ნათელი დადასტურებაა. პირველ შემთხვევაში, მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და მეკარისაგან შორეული კუთხე დალაშქრა. მეორეჯერ კი თავური დარტყმით უწია მიზანს. ამასთან, თერთმეტმეტრიანი აიკიდა, რომელიც **ემანუელე კალაიომ** გოლად აქცია. მეტი რა უნდა გაეკეთებინა ფეხბურთელს იმისთვის, რომ ტურის გმირად შეგვერაცხა? - ამ რიტორიკული კითხვის შემდეგ, სიტყვას თავად დესტროს გადავცემთ:

*„სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ „ლაციოს" ასეთი ანგარიშით დავამარცხებდით. ეს ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც ყველაფერი გამოგვივიდა და გატანილი გოლებით, გულშემატკივართა გულები მოვიგეთ. ერთი სიტყვით, მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება ჩემს თამაშს, გოლებმა ძალიან გამახარა, მაგრამ მთავარი მაინც მოპოვებული სამი ქულაა. მჯერა, რომ ასევე გავაგრძელებთ და სერია A-ში ადგილს შენარჩუნება არ გაგვიჭირდება".*

#### ტურის დებიუტი

ტურის დებიუტი სარდინიაზე შედგა, სადაც „კალიარიმ" „ჟენოას" უმასპინძლა და მეტოქეს სამი უპასუხო ბურთი მიართვა. სტუმართა რიგებში პირველად გამოჩნდა **ალბერტო ჯილარდინო,** რომელიც სულ ახლახან **ენრიკო პრეციოზიმ** „ფიორენტინადან" გადაიბირა. გენუური გუნდის გულშემატკივრებს დიდი იმედი აქვთ, რომ ჯილა მნიშვნელოვნად გააძლიერებს შეტევის ხაზს და „ჯენოას" კრიზისს დააძლევინებს. დიახ, „როსობლუ" კრიზისშია და დღეს ამაზე უკვე თამამად შეიძლება ლაპარაკი. „კალიარიმ" ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე და სამი ქულა სრულიად დამსახურებულად მოიპოვა. რაც შეეხება ჯილარდინოს, მას ხეირიანად კარშიც კი არ დაურტყამს და მთლიანობაში, ცუდი შთაბეჭდილება დატოვა - ვნახოთ, რა იქნება შემდეგ ტურში, როდესაც გენუას ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „უდინეზე" ესტუმრება.

#### ტურის ფრაზები

**კლაუდიო რანიერი (ინტერის პრეზიდენტი):** *„რომელ ადგილზე დაასრულებთ ჩემპიონატს? - ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი კი ვიცი, დღევანდელი „ინტერი" ახლოს არის იმ იდეალთან, რომლისკენაც მივისწრაფვით".*

**ედუარდო რეია (ლაციოს მთავარი მწვრთნელი):** *„ეს იყო ყველაზე ცუდი შეხვედრა, რაც „ლაციომ" ჩემი თავკაცობით ჩაატარა. პირველად ჩემს სამწვრთნელო კარიერაში, ერთი სული მქონდა როდის დაასრულებდა არბიტრი პაექრობას. ამ საქმეს ასე არ დავტოვებ და აუცილებლად გავერკვევი, რა დაგვემართა და რატომ დავიჩაგრეთ ასე ძალიან".*

#### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება:** X ტური, ინტერი-იუვენტუსი, 75 000 გულშემატკივარი

**ყველაზე დაბალი დასწრება:** II ტური, კიევო-ნოვარა, 7 000 გულშემატკივარი

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I ტური), ინტერი-პარმა 5:0 (XVII).

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური), კალიარი-ლაციო 0:3 (X), ნოვარა-ფიორენტინა (XVII).

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური), ლეჩე-მილანი 3:4 (VIII), ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I).

#### სერიები

მოგება: **ინტერი - 5 თამაში**
წაგება: **კალიარი, ბოლონია, ჩეზენა - 3**
წაუგებლად: **იუვენტუსი - 17**
მოუგებლად: **პარმა - 7**

#### გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: **37 გოლი - მილანი; 32 - ნაპოლი; 28 - იუვენტუსი.**

საუკეთესო დაცვა: **10 გაშვებული - უდინეზე; 11 - იუვენტუსი; 15 - ფიორენტინა.**

უარესი თავდასხმა: **9 გოლი - ჩეზენა; 13 - კიევო; 15 - კალიარი.**

უარესი დაცვა: **34 გაშვებული - ლეჩე; 32 - ნოვარა; 31 - პარმა.**

ზუსტი გადაცემები: **9603 - მილანი; 8810 - იუვენტუსი; 8678 - რომა.**

კარის მიმართულებით დარტყმები: **303 - იუვენტუსი; 266 - ინტერი, რომა.**

კარში დარტყმები: **113 - იუვენტუსი; 93 - მილანი; 84 - კატანია.**

#### ინდივიდუალური სტატისტიკა

**ბომბარდირები:** 12 - ხერმან დენისი (ატალანტა), ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 10 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 9 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა), მიროსლავ კლოზე (ლაციო).

**ასისტენტები:** 7 - ანტონიო კასანო (მილანი); 6 - ალბერტო აკვილანი (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა); 5 - ჯიბრილ სისე (ლაციო), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი), პაბლო არმერო (უდინეზე).

**ზუსტი პასები:** 1209 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 1187 - დანიელე დე როსი (რომა); 1178 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 1054 - ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი); 1013 - მიგელ ველოზო (ჯენოა).

**კარის მიმართულებით დარტყმები:** 76 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 70 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 64 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 54 - ადრიან მუტუ (ჩეზენა), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

**კარში დარტყმები:** 32 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 26 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 21 - ხერმან დენისი (ატალანტა), ედინსონ კავანი (ნაპოლი); 19 - ადრიან მუტუ (ჩეზენა); 17 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა), მარკო რიგონი (ნოვარა).

**ჯარიმები:** 47 - მაქსი ლოპესი (კატანია); 45 - ვალონ ბერამი (ფიორენტინა), ლუკა ჩიგარინი (ატალანტა); 44 - ჯამპიერო პინცი (უდინეზე), ხუან კუადრადო (ლეჩე), პერპარიმ ჰეტემაი (კიევო); 38 - ხერმან დენისი (ატალანტა); 37 - სტეფანო მორონე (პარმა), დანიელე კონტი (კალიარი).

#### ციფრები და ფაქტები

**- „პარმას" „ინტერთან" ბოლო 6 გასვლითი შეხვედრა აქვს წაგებული;**

■ ■ ■

- დიეგო მილიტომ მეშვიდე დუბლი შეასრულა სერია A-ში;

■ ■ ■

**- „პარმას" ნახევარმცველმა მასიმო გობიმ მე-200 შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში;**

■ ■ ■

- დავიდე ფარაონიმ პირველი გოლი გაიტანა „ინტერის" შემადგენლობაში;

■ ■ ■

**- „უდინეზეს" ბოლო 27 საშინაო შეხვედრაში ანტონიო დი ნატალეს ამდენივე გოლი აქვს გატანილი;**

■ ■ ■

- „ნაპოლიმ" პირველად მოიგო „რენცო ბარბერაზე" 1969 წლის შემდეგ;

■ ■ ■

**- „ლეჩე" ერთადერთი გუნდია ჩემპიონატში, რომელსაც ჯერ საკუთარ მოედანზე არც ერთი მოგება არ აქვს;**

■ ■ ■

- „ფიორენტინამ" პირველი გასვლითი მატჩი მოიგო მიმდინარე სეზონში;

■ ■ ■

**- „სიენამ" პირველად მოიგო ჩემპიონატში გასული წლის 30 ოქტომბრის შემდეგ;**

■ ■ ■

- „ლაციომ" პირველად წააგო გასვლითი მატჩი მიმდინარე ჩემპიონატში;

■ ■ ■

**- კვადვო ასამოამ მე-100 შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში, რაც მე-6 გატანილი გოლით აღნიშნა;**

■ ■ ■

- „ჩეზენას" შემტევმა ედერმა პირველად იხეირა მიმდინარე სეზონში, მისი გოლი კი ჩემპიონატში მე-400 გამოდგა;

■ ■ ■

**- „ატალანტამ" პირველად წააგო საკუთარ მოედანზე მიმდინარე სეზონში;**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 17 | 11 | 4 | 2 | 37-16 | 37 |
| 2. იუვენტუსი | 17 | 10 | 7 | 0 | 27-11 | 37 |
| 3. უდინეზე | 17 | 10 | 5 | 2 | 24-10 | 35 |
| 4. ლაციო | 17 | 8 | 6 | 3 | 24-17 | 30 |
| 5. ინტერი | 17 | 9 | 2 | 6 | 27-19 | 29 |
| 6. ნაპოლი | 17 | 7 | 6 | 4 | 32-19 | 27 |
| 7. რომა | 17 | 8 | 3 | 6 | 23-19 | 27 |
| 8. კატანია | 17 | 5 | 7 | 5 | 20-25 | 22 |
| 9. ფიორენტინა | 17 | 5 | 6 | 6 | 18-15 | 21 |
| 10. კალიარი | 17 | 5 | 6 | 6 | 15-17 | 21 |
| 11. პალერმო | 17 | 6 | 3 | 8 | 19-23 | 21 |
| 12. ჯენოა | 17 | 6 | 3 | 8 | 19-27 | 21 |
| 13. ატალანტა | 17 | 6 | 8 | 3 | 23-21 | 20 |
| 14. კიევო | 17 | 5 | 5 | 7 | 13-20 | 20 |
| 15. პარმა | 17 | 5 | 4 | 8 | 21-31 | 19 |
| 16. სიენა | 17 | 4 | 6 | 7 | 18-16 | 18 |
| 17. ბოლონია | 17 | 5 | 3 | 9 | 16-24 | 18 |
| 18. ნოვარა | 17 | 2 | 6 | 9 | 17-32 | 12 |
| 19. ჩეზენა | 17 | 3 | 3 | 11 | 9-24 | 12 |
| 20. ლეჩე | 17 | 2 | 3 | 12 | 17-34 | 9 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

#### მომდევნო ტური

14 იანვარი: კატანია-რომა.

15 იანვარი: ლაციო-ატალანტა, ჩეზენა-ნოვარა, კიევო-პალერმო, ფიორენტინა-ლეჩე, ჯენოა-უდინეზე, იუვენტუსი-კალიარი, პარმა-სიენა, მილანი-ინტერი.

16 იანვარი: ნაპოლი-ბოლონია.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ნაკრები

# პირველი შეკრება ნახკაძორში

**გუშინ** დილით საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები სომხეთში გაემგზავრნენ, სადაც მაღალმთიან კურორტ ნახკაძორში 25 იანვრამდე სეზონის პირველ, საბაზო შეკრებას გაივლიან, რომელიც მთლიანად ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა. სომხეთში ორივე გუნდი 18-18-კაციანი შემადგენლობით წავიდა, რომელთაგანაც 14-14 სპორტსმენია, 3-3 კი - მწვრთნელი. დელეგაციაში შედიან ექიმებიც.

ამ შეკრებით გუნდები ევროპის პირველობისთვის შეუდგნენ ვარჯიშს, რომელიც, თავის მხრივ, ოლიმპიადისთვის მზადების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ოლიმპიადის წელს სტრატეგიული თუ სხვაგვარი მოსაზრებებით მწვრთნელები ხშირად მიმართავენ ექსპერიმენტებს, გარკვეულ საკადრო რეფორმებს - თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად ბევრი საერთოდ არ ჭიდაობს იმავე ევროპის პირველობასა თუ სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებს; ზოგს ასაკის ან ჭარბი წონის გამო ავარჯიშებენ სპეციალური პროგრამით და ცდილობენ, ნაკლებად დატვირთონ, არ გადაღალონ, ოღონდ თან ფორმაშიც რომ იყოს და უმნიშვნელოვანეს სპორტულ ღონისძიებას პიკში შეხვდეს. ჩვენი მწვრთნელებიც ასე მოიქცნენ - „თავისუფალთა" მთავარმა მწვრთნელმა **ზაზა თურმანიძემაც** და ბერძენ-რომაელთა დამრიგებელმა **ბეგი დარჩიამაც** სომხეთში წასაყვანი შემადგენლობა საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით შეარჩიეს, თუმცა ოლიმპიური პერსპექტივის გათვალისწინებითაც შეიტანეს გარკვეული კორექტივები. მაგალითად, ბერძენ-რომაელთა საქართველოს პირველობაზე საერთოდ არ უასპარეზია ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას** (74), მაგრამ რადგან ის ოლიმპიადაზე წასვლის უმთავრეს კანდიდატად რჩება, დარჩიამ მაინც წაიყვანა ნახკაძორში.

საერთოდ, მწვრთნელებმა წონაში ორ-ორი ლიდერი იახლეს ანუ სომხეთში უძლიერესი შემადგენლობებით წავიდნენ. მათ განკარგულებაშია ყველა ტიტულოვანი ფალავანი: თავისუფალ ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **გიორგი გოგშელიძე** (96) და მისივე თანაგუნდელ-თანაქალაქელი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის მედალოსანი **ოთარ თუშიშვილი** (66), ამავე სტილით ჭიდაობაში მსოფლიოს შარშანდელი პრიზიორები **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **დავით მოძმანაშვილი** (120), ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60) და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **მანუჩარ ცხადაია** (66), აგრეთვე ის ახალგაზრდები, რომლებიც შარშან ამავე სტილით ჭიდაობაში წარმატებით გამოვიდნენ ახალგაზრდულ ნაკრებში: მსოფლიოს ჩემპიონები **რევაზ ნადარეიშვილი** (96) და **შოთა გოგისვანიძე** (120), მსოფლიოს ვერცხლისა და ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და სხვები. საქართველოს პირველობების დარად, არც ამ შეკრებაზე გამოჩენილან თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **რევაზ მინდორაშვილი** (84) და ბერძნულ-რომაულში ევროპა-მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი **რამაზ ნოზაძე** (96). ამათგან მინდორაშვილის ამბავი კიდევ გასაგებია - მისი დაბრუნება იმთავითვე არ ჩანდა რეალური, ნოზაძეზე კი ლამის ყოველდღიურად გვესმის, რომ აგრძელებს ჭიდაობას, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგება, არც ერთ ტურნირზე არ ჩანს. სავარაუდოდ, სომხური შეკრების გამოტოვება ლონდონის ოლიმპიადაზე მისი მოხვედრის ისედაც მცირე შანსს, პრაქტიკულად, საერთოდ აქარწყლებს.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი. ლეგიონერი




# პელისტერში ჩემპიონობას უმიზნებს

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების წამყვანმა მოთამაშე **რევაზ ჭანტურიამ** სპორტული კარიერა თბილისის „შევარდენში" დაიწყო და მასთან ერთად ქვეყნის ჩემპიონობა ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა. 2004 წელს ზაპოროჟიეში გადავიდა სათამაშოდ, საიდანაც სკოპიეს „მეტალურგში" მიიწვიეს. თანაკლუბელებთან ერთად ორჯერ მაკედონიის ჩემპიონი გახდა და ამდენჯერვე ქვეყნის თასს დაეუფლა. შარშან ცნობილი კლუბ „ვარდარის" შემადგენლობაში ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაზე მეორე ადგილებით დაკმაყოფილდა. 2011 წლის სექტემბრიდან რეზო ჭანტურია ბიტოლას „პელისტერის" ღირსებას იცავს. მაკედონიის 10-გუნდიან ჩემპიონატში 13 ტურის შემდეგ პელისტერელები 24 ქულით პირველ ადგილზე არიან. 75 გოლით ქართველი ხელბურთელი ბომბარდირთა სამეულშია.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი, ახალი წლის პირველ რეიტინგში მცირე წინსვლით

გუშინ WTA-მ და ATP-იმ 2012 წლის პირველი რეიტინგ-ლისტები გამოსცეს. ჩვენი პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** სამი საფეხურით დაწინაურდა და 744 ქულით მსოფლიოს 86-ე ჩოგანია. შეგახსენებთ, რომ ჯერჯერობით 21 წლის ქართველი ჩოგბურთელისთვის საუკეთესო ივლისის მიღწევაა, როცა ანა მსოფლიოს 82-ე ჩოგანი იყო. წყვილთა თანრიგში იგი მსოფლიოს 76-ე ჩოგანია, ეს კი უკვე კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია. ტატიშვილი დიდი სლემის წლის პირველი ტურნირისთვის, ავსტრალიის ღია პირველობისთვის ემზადება, რომლის ძირითად ბადეში ის პირველად ითამაშებს.

სხვები: 180 (+1) **მაკა ჩახნაშვილი** - 359 ქულა; 267 (+1) **სოფიო შაფათავა** - 208; 325 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 150; 389 (+1) **ეკა გორგოძე** - 109; 431 (+2) **სოფიო ქვაცაბაია** - 89; 468 (+1) **თათია მიქაძე** - 78; 817 (+1) **ნათია გეგია** - 20; 1006 (+1) **ანი გოგვაძე** - 10; 1209 (-1) **მაგდა ოქრუაშვილი** - 3. ვაჟები: 1 246 (-) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1 339 (-1) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 458 (-1) **ალექსანდრე მეტრეველი** - 2.

მაგდა ოქრუაშვილი ამერიკულ ინინსბრუკში ასპარეზობს (25 ათასი დოლარი). ჩვენებურმა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი იოლად გაიარა, ამერიკელი **კრისტენ ფლაუერი** დაამარცხა - 6:1, 6:0. მეორე წრეში მისი მეტოქე კვლავ მასპინძელია, მე-3 ნომრად განთესილი **ჩიე-იუ ჰსუ** (418). ჩინურ პინგუოში (25 ათასი დოლარი) ძირითად ბადეშია ოქსანა კალაშნიკოვა, პირველ წრეში ის ტაივანელ **ვენ-ჰსინ ჰსუს** (311) ხვდება. ანთალიაში, 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებს სოფიო ქვაცაბაია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჭადრაკი

# კვარცხლბეკს მიღმა

ფრიმონტში (აშშ) დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი „ჩრდილოეთ კალიფორნია 2012", რომელშიც საპრიზო ადგილებისთვის 52 მოჭადრაკე იბრძოდა, მათ შორის - თბილისელი დიდოსტატი **გიორგი მარგველაშვილი.** ბოლო ტურში იგი მარკ არნოლდს დაუზავდა. მეწინავეთაგან, ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ერთპიროვნული ლიდერი სემ შენკლენდი და ჯოშ ფრიდელი, იური შულმანი და მაკენზი მოლნერი, რიკარდო დე გუზმანი და გრეგ შეჰეიდი. დანარჩენი ხუთი ორთაბრძოლა კი ასე დამთავრდა: ალეხანდრო რამირესი - კაიდენ ტროფი 1:0, ლარი რემლინგერი - გეორგ მეიერი 0:1, სემ კოლინზი - ბართლომეი მაჩეია 0:1, აქსელ ბაჰმანი - ფაიკ ალესკეროვი 1:0, ენრიკო სევილანო - დანიელ რენში 1:0.

ამდენად, 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი შენკლენდმა დაიკავა. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს და მეორე-მეოთხე ადგილები რამირესმა, ფრიდელმა და არნოლდმა გაინაწილეს. მარგველაშვილმა 6 ქულით მეხუთე-მეთერთმეტე ადგილები გაიყო. ფულადი პრიზები (3000, 1500, 1000 დოლარი) კი პირველ-მესამეადგილოსნებს გადაეცათ.

**ვაჟა დანელია**



გიორგი მარგველაშვილი

კონტაქტები



მარცხნიდან: ვალიკო ურიდია, პეტერ ნაგლერი, ნატა ბაგინსკაია, ვახტანგ ნაგლერი

# ქართულს და ჭადრაკს თბილისში სწავლობს

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **ვალიკო ურიდიას** ამქარში ერთი უცხოელიც ურევია - 14 წლის ავსტრიელი **ვახტანგ ნაგლერი**, რომელიც მეშვიდე წელიწადია, ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას ეუფლება. თუმცა, რალა უცხოელი - ვახტანგი შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულად. ეს არ არის შემთხვევითი - დედამისი **ნატა ბაგინსკაია** თბილისელია (ბებია ხოფერიას ქალი იყო), ყოფილი მხატვრული ტანმოვარჯიშე. გასული საუკუნის 80-90-იან წლებში საქართველოს ნაკრების წევრი **ნელი სალაძესთან** ვარჯიშობდა. მაშინ დაძმობილებულ ქალაქებს - თბილისსა და ინსბრუკს შორის ხშირად იცვლებოდა სპორტული დელეგაციები. ერთ-ერთ ჯგუფში ერთხელ ნატაც მოხვდა, ავსტრიაში იქაურ ველომრბოლთა ნაკრების წევრი **პეტერ ნაგლერი** გაიცნო და საბოლოოდ ბედიც მას დაუკავშირა.

ვახტანგი ახლა მშობლებთან ერთად თბილისშია, ერთ-ერთ კერძო სკოლაში სწავლობს და შემოდგომამდე ავსტრიაში დაბრუნებას არ აპირებს. ვალიკო ურიდიასთან იმაღლებს ოსტატობას და კალათბურთში **ნიკო ჩერქეზიშვილთანაც** ვარჯიშობს, ახლახან ბაკურიანშიც იყო შეკრებაზე, სამუსიკო სკოლაშიც დადის.

- ჭადრაკი ბავშვობიდან მიტაცებს, ნელ-ნელა ვიწაფები, წლეულს თანატოლთა შორის თბილისისა და საქართველოს პირველობებში მონაწილეობას ვაპირებ. ძალიან მიყვარს დედულეთი. აქამდეც ხშირად ჩამოვდიოდი თბილისში - აქაური სილამაზე და ხალხის სითბო მიზიდავს; ახლა საოცარმა ქართულმა ანბანმა მომხიბლა. მათი წერისას უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობ, - მითხრა ვახტანგმა.

თბილისით, და საერთოდ, საქართველოთი, დიდი ხანია, მოიხიბლა ვახტანგის მამა - პეტერ ნაგლერიც, რომელმაც შარშან სენიორთა შორის ტურ დე ფრანსშიც მიიღო მონაწილეობა. ავსტრიელს ჩვენი მთებიც იზიდავს, უპირველესად მყინვარწვერზე ასვლას აპირებს.

- საქართველოში პირველად ცხრა წლის წინათ ჩამოვედი. მიხარია, რომ მთელმა ქვეყანამ სახე იცვალა; აქ ახლა ისეთი სტაბილური სიტუაციაა, ბევრ განვითარებულ ქვეყანას რომ შეშურდება - უშიშრად ცხოვრება შეიძლება. ამიტომ გადავწყვიტეთ მე და ჩემმა მეუღლემ, ვახტანგი ერთი წლით თბილისში ჩამოგვეყვანა ქართული ენის, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების საფუძვლიანად შესასწავლად.

**- როგორც მითხრეს, სხვა მიზნებიც გქონიათ...**

- დიახ, თბილისსა და ინსბრუკს შორის კონტაქტების გაღრმავების მიზნით გაზაფხულზე თანამემამულეებთან ერთად კვლავ ვეწვევი საქართველოს დედაქალაქს, თანაც ჩემი მშობლიური ქალაქიდან ველოსიპედებით ჩამოვალთ. ავსტრიაში ალპინიზმის მოყვარული ბევრი მეგობარი მყავს. საქართველოში ლამაზი და თვალშეუდგამი მთებია, მათი დალაშქვრაც გვინდა. დიდი სურვილი მაქვს, ალპები და კავკასია დავამეგობრო, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობას გაამყარებს, - ამბობს ბატონი პეტრე, როგორც მას ცოლეურები ეძახიან.

- ხომ გაგიგონიათ, სადაც არის ბედი შენიო... მეც ჩემი ფეხით ჩავედი ინსბრუკში. თავიდან ძალიან გამიჭირდა თბილისთან განშორება, თუმცა მშობლებთან და ახლობლებთან ურთიერთობა არასდროს გამიწყვეტია. დღეს ბედნიერი ვარ იმით, რომ მამა-შვილი საქართველოს სიყვარულში მეჯიბრებიან, - კმაყოფილებას ვერ მალავს ქალბატონი ნატა.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

სუმო. ჰაცუ ბაშო. 8-22 იანვარი

# ქართული დუელი

ტოკიოს ბაშოზე ჩვენთვის საინტერესო დღე იყო - დოჰიოზე ქართული დუელი ვიხილეთ: **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე) გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)** დაუპირისპირდა. თანამემამულეები აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ტოჩინოშინმა მოიგო, გუშინ გაგამარუმ იორიკირის ილეთით შური იძია. 199-კილოიანმა ჯუღელმა თვალის დახამხამებაში გააგდო დოჰიოდან 160-კილოიანი გორგაძე. ორივე ჩვენებურს 1-1 ბალანსი აქვს, ისევე როგორც ძურიოს დივიზიონში მოჭიდავე **კოკაის (ლევან ცაგურია).** გუშინ „შავმა ზღვამ" ბაშოზე პირველად იმარჯვა.

**II დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ტაკეკაძე (ოშიტაოში), კოტოშოგიკუ-ვაკაკოიუ (იორიკირი), კოტოოშუ-მიაბიამა (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა (უვატენაგე), კისენოსატო-ამინიშიკი (ცუკიოტოში), ბარუტო-ოკინოუმი (ოშიდაში), კაკურიუ-გოეიდო (იორიკირი), ტაკაიასუ-კიტატაიკი (იორიკირი), ტოჩინოვაკა-მიოგირიუ (ოშიდაში), **გაგამარუ-ტოჩინოშინი** (იორიკირი). **ძურიო: კოკაი**-მასუნოიამა (უვატედაშინაგე).

**III დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ამინიშიკი, კოტოოშუ-ტაკეკაძე, ჰარუმაფუჯი-ვაკაკოიუ, კისენოსატო-მიაბიამა, ბარუტო-გოეიდო, კოტოშოგიკუ-ოკინოუმი, კაკურიუ-ტოიონოშიმა, ჰომაშო-კიტატაიკი, ტაკაიასუ-ტოჩინოვაკა, მიოგირიუ-კიოკუტენჰო, **ტოჩინოშინი**-ტოკიტენკუ, **გაგამარუ**-დაიდო. **ძურიო: კოკაი**-იკიოი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კალათბურთი

ქართველები იტალიაში

# სანიკიძე, ყველაზე ღირებული იტალიაში



## მეტრეველის რეკორდი სიენასთან

იტალიურ გამოცემა „ბასკეტინსაიდში" ვკითხულობთ: „ვირტუსელმა **ვიქტორ სანიკიძემ** მისთვის ჩვეული ეფექტურობით ითამაშა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის მაღალ კლასს. თუმცა ქართველი ფორვარდის მონდომება ბოლონიის „ვირტუსს" პესაროში „სკავოლინის" დასამარცხებლად არ ეყო.

თანაბრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ „სკავოლინიმ" მცირე უპირატესობა მოიპოვა, ბოლონიელები ორნიშნა ციფრით დაწინაურების უფლებას არ აძლევდნენ და მატჩის შემოტრიალების შანსსაც ინარჩუნებდნენ, მაგრამ საფინალო სირენამ „ვირტუსს" სწორედ მაშინ მიუსწრო, როცა მეტოქეს 9 ქულით ჩამორჩა - 77:86.

ქართველი ფორვარდი ტრადიციულად ბოლონიელთა სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და მორიგ ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა. მოედანზე გატარებულ 28 წუთში ვიქტორმა 9-დან 6 ორქულიანი, 5-დან 2 სამქულიანი და ოთხივე საჯარიმო გამოიყენა, 9 მოხსნიდან კი 5 მეტოქის ფარზე მიითვალა. ვიქტორის აქტივში 2 პასიც ჩაიწერა.

სანიკიძის ეფექტიანობის კოეფიციენტმა 26-ს მიაღწია, რაც სტუმართა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე კი "სკავოლინის" ამერიკელი გამთამაშებელი **რიჩარდ ჰიკმანი** გახდა, რომელმაც 39 წუთში 23 ქულა, 3 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 5 პასი და 2 დაფარება მოაგროვა. აქვე ერთ ციფრსაც დავასახელებთ: 21.6. ესაა ვიქტორის მარგი ქმედების საშუალო მაჩვენებელი 15 ტურის შემდეგ. ამ შედეგით იგი იტალიის ჩემპიონატში პირველია. მეორეა **მუსტაფა შაქური** - 21.3.

მომდევნო ტურში, 11 იანვარს, „ვირტუსი" „სიენას" უმასპინძლებს.

■ ■ ■

**მანუჩარ მარკოიშვილისა** და **გიორგი შერმადინის** „კანტუმ" იტალიის ჩემპიონატში მორიგი შეხვედრა მოიგო. კანტუელები საკუთარ მოედანზე „ბიელას" დაუპირისპირდნენ და საბოლოოდ 66:61 იმარჯვეს.

სასტარტო ხუთეულში იყო მარკოიშვილი, რომელმაც მოედანზე 18 წუთი გაატარა. მანუჩარმა 4 ცდიდან 1 ორქულიანი ჩააგდო, 1 სამიანი ააცილა, ხოლო ორივე საჯარიმო ზუსტად შეასრულა. საბოლოოდ ქართველმა უკანახაზელმა 4 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

გიორგი შერმადინი მოედანზე 17 წუთით გამოჩნდა და 6 ქულა, 4 მოხსნა, 2 დაფარება და 2 ჩაჭრა მოაგროვა. შერმადინმა ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლა: 4 საჯარიმო და 1 ორქულიანი. საერთო სარგებლიანობის კოეფიციენტით შერმადინს მხოლოდ **მაარტენ ლუნენმა** და **დენის მარკონატომ** აჯობეს.

9 მოგებითა და 5 მარცხით „კანტუ" ცხრილში მე-4 ადგილზეა. ამდენივე გამარჯვებითა და 4 მარცხით მესამეზეა ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსი".

■ ■ ■

პირადი რეკორდი დაამყარა **ნიკა მეტრეველმა** - აპენინელთა მოქმედ ჩემპიონ „მონტეპასკისთან" იტალიის ჩემპიონატში ყველაზე მეტი, 24 წუთი ითამაშა. როგორც მოსალოდნელი იყო, სარდინიაზე სიენელებმა გაიმარჯვეს - 91:75.

მეტრეველმა 5-დან 2 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და 8 ქულას 3 მოხსნა მიამატა. ქართული პასპორტის მქონე სასარელმა **ქუინტონ ჰოსლიმ** 12 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა.

„დინამო სასარი" მე-8 ადგილზეა (7-7 მოგება-წაგება). მომდევნო ტურში იგი ვენეციაში ითამაშებს, ხოლო „კანტუ" - სტუმრად „მონტეგრანაროსთან".

■ ■ ■

იტალიის ჩემპიონატის ყოველი ტურის შემდეგ ოფიციალურ საიტზე საუკეთესო 10 მომენტი ქვეყნდება. ვიქტორ სანიკიძე ათეულის ხშირი სტუმარია. მისი ეფექტური ჩატენვის ხილვის იმედით მე-15 ტურის გამორჩეული მომენტებიც შევათვალიერე, მაგრამ სანიკიძე ათეულში არ აღმოჩნდა. თუმცა ორი ქართველი მაინც იყო: მეათე ადგილზე გავიდა ნიკა მეტრეველის მარჯვენა ხელით ჩატენილი („მონტეპასკის" კალათში), ხოლო მეექვსე ადგილი ერგო **ბაზილესა** და მარკოიშვილის „ალეი უპს" - „კანტუს" სწრაფი შეტევა მანუჩარმა ბაზილეს პასით ეფექტური ჩატენვით დააგვირგვინა.

რადგან ათეულზე ვწერთ, აქვე იმასაც დავამატებთ, რომ სანიკიძე „ევრობასკეტის" მიხედვით მე-15 ტურის საუკეთესო 10 კალათბურთელს შორის მოხვდა. ვიქტორს მეცხრე ადგილი ერგო.

ტრანსფერი

# ბოისა საბერძნეთში დაბრუნდა



საქართველოს ეროვნული ნაკრების ვეტერანი, 30 წლის **ვლადიმერ ბოისა** კარიერას ბერძნულ „პანიონიოსში" გააგრძელებს. ვებ-გვერდ eurobasket.com-ის ინფორმაციით, ბოისა დათანხმდა ბერძნული გუნდის პირობებს და პანიონიოსელებთან ვარჯიშს დღეიდან შეუდგება.

ბოისამ მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი უგუნდოდ გაატარა. ის სლოვენიაში ჯერ ინდივიდუალურად ემზადებოდა, შემდეგ „ჰელიოსთან", თუმცა ჩვენი გაზეთის მკითხველს ემახსოვრება ვოვას ნათქვამი - კარიერას „ჰელიოსში" არ გავაგრძელებო. საქართველოს ნაკრების გამოცდილმა წევრმა წინა სეზონი სლოვენიაში გაატარა, სადაც ლიუბლიანის „ოლიმპიას" ღირსებას იცავდა.

ვლადიმერისთვის საბერძნეთში თამაში უცხო არ არის. 2008-2009 წლების სეზონში ბოისა ათენის „არისში" თამაშობდა და საბერძნეთის ლიგის 18 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ „პანიონიოსში" 2009 წელს **ნიკა ცქიტიშვილიც** ირჯებოდა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო გუნდი ნაადრევად დატოვა. საბერძნეთის ჩემპიონატში „პანიონიოსი" 7 მოგებითა და 4 წაგებით მეოთხე ადგილზეა.

ტრანსფერი

# ბაქრაძე თსუ-ში



გასულ კვირას თსუ-ში მომხდარ სატრანსფერო ამბებზე მოგიყევით. ისიც გითხარით, რომ გუნდის განაცხადში ერთადერთი თავისუფალი ადგილი იყო. ხოლო კლუბის ხელმძღვანელობა მის შევსებას მეფარით აპირებდა. თუმცა გუშინ კლუბის პრეზიდენტის, **ირაკლი ხარჯევანიძისგან** შევიტყვეთ, რომ თსუ-ში თავისუფალი ადგილი გამთამაშებელმა **გივი ბაქრაძემ** შეავსო.

შეგახსენებთ, რომ 20 წლის ახალგაზრდა მიმდინარე სეზონში თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა, სასტარტო პლეიმეიქერი იყო და 10 მატჩში საშუალოდ 25.2 წუთში 9.6 ქულას, 3.1 მოხსნასა და 4.3 პასს აგროვებდა. მანამდე, 2010-11 წლებში ბაქრაძე „არმიას" ღირსებას იცავდა.

გივიკომ საქართველოს ჩემპიონატში პირველად 2008-09 წლებში თბილისის „დინამოს" მაისურით ითამაშა, ხოლო 2009-10 წლების სეზონში ფინეთის მეორე ლიგის „კორიკობრატში" გამოდიოდა.

2011 წლის ზაფხულში ბაქრაძემ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ითამაშა და 2012 წლის ახალგაზრდულ ევროპის პირველობაზე თამაშის უფლება მოიპოვა. თუმცა, ასაკის მიხედვით მას მომავალ ზაფხულს 20-წლამდელთა ნაკრებში თამაშის უფლება არ აქვს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

საქტრანსფერო სიახლენი

# რეფორმები დინამოში

გუშინ თბილისის „დინამოს" პრეზიდენტმა, **ვახტანგ ნაცვლიშვილმა** გუნდში მომხდარი სერიოზული ცვლილებების შესახებ გვაცნობა.

საკალათბურთო კლუბი "თბილისის დინამოს" გუნდი დატოვა მთავარმა მწვრთნელმა **დავით თორთლაძემ** და მოთამაშეებმა - **დეივ ნოელმა, პლასიდე როდუმტამ, გივი ბაქრაძემ.** მათი პოზიციები შეავსეს: **ირაკლი ხოშტარიამ** (მთავარი მწვრთნელი), **ამბროსი ორმოცაძემ** (მწვრთნელის ასისტენტი), **ალექსანდრ ზესევიჩმა** (ფორვარდი, სერბეთი, სიმაღლე - 200 სმ), **მილან ოლუიჩმა** (ცენტრალური თავდამსხმელი, სერბეთი, სიმაღლე - 211 სმ), **ბექა წივწივაძემ** (გამთამაშებელი, სიმაღლე - 190 სმ).

როგორც ხედავთ, „დინამოში" ძირეული ცვლილებები განხორციელდა, ახალწვეულებსა და მათ მიღწევებს დოსიეებიდან გავეცნოთ.



## მილან ოლუიჩი

**სერბეთი**

**დაიბადა:** 25.09.1984
**სიმაღლე:** 211 სმ.
**წონა:** 110 კგ.
**პოზიცია:** ცენტრი

**კარიერა**

2001-03 ზრენჯანინი (სერბეთი)
2004-05 ბელგრადი (სერბეთი)
12.3 ქულა, 7.1 მოხსნა, 1.6 დაფარება
2005-06 სარაევო (ბოსნია)
18.8 ქულა, 9.6 მოხსნა, 2.5 დაფარება
2006-07 ჰორსენსი (დანია)
3.1 ქულა, 1.5 მოხსნა
2007-08 სპარტაკი (ბულგარეთი)
3.2 ქულა, 2.6 მოხსნა
2008-09 კრალიევო (სერბეთი)
5.2 ქულა, 3.0 მოხსნა
2009-10 კრალიევო (სერბეთი)
3.8 ქულა, 1.7 მოხსნა
2010-11 ენერგია (რუმინეთი)
4.1 ქულა, 3.3 მოხსნა
2011 ენერგია (რუმინეთი)

**მიღწევები**

2004, 2006 - ბოსნიის „ოლ სტარი"
2005 - დანიის ლიგის ჩატენვების კონკურსის მონაწილე



## ალექსანდრ ზესევიჩი

**სერბეთი**

**დაიბადა:** 29.06.1975
**სიმაღლე:** 201 სმ.
**წონა:** 91 კგ.
**პოზიცია:** ფორვარდი

**კარიერა**

1998-99 ჰემოფარმი (სერბეთი)
სერბეთის ჩემპიონატი: 25.2 წუთი, 11 ქულა, 3.5 მოხსნა, 1 პასი
2000-01 ჰემოფარმი (სერბეთი)
კორაჩის თასი: 32.4 წუთი, 16.5 ქულა, 5.8 მოხსნა, 1.1 პასი
2001-02 ბონი (გერმანია)
საპორტას თასი: 23.7 წუთი, 10.2 წუთი, 3.6 მოხსნა, 1.2 პასი
2001-02 ბონი (გერანია)
ბუნდესლიგა: 27.7 წუთი, 15.3 ქულა, 3.1 მოხსნა, 1.6 პასი
2002-03 ოლივეირენსე (პორტუგალია)
2003-04 პეპინსტერი (ბელგია)
ულების თასი: 28.5 წუთი, 11.7 ქულა, 2.3 მოხსნა, 1.2 პასი
2005-06 პეპინსტერი (ბელგია)
ბელგიის ლიგა: 33.1 წუთი, 12.9 ქულა, 5.3 მოხსნა, 3.9 პასი
2006-07 პეპინსტერი (ბელგია)
ბელგიის ლიგა: 31.1 წუთი, 13.2 ქულა, 3.6 მოხსნა, 2.9 პასი
2007-08 პეპინსტერი (ბელგია)
ბელგიის ლიგა: 30.2 წუთი, 12.3 ქულა, 3.5 მოხსნა, 2.1 პასი
2007-08 პეპინსტერი (ბელგია)
ევროთასი: 33.7 წუთი, 18.6 ქულა, 3.5 მოხსნა, 3.0 პასი
2008-09 პეპინსტერი (ბელგია)
ბელგიის ლიგა: 29.7 წუთი, 10.2 ქულა, 2.8 მოხსნა, 2.8 პასი
2009-10 ლუვენი (ბელგია)
ბელგიის ლიგა: 13.0 წუთი, 2.0 ქულა, 1.1 მოხსნა, 0.4 პასი.

**მიღწევები**

2000 - იუგოსლავიის ლიგის სიმბოლური ნაკრების წევრი
2001 - კორაჩის თასის ფინალისტი
2001 - იუგოსლავიის ლიგის ნახევარფინალისტი
2002 - საპორტას თასის მეოთხედფინალისტი
2003 - პორტუგალიის თასის მფლობელი
2003 - პორტუგალიის ლიგის რეგულარული ეტაპის გამარჯვებული
2003 - პორტუგალიის ჩემპიონატის ფინალისტი
2004 - ბელგიის ლიგის ლეგიონერთა სიმბოლური ნაკრების წევრი
2004 - ბელგიის ლიგის ნახევარფინალისტი
2006, 07 - ბელგიის თასის ნახევარფინალისტი

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

ინტერვიუ ნიაზ მამრიკიშვილთან

# ახალი წელი უხვი სიახლეებით

## გაზრდილი უმაღლესი ლიგა, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა...


ნიაზ მამრიკიშვილი

2012 წლიდან ქართული რაგბის განვითარებაში იწყება ახალი, ოთხწლიანი ციკლი. წლევანდელი სეზონი, უწინდელისგან მართლაც განსხვავებული იქნება. საქართველოს რაგბის კავშირი ბევრი სიახლის დანერგვას გეგმავს; თუმცა გეგმავს კი არა, კონკრეტული გადაწყვეტილებები უკვე მიღებულია და ისღა დაგვრჩენია ახალი სეზონის დასაწყის დაველოდოთ. მანამდე კი საშეჯიბრებო კომიტეტის ხელმძღვანელ **ნიაზ მამრიკიშვილს** განვლილი სეზონის ავ-კარგსა და მომავლის გეგმებზე, უკვე განხორციელებულ სიახლეებზეც ვესაუბრეთ.

- საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის კალენდარში საერთაშორისო ტურნირების განრიგმა საკმაოდ სერიოზული კორექტივები შეიტანა. თბილისში გამართულმა „მსოფლიოს ახალგაზრდულმა ალაფამ“ და მსოფლიოს თასის გათამაშებამ, საკმაოდ დააზარალა ქართული კლუბები, დიდი გავლენა იქონია თამაშის ხარისხზე. განსაკუთრებით იზარალა თბილისის „ლელომ“, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში სამი მორაგბე მიავლინა. თუმცა არც ქუთაისის „აიასა“ და თბილისის „ლოკომოტივისთვის“ ჩაუვლია ამ ამბავს უკვალოდ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, რომ 2012 წლიდან შევცვალოთ სეზონის გამართვის დრო და გადავიდეთ შემოდგომა-გაზაფხულის პრინციპზე.

**- მოდი, საქართველოს განვლილი ჩემპიონატი შევაფასოთ. საერთო აღიარებით, ის უწინდელზე უკეთესი გამოვიდა. რით იყო გამორჩეული?**

- საქართველოს ჩემპიონატში „არმიას“ გამოჩენამ წინა წლებში დამკვიდრებული იერარქია დაარღვია. ის, რომ თბილისის „აკადემიამ“ საბოლოოდ ბოლოსწინა მეშვიდე ადგილი დაიკავა და ბოლომდე ინარჩუნებდა პლეი ოფში მოხვედრის შანსს, თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონემ მოიმატა და განსხვავება გუნდებს შორის საგრძნობლად შემცირდა.

ამის დასტურია ისიც, რომ ქუთაისის „აიამ“, რომელმაც რეგულარული გათამაშება დამაჯერებლად მოიგო, საბოლოოდ, პლეი ოფში ჩემპიონობის მოპოვება ვერ შეძლო. ამასთან ერთად, ისეთი ტრადიციების მქონე გუნდი, როგორიცაა თბილისის „ყოჩები“; ბოლო ადგილზე აღმოჩნდა, თუმცა საქართველოს თასის გათამაშების ფინალში გავიდა და აშკარა ფავორიტს, უკვე გაჩემპიონებულ „არმიას“, სულ ცოტა ტაიმ-ნახევრის განმავლობაში, უდიდესი წინააღმდეგობა გაუწია.

**- როგორც უკვე თქვით, ქუთაისის „აიამ“ რეგულარული გათამაშება დამაჯერებლად მოიგო, მაგრამ ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მაინც ვერ შეძლო. რატომ?**

- ვფიქრობ, რაც მოხდა, აბსოლუტურად ობიექტური იყო. „არმიამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა. ის, რომ ამ გუნდის მესვეურებმა ერთი სეზონის განმავლობაში ძლიერი, კონკურენტუნარიანი გუნდის შექმნეს, პირველ რიგში საკმაოდ დიდი ფინანსებით უნდა აიხსნას, რისი საშუალებითაც საქართველოში რამდენიმე ლეგიონერი დააბრუნეს. ეს ტენდენცია მხოლოდ მისასალმებელია.

ამასთან ერთად, მათ შეძლეს კარგი მორაგბეების აყვანა გუნდში, განსაკუთრებით ჩემპიონატის მეორე ნახევარში. აქ იმოქმედა ეგრეთ წოდებულმა „მტვერსასრუტის პრინციპმა“ - ანუ როცა დიდი ფული ბევრი კარგი მოთამაშის კონცენტრაციას იწვევს, რაც სიახლე სულაც არ არის მსოფლიოს რაგბიში.

ასე რომ, „არმიას“ მიერ ჰეთ თრიკის შესრულება (საქართველოს ჩემპიონობა, თასის მოპოვება და შვიდკაცას მოგება), მოულოდნელი არ იყო.

**- „არმიამ“ საქართველოს ჩემპიონობა დამსახურებულად მოიპოვა, თუმცა იმავეს თქმა „აიაზეც“ შეიძლებოდა, ცხადია, თუ ჩემპიონი გახდებოდა...**

- დიახ ასეა, „აიას“ წარმატებულ ასპარეზობას მუშაობის სამწლიანი ციკლი უდევს საფუძვლად. ამ ყველაფრის თავიდათავი კი კლუბის პრეზიდენტი გიორგი გორგასლიძეა, რომელსაც საკლუბო მუშაობის კარგად გათვლილი ტაქტიკა აქვს. მან საკვანძო პოზიციებზე ისეთი ადამიანები დაასაქმა, რომლებსაც ნამდვილად შესწევთ ძალა, ქუთაისურ რაგბის ძველი დიდება დაუბრუნონ. ესენი არიან როგორც „აიას“ მწვრთნელები, ისე ის ადამიანები, რომლებიც ბავშვთა გუნდებთან მუშაობენ და ჭაბუკთა შეჯიბრებებში წარმატებას აღწევენ.

**- თბილისის „ლოკომოტივის“ დიდი ფინალის მიღმა დარჩენა მოულოდნელობა არ იყო?**

- რკინიგზელებს წლეულს პრობლემა საკმაოდ ჰქონდათ, გუნდი რამდენიმე მოთამაშემ დატოვა, რამდენიმე ეროვნულ და სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში იყო მიწვეულნი, თუმცა პლეი ოფში „ლოკომოტივმა“, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და ტიტულოვანი გუნდია, მიანც შეძლო მობილიზება და საბოლოოდ, საპრიზო, მესამე ადგილიც დაიკავა.

**- სეზონის წინ ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ბოლო წლების ლიდერი თბილისის „ლელო“ საპრიზო ადგილის მიღმა დარჩებოდა...**

- ამ გუნდზე ძალიან ცუდი გავლენა იქონია მოთამაშეების გადინებამ უცხოეთში. ამასთან, „ლელოს“ სამი წამყვანი უკანახაზელი, ლაშა ხმალაძე, სანდრო თოდუა და ლექსო გუგავა მსოფლიოს თასის გათამაშებაში, საქართველოს ნაკრებში გამოდიოდა. იქიდან დაბრუნებულებმა კი ვერაფრით მოახერხეს ჩვეული ფორმის აღდგენა. სავარაუდოდ, მათზე იმოქმედა არა მარტო ფიზიკურმა, არამედ ფსიქოლოგიურმა დაღლილობამ. ვფიქრობ, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ამ გუნდმა შარშანდელ სეზონში პოზიციები დათმო.

**- საკმაოდ საინტერესო გუნდები იყვნენ სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარშიც. მეტიც, საერთო აღიარებით, ოთხიდან სამს რეალურად ჰქონდა პლეი ოფში გასვლის შანსი...**

- ძალიან საინტერესოდ ათამაშდა მეხუთე ადგილზე გასული თბილისის „არმაზი“. ამ გუნდის მორაგბეები ლიდერის, დავით კიკნაძის გარშემო არიან დარაზმული. ამ მგეზავის დამსახურება გუნდის წარმატებულ თამაშში საკმაოდ დიდია. ის 195 ქულით საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მექულე გახდა.

თაობათა ცვლა მიმდინარეობს მეექვსე ადგილზე გასულ რუსთავის „ხარებში“. ეს გუნდი წლიდან წლამდე უმატებს და ამჯერად ერთი ნაბიჯი დააკლდა პლეი ოფამდე. იმედი გვაქვს, რომ სამომავლოდ რუსთავის გუნდი ბევრ სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

ყველაზე საინტერესო გუნდია თბილისის „აკადემია“. მას ბოლო ტურამდე ჰქონდა პლეი ოფში მოხვედრის შანსი. ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე „აკადემია“ რამდენიმე მორაგბემ დატოვა თორემ გუნდს აშკარად შეეძლო უკეთესი შედეგის მიღწევა.

რაც შეეხება თბილისის „ყოჩების“ მიერ განცდილ ფიასკოს. ეს გუნდიც სეზონის დაწყების წინ ბევრმა მოთამაშემ დატოვა. ამიტომ დასაწყისში მას ვერ ვიცნობდით. ჩემპიონატის ბოლოსკენ კი მდგომარეობა საგრძნობლად გამოაკეთეს და ბოლოადგილოსანმა საქართველოს თასის ფინალში გააღწია.

**- შარშანდელი სეზონი გამორჩეული იყო პირველი ლიგიონისთვისაც...**

- პირველ ლიგაში სეზონის დასაწყისიდანვე არავის შეჰპარვია ეჭვი, რომ „ბათუმი XV“ პირველობას ვერავინ შეეცილებოდა. ეს მოლოდინი გამართლდა და ზღვისპირელებმა გათამაშება დაუმარცხებლად განვლეს. ძალიან სასიამოვნო იყო, რომ პირველი ლიგის დებიუტანტი თბილისის „ჯიქები“ კონკურენტუნარიან გუნდად ჩამოყალიბდა. საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა და „აკადემიის“ ძლევით უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

„ხულიგანა“, „თიბისი“, „ბაგრატი“ და „დევები“ პირველი ლიგის კვალობაზე შსანიშნავად გამოიყურებოდნენ. იმედია, ეს კლუბები წლეულს განახლებული გეგმებითა და გაზრდილი მადით ბევრჯერ გაგვაოცებენ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ყველაზე ახალგაზრდული გუნდის ფოთის „რაინდების“ პროგრესი, რომელიც საქართველოში ყველაზე პერსპექტიულად ითვლება. თვალსაჩინოა სულ რაღაც სამი წლის ოზურგეთის „არწივების“ წინსვლაც.

შარშან მეორე ლიგაში თავი გამოიჩინა თბილისის „დინამომ“, რომელმაც ოთხრაუნდიან ბრძოლაში დებიუტანტი საჩხერის „ჯრუჭი“ დაამარცხა. საჩხერლებმა პირველად იასპარეზეს კაცთა ტურნირში და ეს წელიწადი ადაპტაციისთვის გამოიყენეს.

**- დასაწყისში თქვით, რომ წლეულს საქართველოს ჩემპიონატის გათამაშების პრინციპი იცვლება...**

- დიახ, გათამაშების შემოდგომა-გაზაფხულის პრინციპით გამართვა გადავწყვიტეთ. გავითვალისწინეთ კლუბების უმრავლესობის მოსაზრება, რომ მატჩების მეტი რაოდენობა გუნდების თამაშის ხარისხს აამაღლებს და საამისოდ, უმაღლეს ლიგაში რვის ნაცვლად ათი გუნდი დავუშვით.

გაუქმდება მეორე ლიგა. იქ მოთამაშე და ახალშექმნილი გუნდები კი აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად დაყოფილ პირველ ლიგაში გაერთიანდებიან. სულ 16 გუნდი იასპარეზებს. დასავლეთ ზონაში გამოვლენ: ქუთაისის „ბაგრატი“, ფოთის „რაინდები“, ოზურგეთის „არწივები“, საჩხერის „ჯრუჭი“, ბათუმის „დელფინები“ და სენაკის „ნოქალაქევი“. აღმოსავლეთში - პატარძეულის „ვეფხვები,“ თბილისის „ხულიგანა“ და „დევები“, „თიბისი“, „დინამო“, „ტორნადო“, „ბარბაროსები“, „მგლები“, „სტუ“ და „ივერია“.

ორივე ზონაში გუნდები ორ წრედ ითამაშებენ. ორ-ორი საუკეთესო ოთხგუნდიან ჯგუფს შექმნის, რომელშიც ასევე ორწრიანი ტურნირი ჩატარდება. ორი საუკეთესო კი უმაღლესი ლიგის ორ უარესთან გადათამაშებაში შეეცდება რანგით მაღალი ლიგის საგზურის მოპოვებას.

**- შემოდგომა-გაზაფხულის სისტემა სექტემბრიდან ამოქმედდება. მანამდე რით დაკავდებიან გუნდები?**

- 18 თებერვალს დაიწყება საშუალედო ტურნირი, რომლის პირველ ეტაპზეც პირველლიგელები ითამაშებენ. ზონებში თითო გამარჯვებული უმაღლესი ლიგის გუნდებს დაემატებიან. ამათი შეჯიბრება კი 22 მარტიდან დაიწყება და მაისის ბოლოს დასრულდება. აქ 12 გუნდი ორ ჯგუფში განაწილდება. I ჯგუფში ითამაშებენ: „არმია“, „ლელო“, „არმაზი“, „ყოჩები“, „ბათუმი XV“ და დასავლეთ ზონაში გამარჯვებული. II ჯგუფი: „აია“, „ლოკომოტივი“, „ხარები“, „აკადემია“, „ჯიქები“ და აღმოსავლეთ ზონაში გამარჯვებული.

აქვე გეტყვით, რომ საქართველოს თასის გათამაშება უქმდება.

**- თითქმის მთელს მსოფლიოში ქულათა დარიცხვის ავსტრალიური სისტემაა, რომელიც გუნდებისთვის პრემიული ქულების მინიჭებას ითვალისწინებს...**

- წლევანდლიდან ქულათა დარიცხვის სისტემა ჩვენთანაც შეიცვლება, თუმცა ავსტრალიურს ფრანგული სისტემა ვარჩიეთ. მოგებული გუნდი სამ ქულას მიიღებს. ამასთან, თუ მეტოქეს სამ და მეტ ლელოს გაუტანს, ერთი პრემიული ქულა ერგება. ასევე შეუძლია პრემიული ქულა მოიპოვოს წაგებულმა გუნდმაც, იმ შემთხვევაში, თუ შვიდი და ნაკლები ქულით დამარცხდება. ფრე თითო ქულაა.

**- საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა იზრდება, ამას დაუმატეთ ჭაბუკთა A და B ლიგების გათამაშებაც. არის თუ არა მზად ინფრასტრუქტურა მატჩების სათანადო დონეზე ჩასატარებლად?**

- საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დახმარებით შარშან ორი სარაგბო ბაზა ჩადგა მწყობრში, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა კიდეც იმ სეზონის წარმატებულად ჩატარება. მიმდინარეობს და წლეულს უნდა დასრულდეს ოთხმოედნიანი ბაზის მშენებლობა ქუთაისში, ორმოედნიანის - რუსთავსა და დიდ დიღომში. წელსვე დამსრულდება სტადიონის მშენებლობა მარტყოფში.

ეს ყოველივე იმედს გვაძლევს, რომ სარაგბო ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო სრულყოფილი გვექნება, რაც აუცილებლად აისახება საქართველოში რაგბის განვითარებაზე.

**ბესიკ ჯანგავაძე**


არმია-აია. ჩემპიონატის ფინალი. 2011 წელი

● კალათბურთი


ჯეისონ კიდი

# დრიმ თიმის კონტურები

## ბუზერი, პრინსი, რედი და კიდი ზედმეტნი არიან

18 იანვარს, ამერიკის ოლიმპიური ნაკრების გენერალური მენეჯერი **ჯერი კოლანჯელო** ლონდონში გასამგზავრებელ გაფართოებულ შემადგენლობას გამოაცხადებს, რომელიც 18 კალათბურთელისგან იქნება შემდგარი.

ამერიკულმა პრესამ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი ინფორმაცია სანდო წყაროსგან შეიტყო. კერძოდ, ოთხი კალათბურთელი, რომელიც 2008 წელს პეკინში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, წელს ლონდონში არ გაემგზავრება. ესენი არიან: **კარლოს ბუზერი, ტაიშონ პრინსი, მაიკლ რედი** და **ჯეისონ კიდი**.

გარდა ამისა, ირკვევა, რომ **ბლეიკ გრიფინი** იქნება ინგლისში გამგზავრების ერთადერთი კანდიდატი, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია არც 2008 წლის ოლიმპიადაში და არც მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატში.

„ფილადელფიას" ლიდერმა **ანდრე იგუოდალამ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მის გვარს აუცილებლად იხილავენ 18-კაციან სიაში. კალათბურთელის თქმით, ის დაუკავშირდა კოლანჯელოს და ეს უკანასკნელი ფილადელფიელს შემადგენლობაში შეყვანას დაჰპირდა.

რაც შეეხება ახალი გუნდის პერსპექტივებს, კოლანჯელო ოპტიმისტურად ლაპარაკობს ლონდონში „დრიმ თიმის" შანსებზე.

*„ვფიქრობ, 2012 წლის ოლიმპიადაზე აშშ-ის ნაკრები შეიძლება თამამად შევადაროთ „დრიმ-თიმს". შეხედეთ, რა პროგრესს მიაღწიეს ჩვენმა მოთამაშეებმა პეკინის შემდეგ. ჩვენს განკარგულებაში ყველა დროის ერთ-ერთი უდიადესი გუნდი იქნება.*

*ლონდონში ითამაშებს NBA-ის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე კობი ბრაიანტი. ასევე აპირებენ გუნდის დახმარებას დუენ უეიდი და ლებრონ ჯეიმსი. გვეყოლებიან ახალგაზრდა მოთამაშეები, მაგალითად, დერიკ როუზი და კევინ დურანტი. არანაირი ეჭვი არ არის, რომ ახლა ჩვენ უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე 2008 წელს ვიყავით. ბიჭები უფრო გამოცდილები გახდნენ, გუნდი კი უფრო დახვეწილია"*, - ამბობს კოლანჯელო ამერიკული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

● აფროსნობა

# ჟიულ ვერნი იამაყებდა

ფრანგი იახტსმენები **ჟიულ ვერნის** პრიზის მფლობელები გახდნენ - ეს ჯილდო გადაეცემა აფრიანი გემის ეკიპაჟს, რომელიც ყველაზე სწრაფად იმოგზაურებს დედამიწის გარშემო. კაპიტან **ლოიკ პეირონის** გუნდმა დედამიწას 45 დღეში, 13 საათში, 42 წუთსა და 53 წამში შემოუარა.

ტრიმარან Banque Populaire V-ის ეკიპაჟი 14 ადამიანისგან შედგებოდა, რომელთა უმრავლესობა ფრანგი იყო. მათ თითქმის სამი დღით გააუმჯობესეს წინა რეკორდი, რომელიც 2010 წელს იყო დამყარებული. სარეკორდო მოგზაურობა 2011 წლის 22 ნოემბერს დაიწყო.

დედამიწის გარშემო მოგზაურობისას პეირონის გუნდმა კიდევ რამდენიმე რეკორდი დაამყარა. მაგალითად, ტრიმარანმა სარეკორდო დროში დაფარა დისტანცია სტარტიდან ეკვატორამდე.

ჟიულ ვერნის პრიზი 1993 წლიდან გადაეცემა. სწორედ ამ წელს პირველად შემოუარეს იახტით დედამიწას 80 დღეზე (80 დღე დასჭირდა ჟიულ ვერნის რომანის გმირს **ფილეას ფოგს** ანალოგიური მოგზაურობისთვის) ნაკლებ დროში. ისტორიაში თითქმის ყველა რეკორდსმენი ფრანგია, ხოლო პრიზის პირველი მფლობელი გახდა **ბრუნო პეირონი** - Banque Populaire V-ის კაპიტნის ძმა.



რეკორდსმენი იახტა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სპურსი სტუმრად არ ჰარგა

რეგულარულ ჩემპიონატში მორიგი სათამაშო დღე აშშ-ის დედაქალაქში დაიწყო, სადაც სტუმრად „მინესოტა" ჩავიდა. როგორც ყოველთვის, კალათბურთმა მასპინძლების შესრულებით მძიმე შთაბეჭდილება დატოვა - არანაირი ემოცია და კოლექტიური თამაში. თითოეული კალათბურთელი საკუთარი თავისთვის თამაშობდა, ხოლო მთავარი მწვრთნელი **ფლიპ სონდერსი**, როგორც ჩანს, შეურიგდა თავის ბედს. სავსებით შესაძლებელია, რომ უახლოეს დროს გუნდში სამწვრთნელო გადაადგილებები მოხდეს, რადგან „უიზარდსის" მფლობელი **ტედ ლეონსისი** თამაშის დასრულებას არ დაელოდა და არენა განბილებულმა დატოვა.

რაც შეეხება „მინესოტას", ასეთი სუსტი დაცვის წინააღმდეგ **კევინ ლავმა** და **რიკი რუბიომ** ბრწყინვალე მატჩი ჩაატარეს. პირველმა ზედიზედ მერვე ორმაგი დუბლი შეასრულა, ესპანელმა გამთამაშებელმა კი 14 შედეგიანი პასი დააგროვა. „მგლებმა" წარმატებით დაიწყეს სამმატჩიანი გასვლითი ტურნე, „ვაშინგტონმა" კი ზედიზედ მერვე მატჩი წააგო, აქედან ოთხჯერ ის 18 ან მეტი ქულით დამარცხდა.

მიმდინარე სეზონში თავისი ყველაზე უარესი შეხვედრა ჩაატარა **დუაიტ ჰოვარდმა**, რომელმაც „საკრამენტოსთან" 20 წუთის განმავლობაში მხოლოდ ხუთი ქულა და ოთხი მოხსნა დააგროვა. პრობლემები პირველივე წუთებიდან დაიწყო, როცა **დემარკუს კაზინსთან** ორთაბრძოლაში „სუპერმენმა" ორი პერსონალური მიიღო და სათადარიგოთა სკამზე დაჯდა, სადაც პირველი სამი მეოთხედის დიდი ნაწილი გაატარა.

მაგრამ „ორლანდომ" თავისი ლიდერის გარეშეც შეძლო ღირსეული თამაშის ჩვენება. საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა **ჯეისონ რიჩარდსონმა**, რომელმაც 22 ქულა მიითვალა. ბოლო მეოთხედის შუა ნაწილამდე გუნდები ერთად მიდიოდნენ, მაგრამ სტუმრების 9:3 გაქცევამ წყალში ჩაყარა **ტაირიკ ევანსის** მონდომება, რომელმაც ამ სეზონში სარეკორდო 28 ქულა დააგროვა. ძალიან პროდუქტიულად ითამაშეს „მეჯიქის" რეზერვისტებმა - მათ ჯამში 45 ქულა დააგროვეს, „კინგზმა" კი 50-პროცენტიანი რეალიზაციითაც ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება. მასპინძლებმა ეს ყველაფერი 17 შეცდომას უნდა დააბრალონ.

ჯერჯერობით სტუმრად გამარჯვებას ვერ ახერხებს „სან ანტონიო". პირველად ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „სპურსმა" ვერ შეძლო „ოკლაჰომას" დამარცხება. სტუმრები პირველი ორი მეოთხედის განმავლობაში იბრძოდნენ, მაგრამ უკვე მეორე 12-წუთეულის მსვლელობისას სხვაობა 12 ქულას აღწევდა. „სპურსის" დაცვა ვერ უმკლავდებოდა **ნიკ კოლისონის** გარღვევებს და მხოლოდ **ბლეირის** აქტიურობის წყალობით შეუნარჩუნა შეხვედრას ინტრიგა. მაგრამ მესამე პერიოდში „ოკლაჰომამ" ორი გაქცევით გადაწყვიტა მატჩის ბედი. ჯერ იყო 11:3 სპურტი, რამდენიმე წუთში კი - 15:4. რა თქმა უნდა, მოწოდების სიმაღლეზე გახლდათ **კევინ დურანტი**, რომელსაც სამი შედეგიანი გადაცემა დააკლდა კარიერაში პირველ სამმაგ-დუბლამდე. ბოლო მეოთხედში „ოკლაჰომას" ლიდერებმა დაისვენეს. სხვათა შორის „თანდერმა" სამ დღეში სამი მატჩი ჩაატარა და ყველა მოიგო. ასეთი რამ წელს არც ერთ გუნდს არ გაუკეთებია.

„მილუოკიმ" ზედიზედ 24-ჯერ წააგო სტუმრად „ფინიქსის" წინააღმდეგ. ეს არის ხანგრძლივობის მიხედვით ლიგის ისტორიაში მეორე სერია. ყველაზე მეტჯერ - ზედიზედ 27-ჯერ „სან ანტონიოს" ჰყავს შინ დამარცხებული „გოლდენ სტეიტი". უკანასკნელად „ბაქსმა" „სანზს" სტუმრად 1987 წლის თებერვალში სძლია. ამ უსიამოვნო ტრადიციის გარდა, „მილუოკის" მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ სტუმრები მოედანზე ოთხი წამყვანი მოთამაშის - **ენდრიუ ბოგუტის, მაიკ დანლივის, ლუკ მბა ა მუტესა** და **ბენო უდრიხის** გარეშე გავიდნენ. „ფინიქსმა" კი, როგორც იქნა, დაიწყო თავისი საფირმო კალათბურთის ჩვენება, ხოლო, როცა მეტოქე სწრაფი თამაშის საშუალებას გაძლევს, **სტივ ნეშის** შეჩერება ძალიან რთული ხდება. „ირმებისთვის" საბედისწერო აღმოჩნდა მესამე მეოთხედში მეტოქის 17:6 გაქცევა **გრანტ ჰილის, ჯარედ დადლისა** და **მაკრიფ მორისის** შესრულებით. ამ სპურტამდე „მილუოკი" ისედაც აგებდა 12 ქულით. „ბაქსმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო და „სან ანტონიოს" მსგავსად სტუმრად მოგება არ აქვს.

შობაზე „ჩიკაგოსთან" შინ წაგების შემდეგ, „ლეიკერსმა" საკუთარ არენაზე ზედიზედ მეექვსე გამარჯვებას მიაღწია. „მემფისთან" მოგება იოლი არ ყოფილა, რადგან სტუმრები კარგად იყენებდნენ კალიფორნიელთა მიერ ბურთთან უდიერ მოპყრობას. **მაიკ ბრაუნის** შეგირდებმა 27-ჯერ დაკარგეს ბურთი, რაც „მემფისის" 24 ქულაში გამოისახა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, „ლეიკერსის" ლიდერებმა თითქოს კარგი მატჩი ჩაატარეს, მაგრამ მასპინძლებმა ბოლო 12-წუთეულში კინაღამ დაკარგეს პირველ სამ მეოთხედში მოპოვებული უპირატესობა. **ბინუმისა** და **ბრაიანტის** უაზრო შეცდომების წყალობით „გრიზლისმა" 6:0 სპურტი განახორციელა და თითქოს საბოლოოდ დაეუფლა ინიციატივას, მაგრამ **მეტ ბარნსმა**, რომელმაც ზედიზედ მეორე კარგი მატჩი ჩაატარა, სწრაფად მიუჩინა მეტოქეს თავისი ადგილი, კობიმ კი საბოლოოდ მოუღო ბოლო სტუმრებს. საერთო ჯამში, ბოლო მეოთხედი არც ერთ გუნდს არ გამოუვიდა - ჯამში მეტოქეებმა მხოლოდ 11 ბურთი ჩააგდეს და 26 ქულა დააგროვეს.

**ვაშინგტონი-მინესოტა 72:93**

17:20, 17:28, 26:27, 12:18

ვ: [illegible] (14), [illegible] (14+5 მოხსნა+3 დაფარება), ბლეტჩი (10+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), უოლი (10+5 მოხსნა+6 პასი), მაკგი (8+9 მოხსნა+3 დაფარება).

მ: ლავი (20+16 მოხსნა+3 ჩაჭრა), უილიამსი (14+7 მოხსნა), ელინგტონი (13+3 ჩაჭრა), რუბიო (13+6 მოხსნა+14 პასი), რიდნური (13), ტოლივერი (11).

**ოკლაჰომა-სან ანტონიო 108:96**

24:22, 30:26, 37:21, 17:27

ო: დურანტი (21+10 მოხსნა+7 პასი), ჰარდენი (20), უესტბრუკი (13+5 პასი), კოლისონი (12+10 მოხსნა), ჯექსონი (11), იბაკა (10+5 მოხსნა+3 დაფარება).

ს-ა: ნოა (18), ლეონარდი (13+10 მოხსნა), ჯეფერსონი (13), დანკანი (11+7 მოხსნა), სპლიტერი (10).

**პორტლენდი-კლივლენდი 98:78**

18:17, 24:18, 27:22, 29:21

პ: ოლდრიჯი (28+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), მეტიუზი (24), უოლასი (16+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბატუმი (11).

კ: ირვინგი (21), ტომპსონი (10+5 მოხსნა+3 დაფარება), კასპი (10), ვარეჟაო (8+10 მოხსნა), ჯეიმისონი (3+11 მოხსნა).


რიკი რუბიო ვაშინგტონელებს შორის

**საკრამენტო-ორლანდო 97:104**

21:19, 26:30, 32:32, 18:23

ს: ევანსი (28+8 პასი), კაზინსი (16+10 მოხსნა), ჰიქსონი (14+11 მოხსნა), ტორნტონი (13+6 მოხსნა), ტომპსონი (10+6 მოხსნა).

ო: რიჩარდსონი (22+5 პასი), დევისი (20+8 მოხსნა), ანდერსონი (19+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), ვაფერი (12), თურქოგლუ (11).

**ფინიქსი-მილუოკი 109:93**

30:25, 27:22, 34:19, 18:27

ფ: გორტატი (18+7 მოხსნა+3 დაფარება), ფრაი (16+6 მოხსნა), ბრაუნი (14), ჰილი (14), მორისი (13+10 მოხსნა), დადლი (11+7 მოხსნა), ნეში (10+17 პასი).

მ: ჰარისი (15), ლივინგსტონი (12), ლური (11+6 მოხსნა), ილიასოვა (11+8 მოხსნა).

**ლეიკერსი-მემფისი 90:82**

31:22, 25:24, 22:22, 12:14

ლ: ბრაიანტი (26+9 პასი), ბინუმი (15+15 მოხსნა), ბარნსი (15+10 მოხსნა+3 დაფარება), პ. გასოლი (13+15 მოხსნა), ბლეიკი (13).

მ: გეი (19), სპეიტსი (17+7 მოხსნა), მაიო (15+3 ჩაჭრა), პონდექსტერი (14), კონლი (11+8 პასი+4 ჩაჭრა), მ. გასოლი (0+11 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა+3 დაფარება).

# ევროპა დირკისაა

როგორც წესი, პრესტიჟული იტალიური გამოცემა „გაძეტა დელო სპორტი" გასული წლის შედეგებს აჯამებს და საუკეთესო ევროპელ კალათბურთელს ასახელებს - არა აქვს მნიშვნელობა, მოთამაშე „ბებერ კონტინენტზე" გამოდის თუ ოკეანის გაღმა.

წლევანდელ გამოკითხვაში დაძაბული ბრძოლა იყო NBA-ის ჩემპიონს, გერმანელ **დირკ ნოვიცკისა** და 2011 წლის ევრობასკეტის საუკეთესო მოთამაშეს ესპანელ **ხუან კარლოს ნავაროს** შორის. საბოლოოდ, „დალასის" მძიმე ფორვარდმა 47 ქულით აჯობა „ბარსელონას" მცველს. ამ დუეტს მნიშვნელოვნად ჩამორჩა მესამე ადგილზე გასული ბერძენი **დიმიტრის დიამანტიდისი**.

„გაძეტა დელო სპორტის" საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1. დირკ ნოვიცკი (გერმანია) - 198 ქულა
2. ხუან კარლოს ნავარო (ესპანეთი) - 151
3. დიმიტრის დიამანტიდისი (საბერძნეთი) - 86
4. პაუ გასოლი (ესპანეთი) - 82
5. ანდრეი კირილენკო (რუსეთი) - 77
6. ტონი პარკერი (საფრანგეთი) - 43
7. მარკ გასოლი (ესპანეთი) - 28
8. ანდრეა ბარნიანი (იტალია) - 7
9. ანტონის ფოცისი (საბერძნეთი) - 6
10. ხოაკიმ ნოა (საფრანგეთი) - 4

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


დირკ ნოვიცკი

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კიდევ ერთი მწვრთნელი მოიშორეს


სკოტ არნიელი

რეგულარული ჩემპიონატის მორიგ დღეს სამი მატჩი გაიმართა და ყველაზე დრამატული მათ შორის „ოტავასა" და „ფილადელფიას" შეხვედრა იყო. „სენატორებმა" ამ სეზონში მეექვსედ შეძლეს მოგება იმ დროს, როცა მდევრის როლში იყვნენ. ამჯერად „ოტავამ" ორშაიბიანი ჩამორჩენის გაბათილება შეძლო. ბოლო პერიოდში კანადელებმა ოთხი შაიბა გაუტანეს „ფილადელფიას" რუს მეკარეს **ილია ბრიზგალოვს**. მატჩის საბოლოო ანგარიშია - 6:4 „სენატორზის" სასარგებლოდ.

აგრძელებს ლიგის მცველებს შორის დომინირებას **ერიკ კარლსონი** - შვედეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი. ეს ბიჭი მხოლოდ 21 წლისაა, მან კი უკვე გააუმჯობესა შედეგიანობის საკუთარი რეკორდი, მალე კი „ერთ მატჩში ერთი ქულის" გრაფიკზე გავა. მცველებს შორის შედეგიანობის მხრივ კარლსონი ულაპარაკო ლიდერია - ის უახლოეს მდევარს მთელი რვა ქულით უსწრებს. „ფილადელფიასთან" მატჩში ერიკმა ორი ქულა დააგროვა და სარგებლიანობის ფანტასტიკური მაჩვენებელი ჰქონდა - „პლუს 5".

ასევე ბრწყინვალედ გამოიყურება „ოტავას კაპიტანი **დანიელ ალფრედსონი**, რომელსაც ბოლო 12 მატჩში 16 ქულა დაუგროვდა.

„სენატორზის" მსგავსად, ორშაიბიანი ჩამორჩენის შემდეგ მოიგო „დეტროიტმა", რომელსაც რთული გასვლა ჰქონდა რეგულარულის ლიდერთან „ჩიკაგოს ბლექჰოქსთან". უკვე მეხუთე წუთისთვის მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ, თუმცა ასეთი კოშმარული დასაწყისის მიუხედავად, „დეტროიტის" მეკარემ **ტაი კონკლინმა** მომდევნო 58 წუთში მეტოქის ყველა დარტყმა მოიგერია, მათ შორის, ბულიტი **ჰეიესის** შესრულებით.

„დეტროიტმა" საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე გაათანაბრა ანგარიში, გამარჯვება კი სტუმრებს **პაველ დაციუკმა** მოუტანა - ოვერტაიმის მესამე წუთზე მან თავად დაამატა საკუთარ დარტყმულს.

ნამდვილი სპექტაკლი შემოგვთავაზეს „კოლამბუსმა" და „ანაჰაიმმა", რომლებმაც ჯამში 11 შაიბა გაიტანეს. გამარჯვება „დაქსმა" მოიპოვა - 7:4, მაგრამ ეს მოგება გააუფერულა მეკარე **იონას ჰილერის** ტრავმამ. მეორე მეკარის - **დენ ელისის** ტრავმის გათვალისწინებით, „ანაჰაიმის" მდგომარეობა რთულია. ამის გამო, გუშინ NHL-ში დებიუტი ჰქონდა 26 წლის ფინელ **იირო ტარკის**, რომელმაც ცხრიდან ექვსი დარტყმა მოიგერია. მატჩის საუკეთესო მოთამაშე **კორი პერი** გახდა, ვინც ჰეთ-თრიკი შეასრულა. „დაქსმა" სეზონში მხოლოდ მეორედ მოიგო ზედიზედ მეორე მატჩი.

გამარჯვების შემთხვევაში „კოლამბუსს" შეეძლო უკან ჩამოეტოვებინა „ანაჰაიმი" და ბოლო ადგილს დაშორებოდა, მაგრამ ვერ შეძლო. სწორედ ამის შემდეგ კარისკენ მიუთითეს „ბლუ ჯეკეტსის" დამრიგებელს **სკოტ არნიელს**, რომელიც გუნდთან წელიწად-ნახევარი მუშაობდა. შარშან „კოლამბუსმა" მე-13 ადგილი დაიკავა დასავლეთ კონფერენციაში. არნიელს დროებით მისი ასისტენტი **ტოდ რიჩარდსი** შეცვლის.

**ოტავა-ფილადელფია 6:4**

2:3, 0:1, 4:0

**გოლები:** 1:0 ალფრედსონი-14 (ტარისი-6, კოუენი-8), 1:1 მეზაროში-6 (ტელბოტი-8), 2:1 კ. ნილი-6 (ფოლინო-13, ე. კარლსონი-35), 2:2 ბურდონი-2 (ბრიერი-16), 2:3 კუტურიე-6 (რიდი-12), 2:4 რიდი-13 (ვან რიმსდიკი-11, მ. კარლი-18), 3:4 გრინინგი-9 (სპეცა-27, მ. მიხალეკი-8), 4:4 ე. კარლსონი-6, 5:4 კუბა-4 (კონდრა-10, ალფრედსონი-19), 7:4 ფოლინო-12 (კ. ნილი-8).

**ჩიკაგო-დეტროიტი 2:3 (ო)**

2:1, 0:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ბოლანდი-9 (მარიან ჰოსა-26, ლედი-18), 2:0 შარპი-20 (ფროლიკი-6, მარიან ჰოსა-27), 2:1 ფილპულა-14 (ზეტერბერგი-23, ჰუდლერი-15), 2:2 ქლირი-10 (ზეტერბერგი-24, ფილპულა-21), 2:3 დაციუკი-13 (ჯ. ერიქსონი-7, ფრანცენი-20).

**ანაჰაიმი-კოლამბუსი 7:4**

4:1, 1:1, 2:2

**გოლები:** 1:0 კოლიანო-8 (სბისა-10, ჯ. ბლეიკი-2), 2:0 პერი-16 (რაიანი-9, ბოშემენი-8), 2:1 ნეში-13 (პროსპალი-21), 3:1 სელიანე-13 (გეტცლაფი-20, ვიშნოვსკი-7), 4:1 ს. კოივუ-6 (რაიანი-10), 4:2 ბრასარი-5 (ა. ჯონსონი-6, კლიტსომი-8), 5:2 პერი-17 (ს. კოივუ-14, ვიშნოვსკი-8), 6:2 სელიანე-14 (ჰაგმანი-8, ს. კოივუ-15), 6:3 ნეში-14, 6:4 პროსპალი-9 (დორსეტი-3, პალსონი-7), 7:4 პერი-18 (ბოშემენი-9).

# პიტსბურგი დიდი ლაზარეთია

ტრავმების გამო „პიტსბურგ პინგვინზი" თანდათან უძლურდება. როგორც ცნობილია, გუნდს ისევ აკლია თავისი ლიდერი და კაპიტანი **სიდნი კროსბი**, ახლა კი „პინგვინები" ორი წამყვანი ფორვარდის გარეშე დარჩნენ. დაახლოებით 4-6 კვირით გამოვიდა მწყობრიდან **ჯორდან სტაალი**, რომელმაც მუხლი დაიზიანა. გარდა ამისა, ტერფის მოტეხილობის გამო „პიტსბურგმა" გაურკვეველი ვადით დაკარგა თავისი საუკეთესო სნაიპერი **ჯეიმს ნილი**. მიმდინარე სეზონში მის ანგარიშზე 36 ქულაა (21+15), სტაალის მონაგარი კი 21 ქულას (15+6) შეადგენს.

■ ■ ■

ჯერჯერობით ვერ ახერხებს მოედანზე დაბრუნებას „ფილადელფიას" ჩეხი ვეტერანი **იარომირ იაგრი**, რომელიც სამი იანვრის შემდეგ ვერ ახერხებს თამაშს. ლეგენდარულმა თავდამსხმელმა „რეინჯერსთან" „ზამთრის კლასიკის" დროს მიიღო ფეხის ტრავმა.

ექიმების თავდაპირველი ვარაუდით, იაგრი უკვე უნდა შეერთებოდა თავის გუნდს, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ფორვარდის დაბრუნება ერთი-ორი კვირით გადაიდო. წელს იარომირმა 33 მატჩში 31 ქულა (12+19) დააგროვა.

■ ■ ■

წამყვანი მცველის გარეშე დარჩა „ვანკუვერი". „ბოსტონთან" მიღებული ტვინის შერყევის გამო შეწყვიტა რეგულარულ ჩემპიონატში გამოსვლა **სამი სალომ**. შვედი ლეგიონერი **ბრედ მარშანთან** შეჯახებისას დაზიანდა, თუმცა ეს უკანასკნელი დისკვალიფიკაციას გადაურჩა.

სალომ ჩემპიონატში 38 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 16 ქულით (6+10) დაეხმარა თავის გუნდს.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ანდერლეხტი-ვერდერი | 2:1 |
| კაიზერი-ბატნა | 4:0 |
| ლოზანა-ტვენტე | 0:0 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| ფროსინონე-ბარლეტა | 2:1 |
| **ინგლისის თასი** | |
| **1/32 ფინალი** | |
| არსენალი-ლიდსი | 1:0 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/32 ფინალი** | |
| ანჟერსი-მონაკო | 4:3 |
| **პორტუგალია** | |
| ბეირა მარი-ბრაგა | 1:2 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანაგენისი (ე)-პანახაიკი | 6:1 |
| კალითეა-პანსერაიკოსი | 1:0 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-გაზიანთეფი | 3:1 |
| **კვიპროსი** | |
| ომონია-არისი | 3:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-ბნეი სახნინი | 0:0 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კლიფტონვილი-დუნგანონი | 2:1 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ბარისი | 4:2 |
| მეტალურგი (მ)-ტრაქტორი | 2:0 |
| იუგრა-ავტომობილისტი | 6:1 |
| ატლანტი-სპარტაკი | 3:2 (ო) |
| სკა-ვიტიაზი | 7:0 |
| ტორპედო-სევერსტალი | 7:1 |
| დინამო (რ)-დინამო (მ) | 1:0 (ო) |
| **დანია** | |
| კოპენჰაგენი-ჰერნინგი | 1:2 (ო) |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ოკლენდი** | |
| ფალა-იანგი | 4:6, 6:3, 6:3 |
| ბელუჩი-მაშადო | 6:3, 7:6 |
| ვენუსი-**ხირალდო** | 4:6, 3:6 |
| **ATP. სიდნეი** | |
| დოდიგი-**კუბოტი** | 6:7, 5:7 |
| **სვიტინგი**-მიულერი | 3:6, 7:6, 7:5 |
| ანდუხარი-**ისტომინი** | 3:6, 6:2, 3:6 |
| **ნიემინენი**-დაკუორტი | 6:2, 6:2 |
| სტახოვსკი-**რეინოლდსი** | 5:7, 3:6 |
| **ებდენი**-გრანოლერსი | 6:1, 3:6, 6:3 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| ვოსკობოევა-**დელაკუა** | 5:7, 6:4, 4:6 |
| ლარსონი-**ერანი** | 3:6, 3:6 |
| ვესნინა-**კერბერი** | 2:6, 4:6 |
| **პირონკოვა**-უოტსონი | 7:6, 3:6, 7:6 |
| **ბარტელი**-ოპრანდი | 6:1, 6:4 |
| **ვიკმაიერი**-ერაკოვიჩი | 7:5, 6:4 |
| ბარტი-**მატეკი** | 2:6, 2:6 |
| **გაიდოშოვა**-მორიტა | 6:3, 6:4 |
| **WTA. სიდნეი** | |
| პავლიუჩენკოვა-**პეტკოვიჩი** | 2:6, 3:6 |
| მაკაროვა-**ნა ლი** | 0:6, 3:6 |
| **დულგერუ**-არვიდსონი | 6:1, 6:1 |
| **ციბულკოვა**-პენგი | 6:2, 4:6, 6:4 |
| ვინჩი-**ჰანტუხოვა** | 5:7, 2:6 |
| ჰერცოგი-**ბარტოლი** | 3:6, 3:6 |
| **აზარენკა**-ფოგელი | 6:2, 6:1 |
| ზვონარევა-**კუზნეცოვა** | 1:6, 2:6 |
| ჩინკი-**სხეპერსი** | 4:6, 2:6 |
| უ. რადვანსკა-**ა. რადვანსკა** | 1:6, 1:6 |
| სტოსური-**სკიავონე** | 2:6, 4:6 |
| **იანკოვიჩი**-გორჯესი | 6:1, 3:1 უარი |

TV პროგრამა

**10 იანვარი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. მანჩესტერ სიტი.
**11:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. მონპელიე.
**13:00** იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ჩეზენა.
**15:00** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პარმა.
**17:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. ლიონი.
**18:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. ტოტენჰემი.
**20:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-გრანადა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:00** ინგლისის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. კრისტალ პალასი-კარდიფი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ბლექბერნი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-შარლოტი.
**14:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**15:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-ლაციო.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. კონახტი-გლოსტერი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**21:00** ყოველკვირეული საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:45** სუპერკოლაჟი.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-შარლოტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
**17:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ტვენტე.
**19:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ჩიკაგო.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. შანხაი. ჩინეთი.

სამთო-სათხილამურო სპორტი

# ჰირშერი აღარ ხუმრობს

სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასის გათამაშება შვეიცარიის კურორტ ადელბოდენში გაგრძელდა. მამაკაცებმა აქ ორჯერ გაითამაშეს პირველობა სპეციალურ სლალომში და ორჯერვე პირველობა ავსტრიელმა **მარსელ ჰირშერმა** მოიპოვა, რომელიც სეზონის ამ ნაწილისთვის ბრწყინვალე ფორმაში შევიდა.

ბოლო ოთხი დღის განმავლობაში ჰირშერმა უკვე სამი სტარტი მოიგო. ასეთი შედეგი ბოლოს ლეგენდარული შვედ **ინგემარ სტენმარკს** ჰქონდა, 1978 წელს.

ჰირშერმა პირველ ცდაზე საუკეთესო დრო აჩვენა და შემდეგ შეინარჩუნა პირველობა. ისევე როგორც წინა ეტაპებზე, აქაც ავსტრიელის მეტოქე ხორვატი **ივიცა კოსტელიჩი** იყო, რომელმაც ზედიზედ მესამედ მეორე ადგილი დაიკავა.

სწორედ ეს ორი მოთხილამურე ლიდერობს მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლას, თუმცა ჰირშერის უპირატესობა აშკარაა – 725 ქულა კოსტელიჩის 495 ქულის წინააღმდეგ.

■ ■ ■

ქალი მოთხილამურეები ავსტრიაში შეკრიბნენ და სუპერგიგანტში გაარკვიეს ურთიერთობა. ამ დისციპლინაში წელს ყველა სტარტი ამერიკელ **ლინდსი ვონს** ჰქონდა მოგებული, მაგრამ ამჯერად ამერიკელმა დაშვებისას სერიოზული შეცდომა დაუშვა და მოკრძალებული მე-18 ადგილი დაიკავა.

ეტაპზე გამარჯვება კი შვეიცარიელმა **ფაბიან სუტერმა** მოიპოვა, რომელმაც 34 მეასედი წამით აჯობა სლოვენიელ **ტინა მაზეს**. სუტერისთვის ეს მეოთხე მოგებაა მსოფლიოს თასის ეტაპებზე.

ამ ეტაპზე განცდილი წარუმატებლობის მიუხედავად, ვონმა შეინარჩუნა ლიდერობა საერთო ჩათვლაში – ის უახლოეს მდევარს, ავსტრიელ **მარლის შილდსს** 164 ქულით უსწრებს.

**კაცები**

**სლალომი**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:58.66 (58.69+59.97); 2. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 1:58.93 (58.95+59.98); 3. **სტეფანო გროსი** (იტა) - 1:59.65 (59.99+59.66); 4. **მარიო მატი** (ავსტრია) - 2:00.10 (58.76+1:01.34); 5. **დან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 2:00.22 (1:00.48+59.74); 6. **ფრიტც დოპჰერი** (გერ) - 2:00.43 (1:00.22+1:00.21).

**საერთო ჩათვლა**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 725; 2. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 495; 3. **აქსელ-ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 456; 4. **ტედ ლიჯეტი** (აშშ) - 453; 5. **ბიტ ფოიზი** (შვეიც) - 365; 6. **ბოდე მილერი** (აშშ) - 343.

**ქალები**

**სუპერგიგანტი**

1. **ფაბიან სუტერი** (შვეიც) - 1:09.55; 2. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 1:09.89; 3. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 1:10.29; 4. **ფრაენზი ოდენბლატენი** (შვეიც) - 1:10.33; 5. **ლარა გუტი** (შვეიც) - 1:10.43; 6. **ვერონიკ ჰრონეკი** (გერ) - 1:10.46.

**საერთო ჩათვლა**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 704; 2, **მარლის შილდი** (ავსტრია) - 540; 3. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 483; 4. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 454; 5. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 434; 6. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერ) - 336.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლინდსი ვონის შეცდომა



ფორმულა 1



# რა ელის ბაჰრეინს?

ბაჰრეინის ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები მოუწოდებენ ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებსა და პილოტებს, ბოიკოტი გამოუცხადონ 2012 წელს ბაჰრეინის გრანპრის.

როგორც იცით, 2011 წელს ამ ქვეყანაში რბოლა ანტისამთავრობო გამოსვლების გამო გაუქმდა, მაგრამ სამეფოს მთავრობამ განაცხადა, რომ ქვეყანაში სიტუაცია სტაბილური გახდა და 2012 წელს რბოლის გამართვას არაფერი ემუქრება. მაგრამ ბაჰრეინში მთელი წლის განმავლობაში არეული სიტუაცია იყო და გამოსვლები დღემდე არ შეწყვეტილა. ამის გამო ბაჰრეინში ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი მოუწოდებს ფორმულა 1-ის წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ 2012 წელს ქვეყანაში ვიზიტისგან.

*„ჩვენ ჩავატარებთ კამპანიას, რომელიც აქტიურად მოუწოდებს პილოტებსა და გუნდებს, ბოიკოტი გამოუცხადონ ბაჰრეინის წლევანდელ გრანპრის. მთავრობას სურს ამ რბოლის ჩატარება, რათა მთელ ქვეყანას აჩვენოს, რომ სამეფოში ყველაფერი წესრიგშია. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ რბოლა არ გაიმართოს. დარწმუნებული ვარ, პილოტები და გუნდები გამოიჩენენ ადამიანთა უფლებების მიმართ პატივისცემას და ბოიკოტს გამოუცხადებენ გრანპრის“*, - ამბობს ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი **ნაბილ რაჯაბი**.

# ესპანეთი ურბოლოდ რჩება

საფრთხე შეექმნა ესპანეთის გრანპრის ჩატარებას, რომელიც ტრადიციულად ბარსელონაში, კატალუნიას ავტოდრომზე იმართება. მიუხედავად იმისა, რომ ტრასის მფლობელებს გრანპრის ჩატარებაზე 2016 წლის ბოლომდე აქვთ გაფორმებული კონტრაქტი, ხელშეკრულება, შესაძლოა, რთული ფინანსური სიტუაციის გამო გააუქმონ. ამის შესახებ ერთ-ერთი რადიოსადგურის ეთერში განაცხადა კატალონიის ეკონომიკის მინისტრმა **ანდრე მას-კოლელმა**.

*„შეიძლება გადავხედოთ ჩვენთან ფორმულა 1-სა და მოტოგრანპრის ეტაპების ჩატარების საკითხს, რადგან ჯერ არ ვიცით, მიმდინარე მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გამო შევძლია თუ არა ამ ღონისძიებების ორგანიზება.*

*მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერი არ არის, რადგან მსგავს სიტუაციაში უნდა იცოდე სავარაუდო დანახარჯები. ზოგიერთი კონტრაქტის გაწყვეტა უფრო იაფია, ვიდრე მისი ვალდებულებების შესრულება“*, - ამბობს მას-კოლელი.

შესაძლოა, ესპანეთი საერთოდ ფორმულა 1-ის ეტაპის გარეშე დარჩეს, რადგან ცოტა ხნის წინ, ევროპის გრანპრის მასპინძელმა ქალაქმა ვალენსიამ „სამეფო რბოლების“ ფაქტობრივ მფლობელს **ბერნი ექლსტოუნს** ეტაპის ჩატარებაზე გადასახადის შემცირება სთხოვა, თუმცა ბერნი, როგორც წესი, ასეთ დათმობებზე არ მიდის.



# უილიამსი სენას რჩება

თუ ბრაზილიურ პრესას დავუჯერებთ, „უილიამსის“ შემადგენლობაში დარჩენილი ერთი ვაკანსიის მფლობელი ბრაზილიელი პილოტი **ბრუნო სენა** გახდება. როგორც ამბობენ, ამ მრბოლელის უკან სერიოზული სპონსორები დგანან.



ბრუნო სენა

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონის შემდეგ ბრაზილიელი უგუნდოდაა დარჩენილი, მაგრამ დაჟინებით იმეორებს, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე იპოვის ახალ სამუშაო ადგილს.

როგორც ცნობილი გახდა, სენას სპონსორია ჰოლდინგური კომპანია EBX, რომლის მფლობელი გახლავთ მილიარდერი **ეიკე ბატისტა**. ის ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით ბრაზილიის ყველაზე მდიდარი ადამიანია.

სწორედ ბატისტამ გაუკეთა კომენტარი სენას მომავალ კარიერას: *„ყველაფერი მარტივია - ბრუნო „უილიამსში“ გამოვა“*.

ჩოგბურთი

# განთესილები დასახელებულია

ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა სეზონში „დიდი სლემის“ პირველი ტურნირის განთესილთა სია გამოაქვეყნეს. მამაკაცებს შორის პირველი ნომერი იქნება ATP-ის რეიტინგის ლიდერი და ავსტრალიის ღიას მოქმედი ჩემპიონი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. შემდეგ, ასევე კლასიფიკაციის მიხედვით **რაფაელ ნადალი, როჯერ ფედერერი** და **ენდი მიურეი** მოდიან.



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ტოპ-32-ის წარმომადგენელთაგან მხოლოდ ორი არ მიიღებს მონაწილეობას ტურნირში - შვედი **რობინ სიოდერლინგი** და ხორვატი **მარინ ჩილიჩი**.

ქალთა ბადეს სათავეში ჩაუდგა WTA-ის რეიტინგის ლიდერი **კაროლინ ვოზნიაცკი. პეტრა კვიტოვა** მეორეა, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** - მესამე. ყველა 32-მა განთესილმა ჩოგბურთელმა საკუთარი ნომერი 9 იანვარს გამოქვეყნებული რეიტინგის მიხედვით მიიღო.

ავსტრალიის ღიას წილისყრა 13 იანვარს გაიმართება.

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ვენუს უილიამსი** მოგვიანებით გადაწყვეტს - ითამაშოს თუ არა ავსტრალიის ღია პირველობაზე. შეგახსენებთ, რომ 31 წლის ამერიკელს შარშანდელი აშშ-ის ღიას შემდეგ არ უთამაშია WTA-ის ტურში. მაშინ ვენუსს აუტოიმუნური ავადმყოფობის - შეგრენის სინდრომის დიაგნოზი დაუსვეს. ამ დროის განმავლობაში უფროსმა უილიამსმა მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა საჩვენებელ ტურნირში, რომელიც დეკემბერში ფლორიდაში გაიმართა. სწორედ მაშინ განაცხადა ვენუსმა, რომ 2012 წელს მისი მთავარი მიზანი ლონდონის ოლიმპიადაა.

# ლენდლმა ენდის არგო



ენდი მიურეი

დასრულდა ახალი საჩოგბურთო სეზონის პირველი კვირა. გაიმართა რამდენიმე ტურნირი, რომელთაგანაც ყველაზე ძლიერი შემადგენლობა ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში შეიკრიბა. აქ ძალიან დამაჯერებელი თამაში აჩვენა ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ**, რომელსაც ახალი სეზონიდან ახალი მწვრთნელი ჰყავს – ლეგენდარული ამერიკელი **ივან ლენდლი**.

როგორც ჩანს, ამ თანამშრომლობას უკვე მოაქვს შედეგი. მიურეიმ ძალიან იოლად მოიგო ტურნირი, განსაკუთრებით შთამბეჭდავი თამაში კი მან ფინალში აჩვენა, სადაც არანაირი შანსი არ დაუტოვა უკრაინელ **ალექსანდრ დოლგოპოლოვს**.

ბრიტანელი პირველ პარტიაში ისე დაწინაურდა 4:1, რომ საკუთარ გეიმებში ქულა არ დაუთმია. მან ეს სეტი 6:1 მოიგო.

მეორე სეტის დასაწყისში ბრიტანელმა თავიდანვე ბრეიკი გააკეთა, სულ კი ზედიზედ 9 გეიმი აიღო და მხოლოდ ამის შემდეგ გაქვითა ანგარიში დოლგოპოლოვმა. თუმცა ეს უკრაინელის დროებითი წარმატება იყო – მიურეიმ ისევ მოუმატა და 6:3 მოიგო მეორე სეტი.

ფინალში გამარჯვებას ენდიმ 67 წუთი მოანდომა და კარიერაში 22-ე ტიტული მოიგო.

■ ■ ■

ყველაზე სუსტი იყო ინდოეთში ჩენაის ტურნირის შემადგენლობა. აქ ფინალში კანადელმა **მილოშ რაონიჩმა** და სერბმა **იანკო ტიპსარევიჩმა** გააღწიეს.

მატჩის ბედი სამ სეტში გაირკვა და სამივე პარტია თითქმის ერთნაირი სცენარით წარიმართა. ჩოგბურთელები არ აგებდნენ საკუთარ მოწოდებებს (მიუხედავად იმისა, რომ ჯამში 13 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა) და სამივე შემთხვევაში ტაი-ბრეიკის ჩატარება გახდა საჭირო.

საჩოგბურთო ლატარიებშიც ერთნაირი ანგარიში დაფიქსირდა. პირველი ტაი-ბრეიკი 7:4 მოიგო ტიპსარევიჩმა, შემდეგ ორი შემოკლებული გეიმი კი რაონიჩმა - ასევე 7:4 და მოგებით დაიწყო 2012 წლის სეზონი.

მატჩის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე რაონიჩი 5:0 გაიქრა წინ და შემდეგ, გაჭირვებით, მაგრამ შეინარჩუნა უპირატესობა. კანადელმა მთელი მატჩის განმავლობაში 35 ეისი ჩააწოდა.

21 წლის რაონიჩმა საინტერესო მაჩვენებლით დაასრულა ტურნირი – მას მთელი დისტანციიის განმავლობაში არც ერთი საკუთარი გეიმი არ წაუგია. ასეთი რამ ბოლოს 2008 წელს ლეგენდარულმა შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** შეძლო ჰალეს ტურნირზე.

# კაიამ მეტოქეებს გადაუარა

ქალებს შორის გასულ კვირას ყველაზე დიდი ინტერესი ბრისბენის ტურნირის მიმართ იყო, რადგან აქ **სერენა უილიამსი** და **კიმ კლაისტერსი** გამოდიოდნენ, რომლებიც შარშან ამერიკის სერიის ტურნირების შემდეგ არ გვინახავს კორტზე.



კანეპი და ჰანტუხოვა

სერენამ დამაჯერებლად მოიგო საწყისი მატჩები - ოთხ სეტში მხოლოდ 11 გეიმი დათმო, მაგრამ მის ფორმაზე წარმოდგენას ნაკლებად შეგვიქმნიდა **სხეპერსთან** და **იოვანოვსკისთან** შეხვედრები. ამერიკელის თამაშის შეფასება არ მოხერხდა, რადგან უილიამსმა **დანიელა ჰანტუხოვასთან** მატჩზე გასვლა არ მოისურვა. სერენას ისევ აწუხებს ფეხი, თუმცა ამბობს, რომ ეს დაზიანება ავსტრალიის ღიაზე გამოსვლაში ხელს არ შეუშლის.

ტურნირი ვერც კლაისტერსმა დაასრულა. **სიმონა ჰალეპის** დამაჯერებლად დამარცხების შემდეგ ბელგიელი **ანა ივანოვიჩს** ხვდებოდა. კიმს სერბისთვის ოთხიდან ოთხი მატჩი ჰქონდა მოგებული და ახლაც 6:1 მოგებით დაიწყო რიგით მეხუთე შეხვედრა. მაგრამ ანამ მომდევნო 10 გეიმიდან ცხრა აიღო და სერიოზული განაცხადი გააკეთა გამარჯვებაზე. თუმცა კლაისტერსმა შეძლო მომატება, ისევ იპოვა თავისი თამაში და გამოსტაცა მოგება მეტოქეს - 6:1, 1:6, 6:3. ბელგიელმა დამაჯერებლად შეაბიჯა ნახევარფინალში, მაგრამ იქ ჰანტუხოვასთვის პირველი სეტის აღების შემდეგ ბარძაყის ტრავმის გამო ტურნირის მიტოვება გადაწყვიტა. ჯერჯერობით დარწმუნებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ კიმი შეძლებს ავსტრალიის ღიაზე გამოსვლას.

ჰანტუხოვას მეტოქე ფინალში ესტონელი **კაია კანეპი** გახდა. ესტონელს საწყის წრეში რუს **პანოვასთან** მოუწია სამსეტიანი რთული ბრძოლის გადატანამ, მაგრამ შემდეგ ბრწყინვალედ ათამაშდა და არც ერთ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. მან მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო **პავლიუჩენკოვას**, ორ სეტში მოუგო **პეტკოვიჩს**, შემდეგ მატჩებში კი გაანადგურა **სკიავონე** და ჰანტუხოვა - 6:3, 6:0 და 6:2, 6:1. მეტოქეთა აზრით, ბალტიისპირელმა ბრწყინვალე ჩოგბურთი აჩვენა და დაიმსახურა ტიტული, ჰანტუხოვას თქმით კი, თუ კანეპი ასე გააგრძელებს თამაშს, მალე ტოპ-ათეულში შევა. ამ მოგებით ესტონელი სათავეში ჩაუდგა 2012 წლის ჩემპიონთა რბოლას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**